CYAN BLACK

# ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობის წარმატება დამოკიდებულია არა მარტო მისი წევრების აქტიურობაზე, არამედ მნიშვნელოვანწილად პრეზიდენტთან ერთობლივ მუშაობაზე

**კორუფციის წინააღმდეგ**



## პოლიტიკური ნება და შემობრუნების დასაწყისი

მოლოდინი, რომ ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს გუშინდელი სხდომა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა, კონკრეტულ შედეგს გამოიღებდა, გამართლდა — ფინანსთა სამინისტროს საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების 16-მდე თანამშრომელს თუ გაუმართლა, მხოლოდ სამსახურის დაკარგვით გადარჩება, თუ არადა, მართლმსაჯულების წინაშე მოუხდება პასუხის გაცემა.

საქართველოს პრეზიდენტმა სხდომის გახსნისთანავე აღნიშნა განახლებული საბჭოს პირველი შეკრების განსაკუთრებული მნიშვნელობა და მას „შემობრუნების დასაწყისი“ უწოდა. ამ შეფასებას ადასტურებდა სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის პიტერ სტრასელის მონაწილეობა სხდომის მუშაობაში. ამისათვის ქვეყნის მეთაურმა ამერიკელ სტუმარს მადლობა გადაუხადა.

„ჩვენ ვებრძვით კორუფციას, მაგრამ ჯერჯერობით ხელშესახები შედეგები არა გვაქვს, — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, — ჩვენი პარტნიორები, მეგობარი ქვეყნები, ძირითადად, დადებითად აფასებენ ჩვენს საქმიანობას, მაგრამ მთავარი პრობლემა ის არის, რომ კორუფციასთან ბრძოლაში გარდატეხას ვერ მივაღწიეთ. ამის მიუხედავად, ჩვენი უცხოელი მეგობრები მორალურად, მატერიალურად გვეხმარებიან.

ამიტომ დღევანდელი შეხვედრა ერთგვარი შემობრუნების დასაწყისი უნდა იყოს კორუფციასთან აქტიური ბრძოლის საქმეში“.

იხ. მე-2 გვ.

**რეპლიკა**

## მოთმინებასაც საზღვარი აქვს

**როცა დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, სიტყვის თავისუფლება არ იზღუდება, ოქროს შუალედი მასა და, რბილად რომ ვთქვათ, უტიფრობას შორის, ყოველმა ადამიანმა საკუთარ თავში უნდა იპოვოს. დამეთანხმებით, რომ ქართული მედიის დიდი ნაწილი პიროვნების შეურაცხყოფით ცდილობს სახელის მოხვეჭას.**

ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები გაზეთ „ტრიბუნას“ რედაქციაში მიუვარდნენ და დახურვით დაემუქრნენ. ნახეთ ამ გაზეთის სკანდალური ფოტოკოლაჟები? ერთ მათგანზე „ლელევის ფოთოლი“ ქალის უმშვენიერესი სხეულის პიკანტურ ნაწილებს გამოკვეთს. ქერა „ლამაზმანი“ თავისი დახვეწილი ფიგურით ნებისმიერ მამაკაცს მიიზიდავდა, რომ არა... მიხეილ სააკაშვილის სახე. პიროვნებას ამაზე მეტად გინებითაც კი ვერ შეურაცხყოფ.

მაგრამ წინა დღეს გამოქვეყნებულ ღირსების შემბღალავ ფოტოკოლაჟზე ხმა არავის ამოუღია. სურათზე გამოსახული ადამიანი თავისი კოსტიუმის გამო, ერთი შეხედვით, ჯულიეტას ძიძა გეგონება. არადა, მასზე არც მეტი, არც ნაკლები, ქვეყნის პირველი პირის სახეა აღბეჭდილი.

ეს არც იუმორია, არც სატირა. ეს არის ცინიზმი თუ რაღაც უფრო მეტი.

როგორც ვთქვი, ამის გამო არავინ მივარდნია რედაქციას.

იხ. მე-2 გვ.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“ ედუარდ შევარდნაძე

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd


# საქართველოს რესპუბლიკა



გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №265 (4644) შაბათი, 4 ოქტომბერი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.


სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

**პრეზიდენტის ფოსტიდან**

## მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს პრეზიდენტს

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ, წრფელი მადლიერების სიტყვებით მოგმართავთ უზბეკეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გულთბილი მეგობრული მოლოცვის გამო.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი მომავალი შეხვედრა საქართველოში გახდება მნიშვნელოვანი ეტაპი უზბეკეთ-საქართველოს თანამშრომლობის შემდგომი განვითარება-გაღრმავების გზაზე.

მთელი სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ, ურყევ ჯანმრთელობასა და წარმატებებს თქვენს სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში, მეგობარ ქართველ ხალხს კი — მშვიდობას, კეთილდღეობასა და აყვავებას.

გულწრფელად თქვენი

**ისლამ ქარიმოვი,**
უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.
ქალაქი ტაშკენტი.

**გზადაგზა**

## სახელმა შენმა გამოგაჩინოს...

თქვენც ხომ იცით, რომ მთავარი „საჯილდაო ქვა“, რომელიც ამ ბოლო დღეებში არნახულ სიმაღლეზე აიტაცა ჩვენმა პრესამ და რადიოტელევიზიამ, გახდა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე „სუბიექტების“ მიერ ცსკ-ში სიების წარდგენა-არწარდგენის საკითხი. ბოლოსდაბოლოს, დათქმულ დროში ძლივძლივობით ჩატეული პარტიების წარმომადგენლებმა ეს მრავალნატანჯი სიები „პატრონს“ ჩააბარეს და... გაიშალა ფართო სჯა-ბაასი (პრესაში, ტელევიზიაში) „სიობრივი“ მონაცემების თაობაზე — ვინ, რატომ, რა ადგილზე „ჩასვეს“, ვინ არის ახალი „სახე“, ვინ ძველი, ვის რა შანსი აქვს არჩევნებზე და ა. შ.

იხ. მე-2 გვ.

**რეაქცია**

## საჭირო იყო მეტი პრინციპულობა

**არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ქვეყანაში სიტუაცია, რბილად რომ ვთქვათ, აქტიურ ფაზაში შედის. რა გასაკვირია, ამ თვალსაზრისით, მომეტებული ყურადღება მართებს დედაქალაქს, სადაც წინასაარჩევნო ვნებათაღელვის ნამდვილი ეპიცენტრია. საქართველოს პრეზიდენტმა სამართალდამცავ სტრუქტურებს წესრიგის უზრუნველსაყოფად მობილიზებისკენ მოუწოდა. როგორია წინასაარჩევნო მზადყოფნა დედაქალაქის პროკურატურაში? ამ კითხვით ქალაქ თბილისის პროკურორის მოადგილეს ჯანგულ ჯანელიძეს მივმართეთ:**

იხ. მე-3 გვ.

**სხვისი კარიკატურა**



ჩვენი პრობლემები.

**პრეზიდენტი**

## რაინერ რიენმიულერი: „ყველაფერს ვიღონებ იმისათვის, რომ მომავალშიც მაქსიმალურად დაგეხმაროთ“



„ეს ჯილდო უდიდესი პატივია ჩემთვის. მაგრამ გაცილებით უფრო დიდი პატივი ის არის, რომ პირადად თქვენი ხელიდან ვიღებ მას. თქვენ ხართ ადამიანი, რომელმაც ძირეულად შეცვალა ევროპა, მაგრამ თქვენ ხართ არა მარტო დღევანდელი ევროპის, არამედ მომავლის, ჩვენი შვილების ხვალინდელი დღის არქიტექტორი“, — ამ სიტყვებით ჩაიბარა ღირსების ორდენი ავსტრიელმა პროფესორმა, თანამედროვე რადიოლოგიის უთვალსაჩინოესმა წარმომადგენელმა რაინერ რიენმიულერმა 3 ოქტომბერს სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ დაჯილდოების ცერემონიაზე. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პირადად გადასცა ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო რადიოლოგიაში ძალზე მნიშვნელოვანი და პროგრესული მიმართულების — რადიოლოგიური კარდიოლოგიის შემქმნელს, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოში რადიოლოგიური სკოლის განვითარებაში და მადლობა გადაუხადა მას ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

პროფესორი რიენმიულერი 1997 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრია. მისი დამსახურებაა ქართული სამედიცინო რადიოლოგიის ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა, ახალგაზრდა ქართველ რადიოლოგთა კვალიფიკაციის ამაღლება.

იხ. მე-2 გვ.

**ინფორმაცია**

### წარადგინეს დეპუტატობის კანდიდატი

სახელისუფლებო ბლოკის — „ახალი საქართველოსთვის“ წარმომადგენელმა, საქართველოს რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ ხაშურის რკინიგზელთა სასახლეში შეკრებილ საზოგადოებას წა-

რუდგინა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ხაშურის რაიონის მკვიდრი, უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე, გენერალი სიმონ ნოზაძე.

დეპუტატობის კანდიდატის დამსახურებაზე ილაპარაკეს ხაშურის რაიონის გამგებელმა ვლადიმერ ჯობაძემ, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლის მხარეში დავით ქობლიანიძემ, კოსმოსური კვლევის ცნობილმა სპეციალისტმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა, პედაგოგმა მაყვალა ტალახაძემ და სხვებმა. მათ გამოსვლებში მკაფიოდ გამოიკვეთა აზრი, რომ სიმონ ნოზაძის სახით, მისი არჩევის შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტს პროფესიონალი წევრი ეყოლება.

### შეჯამდა „სკოგ“-ის შედეგები

საქართველოს უშიშროების სამინისტროში 3 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ წარმოადგინა ორთვიანი საგანგებო-კომპლექსური ოპერატიული გეგმის — ე.წ. „სკოგ“-ის შედეგები. მისი განცხადებით, აგვისტო-სექტემბერში მოხერხდა კონტრაბანდული საწვავის 50 პროცენტის ლეგალიზება. გაიზარდა როგორც ლეგალური საწვავის იმპორტი, ასევე საბიუჯეტო შემოსავლები. სექტემბერში ლეგალური საწვავის ბრუნვამ 25000 ტონას მიაღწია, რაც უახლოვდება ლეგალური იმპორტის მაჩვენებელს. მარტო თბილისში თუ ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტში 353 ათასი ლარი შევიდა, აგვისტოში ამ მაჩვენებელმა მილიონ ლარს მიაღწია.

### კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზებზე

ქუთაისში ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, რუსი და ჩეჩენი ახალგაზრდები შეიკრიბნენ. ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა „მრგვალი მაგიდა“ მოაწყეს თემაზე „კონფლიქტების დარეგულირება სამშვიდობო გზებით“.

აღნიშნული შეხვედრა ევროსაბჭოს ეგიდითა და ფინანსური მხარდაჭერით იმართება.

ახალგაზრდებმა შეიმუშავეს ერთობლივი წინადადებები, რომლებიც საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთისა და ჩეჩნეთის მეთაურებს დაეგზავნებათ.

### რადიოაქტიური წყაროები არ აღმოჩნდა

პანკისის ხეობაში დასრულდა რადიოაქტიური წყაროების საძიებო სამუშაოები, რომლებიც უშიშროებისა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა განახორციელეს. სპეციალისტთა მტკიცებით, ხეობის კლდოვან ნაწილში რადიაციული ფონი ბუნებრივად მაღალია, თუმცა ეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო არ არის. უახლოეს მომავალში საძიებო სამუშაოები კახეთის სხვა რეგიონებშიც, აგრეთვე, რაჭა-ლეჩხუმშიც დაიწყება. სამუშაოები ატომური ენერგიის გამოყენების საერთაშორისო სააგენტოს მხარდაჭერით ხორციელდება.

### კონტრაქტები საბაჟო სფეროში

ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით თარხან-მოურავი 3 ოქტომბერს ანკარას გაემგზავრა. ვიზიტის მიზანია საქართველოსა და თურქეთს შორის საბაჟო საკითხებში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 2002 წლის 5 აპრილს ხელმოწერილ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა და, ამასთან დაკავშირებით, შესაბამისი ოქმის გაფორმება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-პრესმა.

**დღის შეკითხვა**

## როგორ აფასებთ ბოლნისში მომხდარ სისხლიან შეტაკებას?

**ირწმუნო მათი, ვინც ცდილობს, არაკეთილსინდისიერი გზით გაიმყაროს საარჩევნო პოზიციები, დააგროვოს ხმები და ა. შ., ძნელია, მეტიც, — შეუძლებელი.
რა ხდება დღეს საქართველოში? რატომ დაიძაბა სიტუაცია, რას ფიქრობს ამაზე ხალხი?**

**ნუგზარ მოლოდინაშვილი,**
პოლიტოლოგი:
— ოპოზიცია ყველანაირი ხერხით ცდილობს ფსიქოლოგიური ტერორის ფონი შექმნას, რადგან ქვეყანაში არეულობა და დესტაბილიზაცია მათთვის სასურველი მდგომარეობაა. ოპოზიცია ამ გზით მიზანმიმართულად ფიქრობს ხელისუფლების დაშინებას, შემდეგ კი სათავეში მოსვლას.

**თამარ კილაძე,**
პედაგოგი:
— ძალიან სამწუხაროა, როდესაც პოლიტიკოსები პოზიციების გამყარებას მასების მანიპულაციით ცდილობენ. რასაც მიხეილ სააკაშვილი აკეთებს, საშინელი შედეგის მომტანია. ჩხუბი ყველგან რაღა მაგას მოსდის? ამან შეიძლება ერთმანეთს გადაჰკიდოს არა მარტო ქართველები, არამედ მოძმე ხალხებიც.

**გიორგი ჭელიძე,**
ინჟინერ-კონსტრუქტორი:
— როდესაც ღამის 2 საათზე გაურკვეველი წარსულის მქონე პირები, ასევე გაურკვეველი ადამიანების პასპორტებსა და პირადობის მოწმობებს ქუჩაში არხეინად დაატარებენ, ბუნებრივია, ეს არაკანონიერი ქმედებაა. ასეთი საქმეები ერთხელ და საბოლოოდ უნდა აღიკვეთოს. ვინ გაიგონა, ასე ასობით პასპორტის წაღმა-უკუღმა ტარება? ვინ მიამიტი დაიჯერებს, რომ ისინი სასიკეთოდ დაჰქონდათ?

**ნაირა ექვთიმიშვილი,**
ექიმი:
— სირცხვილია, როცა იგებ, ან უყურებ, როგორ სცემენ რაიონის გამგებელს, როგორ ასისხლიანებენ საკრებულოს თავმჯდომარეს და, საერთოდ, სირცხვილია, როცა პარლამენტარობისთვის ყველაფერს კადრულობენ. სააკაშვილი რომ სხვის ნაცისტობაზე ლაპარაკობს, თავისი მოქმედებით თავად არა ჰგავს ყველაზე პირწავარდნილ ნაცისტს?

**მერაბ სიხუაშვილი,**
სტუდენტი:
— შეაფასო, რაც მოხდა, ძალიან რთულია, ახსნა არა აქვს და იმიტომ. მოსახლეობამ კარგად უნდა დაინახოს, თუ როგორი ხერხით ცდილობს ესა თუ ის პარტია არჩევნების მოგებას, პროვოკაციებში მოსახლეობის ჩართვას, გადაბირებას. ეს აღარ უნდა დამთავრდეს?

**ყოველი დღე გუშინდელზე უფრო რთული და დაძაბული თენდება. ყოველ წუთს მოვლენები რადიკალურად იცვლება. მოსახლეობისთვის ნათელი ხდება წინასაარჩევნო სიტუაცია, ამიტომაც კარგად დავფიქრდეთ, თუ ვინ ვინ არის. ქაოსსა და არეულობას სწორედ ისინი ქმნიან, ვისაც ადიდებულ მდინარეში იოლად გასვლა სურთ. ამას ფაქტები ლალადებს.**



რუბრიკას უძღვება
ეთერ საბანაშვილი.

**ამინდი დღეს**

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | — მცირე მოღრ. უნალექოდ. | ღამით +11, დღისით +19 |
| ბათუმი | — მცირე მოღრ. უნალექოდ. | ღამით +14, დღისით +21 |
| სოხუმი | — მცირე მოღრ. უნალექოდ. | ღამით +13, დღისით +21 |
| ფოთი | — მცირე მოღრ. უნალექოდ. | ღამით +13, დღისით +21 |
| ქუთაისი | — მცირე მოღრ. უნალექოდ. | ღამით +12, დღისით +20 |
| გორი | — მცირე მოღრ. უნალექოდ. | ღამით +11, დღისით +19 |
| თელავი | — ცვალ. მოღრ. ხან. წვიმა. | ღამით +11, დღისით +18 |

**ლარის კურსი**

3 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.5249 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1130 | ლარი |
| ევრო | 1 | 2.4764 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0694 | ლარი. |

**უკანასკნელ საათს**

ნიგერში სადამის კაცი — ერაყელი დიპლომატი ჰასან ფათაჰ ვისამ ალ ზაჰავი სკანდალის ცენტრში მოექცა ჰუსეინის ვითომდა მცდელობის გამო, ურანი ეყიდა ნიგერში. „ტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ელჩი ააშკარავებს, თუ როგორ იყენებდნენ ერაყის „ბირთვულ მუქარაში“ ირიბ და მოგონილ მტკიცებულებებს.





პაკისტანმა ახალი რაკეტა გამოსცადა, რომელსაც ბირთვული ქობინის ტრანსპორტირება და 300 კილომეტრამდე რადიუსში სამიზნემდე მიტანა ძალუძს, ეს ნიშნავს, რომ რაკეტების დარტყმის ზონაში ხვდება ინდოეთის რამდენიმე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქი.

**გიხაროდეს!**

## ერთ თვეში 486 ჩვილი დაიბადა



ორთაჭალაში მდებარე დავით ქორიძის სახელობის მე-4 სამშობიარო სახლი პაციენტების ნაკლებობას არასდროს უჩივის, მაგრამ სექტემბრის თვე ჩვილთა სიმრავლით გამოირჩევა.

— ჩვენს სამშობიარო სახლში სამი ბლოკია. პირველ სამეანოში 197 ბავშვი დაიბადა, მეორეში — 84, ხოლო ფასიან სამეანო ბლოკში — 205. სამივეში ტყუპებიც დაიბადნენ, სულ 486 ჩვილმა გაიარა ჩვენი სამედიცინო პერსონალის ხელში, — გვაცნობა სამშობიარო სახლის პრესცენტრიდან ლეილა ისკანდეროვამ.

ღმერთმა ამრავლოთ!

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

**ინტერპანორამა**



შვედეთის ახალ საგარეო საქმეთა მინისტრად ლაილა ფრეივალდსი დაინიშნა. იგი პროფესიით იურისტია. დაიბადა რიგაში. 1988-1991 და 1995-2000 წლებში შვედეთის იუსტიციის მინისტრი იყო.



იაპონელმა ქურდებმა თავიანთი „მენიუდან“ კაზინოები და ბანკები გამორიცხეს და ძვირადღირებულ ეგრეთ წოდებულ „სამეფო ხილს“ გაუსინჯეს გემო. ერთ-ერთი ფერმიდან რამდენიმე ათასი ცალი ნესვი მოიპარეს. ნესვი უძახე და თითოს ფასი 90 დოლარს აღემატება. ხელს გაატანეს „სატო ნიშიკის“ ჯიშის ალუბალი, რომელიც კილოგრამი 160 დოლარადაა შეფასებული.



ამერიკელი პილოტები ვარჯიშობენ სამოქალაქო თვითმფრინავების „ჩამოგდებაზე“, რომლებიც ტერორისტებმა გაიტაცეს. პილოტებმა და სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა 1500-ზე მეტი სასწავლო გაფრენა ჩაატარეს.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

CYAN BLACK

პრეზიდენტი

## რაინერ რიჯმიულერი: „ყველაფერს მივიღებ იმისათვის, რომ მომავალშიც მაქსიმალურად დაგეხმაროთ"

**პირველი გვერდიდან**

ევროპის რადიოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტი და არაერთი ქვეყნის რადიოლოგიური საზოგადოების წევრი, რომელსაც, ედუარდ შევარდნაძის თქმით, არანაირი ჯილდო აღარ უნდა უკვირდეს, განსაკუთრებული მადლიერებით იღებს თავის საქმიანობის ასეთ მაღალ აღიარებას საქართველოში და პირადად აცხადებს, რომ ამის უმთავრესი მიზეზი საქართველოს პრეზიდენტია. [illegible] რაინერ რიჯმიულერმა.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.**

კორუფციის წინააღმდეგ

# პოლიტიკური ნება და შემობრუნების დასაწყისი

**პირველი გვერდიდან**

ედუარდ შევარდნაძემ [illegible] პრეზიდენტთან ერთობლივად მუშაობაზე".

განახლებული საბჭოს პირველი სხდომის დღის წესრიგი დატვირთული იყო და არამარტო გაწეული საქმიანობის შედეგები განიხილეს, არამედ სამომავლო პერსპექტიულ გეგმებზეც იმსჯელეს.

ინფორმაცია საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების ცალკეული თანამშრომლების ხელშეწყობითა და დოკუმენტების გაყალბების გზით ორგანიზებულ პირთა ჯგუფის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების შესაძლო მითვისების ფაქტზე წარმოადგინა ანტიკორუფციული ბიუროს ეკონომიკურ დანაშაულობათა ანალიზის ექსპერტმა ირაკლი პირველმა. ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის იასე ზაუტაშვილის საპასუხო არგუმენტები ქაღალდზე შესრულებული ბიუჯეტის პარამეტრებივით ფერმკრთალად გამოიყურებოდა. საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ შალვა ჟორდანიამ კი საერთოდ დუმილი არჩია, რითაც **ცხადად წარმოჩინდა, რომ ანტიკორუფციული ბიუროს დასკვნაში ჩამოყალიბებული ფაქტები და მოსაზრებები სიმართლესთან ახლოსაა. დასტურად უახლოეს მომავალში შემოგთავაზებთ დასკვნის ვრცელ მიმოხილვას და, ალბათ, სამართალდამცავი ორგანოებიც მეტი ყურადღებით მოეკიდებიან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას.**

ამასთან, საბჭოს წევრების მოსაზრება, რომ სასწრაფოდ მოსაწესრიგებელია საკანონმდებლო ბაზა, საჭიროა ანტიკორუფციული ბიუროსათვის უფლებების გაზრდა (ისე, რომ კიდევ ერთი კორუმპირებული სისტემა არ მივიღოთ), გაიზიარეს საქართველოს პრეზიდენტმა და სახელმწიფო მინისტრმა. ედუარდ შევარდნაძემ მოითხოვა, რომ გენერალურმა პროკურატურამ დასკვნაში მოხმობილი ფაქტების დეტალურად გამოძიების შედეგები აცნობოს ანტიკორუფციულ საბჭოს.

საბჭოს წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური ნება და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის თავიანთი მზადყოფნაც დაადასტურეს. ამასთან, ხაზგასმით ითქვა, რომ კორუფციისათვის მნიშვნელოვან ხელშემწყობ გარე- [illegible] პრეზიდენტის 2003 წლის 17 ივლისის №430 განკარგულების შესრულების თაობაზე და ანტიკორუფციულ ბიუროში მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოადგინა საბჭოს მდივანმა ვლადიმერ უგულავამ.

განკარგულების შესრულების მონიტორინგი მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, და სწორედ ამ დასკვნებზე იმსჯელეს საბჭოს სხდომაზე.

— მართალია, ერთი რომელიმე განკარგულების შესრულება — შეუსრულებლობის საკითხი ერთმნიშვნელოვანი, კონკრეტული, განზოგადებული დასკვნებისათვის შესაძლოა არასაკმარისი იყოს, — თქვა ვლადიმერ უგულავამ, — მაგრამ, ალბათ, დასაფიქრებელია ის ფაქტი, რომ განკარგულებით გათვალისწინებული განსაკუთრებული მნიშვნელობის თითოეული დავალების შესასრულებლად, მათი საჯარო განხილვისა და მოწონების, ზუსტად განსაზღვრული ვადების მიუხედავად, ამ დოკუმენტის გამოცემიდან ერთ წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, მრავალი დავალება კვლავაც შეუსრულებელია. ან მათი დიდი ნაწილი მხოლოდ ნაწილობრივადაა შესრულებული, რაც წინასწარ დაგეგმილი ეფექტიანი მიზნის მისაღწევად აშკარად არასაკმარისი აღმოჩნდა.

აღმასრულებელ ხელისუფლებას, სამთავრობო დაწესებულებათა უმრავლესობას, ქვეყნის პარლამენტს, ზეპირად დეკლარირებული იდეებისა და პრინციპების მიუხედავად, არ აღმოაჩნდათ არც ნება, იქნებ, არც სათანადო კოორდინაცია და ორგანიზებულობა, რათა უცილობლად შესრულებულიყო საქართველოს პრეზიდენტის დავალებები.

აღნიშნული განკარგულების შესრულების შედეგები ძალზე დამა- [illegible] რეკომენდაციის ფორმალური შესრულების მიდგომით, რა თქმა უნდა, შეუძლებელია რაიმე გარღვევის მიღწევა, მით უფრო ისეთ საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა კორუფციული გარემოს დაძლევა. საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს მიაჩნია, რომ თუ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არ მიიღო გადამჭრელი ზომები საშემსრულებლო დისციპლინის გაუმჯობესებისა და აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებათა შორის კოორდინაციის აღდგენის მიზნით, შეუძლებელი იქნება რაიმე რეალური ცვლილებების მიღწევა.

მიუხედავად ამისა, თქვა შემდეგ საბჭოს მდივანმა, არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მდგომარეობა უიმედოა. ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ მთელი რიგი კანონპროექტები, რომელთა შემუშავებასაც ანტიკორუფციული პროგრამა ითვალისწინებს, ამ ეტაპზე მომზადებულია. ასევე მზადაა აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა გეგმის პირველი ვარიანტი, რაც ანტიკორუფციული პროგრამით გათვალისწინებული რეკომენდაციებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

სწორედ ამიტომ, ანტიკორუფციული მოძრაობის ამ ეტაპზე, საბჭოს წევრების აზრით, აუცილებელია გააქტიურდეს მოქმედება საბოლოო გადაწყვეტილებათა მიღების თვალსაზრისით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნათლად უნდა გამოიკვეთოს პოლიტიკური ნება — განხორციელდეს რადიკალური ცვლილებები ქვეყანაში არსებული კორუფციული გარემოს დასაძლევად.

**პოლიტიკურ ნებაზე ანუ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა მკვეთრად ჩამოყალიბებულ პოზიციაზე უკვე მოგახსენეთ. ედუარდ შევარდნაძე მოითხოვს კორუფციასთან ბრძოლის გააქტიურებას. ამ პროცესში ერთსულოვნად ჩაებმებიან როგორც საბჭოს წევრები, აგრეთვე ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომელთა რეპუტაცია ეჭვს არ იწვევს. ყველა სახელმწიფო დაწესებულებას დაეგზავნება პრეზიდენტის სპეციალური განკარგულება, რომ ანტიკორუფციულ საბჭოს დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია. ამასთან საქართველოს პრეზიდენტმა საბჭოს წევრებს სთხოვა, დაესწრონ მთავრობის სხდომებს და კონკრეტული საკითხები გამოიტანონ განსახილველად, აქტიური მონაწილეობა მიიღონ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში.**

**როგორც სხდომაზე ითქვა, ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს განახლებული შემადგენლობა მზად არის მხარში ამოუდგეს სახელმწიფოს მეთაურს. საქართველოს პრეზიდენტი, თავის მხრივ, ყველა ბერკეტს აამოქმედებს საბჭოს მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად.**

**ასეთია პოლიტიკური ნება, ნება, რომელიც ქვეყნის თითოეული მოქალაქის სახელმწიფოებრივად აზროვნებას უნდა ემყარებოდეს.**

**ზონდო მძინარაშვილი.**

რეაქცია

# სახელმა შენმა გამოგაჩინოს...

**პირველი გვერდიდან**

ახალი სახეების და ახალი სახელების თემა ახლა ზენიტშია.

ჩემი ყურადღებაც ამან მიიპყრო: გამოჩნდნენ თუ არა წარდგენილ სიებში ახალი სახელები და საერთოდ რა **სახელს** ატარებენ პარლამენტარობაზე მონადირე „სუბიექტები"?

აღმოჩნდა, რომ პარლამენტის სკამმაძიებელთა დიდი უმრავლესობა ტრადიციული ქართული სახელების მფლობელია: გიორგი, დავითი (მაგალითად, „ახალ მემარჯვენეებს" ათეულში სამი დავითი ჰყავთ, ბლოკ „ბურჯანაძე-დემოკრატებს" — ასევე სამი გიორგი, თუმცა ერთი მათგანი შემოკლებულ „გიგის" სახელს ატარებს), საკმარისადაა მიმობნეული სახელები „მამუკა", „შალვა", „ცოტნე", „ლევან", „პაატა", „ავთანდილ", „ფრიდონ" და ა. შ. თუმცა ყველას „უჯოკრავს" სახელი „ზვიადი". ბლოკ „ერთობას", მაგალითად, ორი ზვიადი ჰყავს პრიზორთა შორის, „ნაციონალებსაც" ჰყავთ თავიანთი ზვიადი (ძიძიგური). გამოჩნდა ერთი ძალიან უცხო სახელიც: „მრეწველთა" ათეულში „**ბეატრის**" „ჩაუჯენიათ" (რუსია კი არის, მაგრამ ნაღდი ქართველი გახლავთ).

ცოტა არ იყოს, მეწყინა, რომ ჩემი ერთი „სეხნიაც" ვერ აღმოვაჩინე 3 ოქტომბრის „ახალი თაობის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ ამ სიებში, მაგრამ დარდი გამიქარვა იმის გახსენებამ, რომ „ბურჯანაძე-დემოკრატების" თავკაცის (თუ თავქალბატონის) ნინოს მამა — ანზორია, ანუ ჩემი სეხნიაა. სახელითა მამისათა...



**ანზორ ბასილაია.**

თათბირი

# საქონლის უკანონო ბრუნვის აღმოფხვრა ბიუჯეტის შევსების უმნიშვნელოვანესი რეზერვია

**აქციზური პროდუქციის იმპორტისა და წარმოების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე, რომელიც 2 ოქტომბერს სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა, მოხსენებით საგანგებო კომპლექსური ოპერატიული გეგმის (სკოგ) განხორციელების შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ.**

მან აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის დავალების შესაბამისად, ორი თვის განმავლობაში, სამინისტრო ასრულებდა საგანგებო კომპლექსურ ოპერატიულ გეგმას ქვეყანაში იმპორტირებული ნავთობპროდუქტების ლეგალიზაციასთან და აღრიცხვიანობის მოწესრიგებასთან დაკავშირებით და დამსწრეთ გააცნო გაწეული მუშაობის შედეგები. შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდა როგორც თბილისში, ისე შიდა და ქვემო ქართლში, კახეთსა და იმერეთში. შიდა ქართლში სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძეის უკანონოდ გაყვანილი მილები, რომლებიც ავტოგასამართი სადგურებიდან იყო გაყვანილი; იმერეთში სამინისტროს სპეცრაზმმა დააკავა დიდი რაოდენობით კონტრაბანდული ბენზინი; ქვემო ქართლში აღმოაჩინეს ბენზინის უკანონო საცავები და სხვა. აქტიური ღონისძიებების განხორციელების შედეგად გამოვლინდა დაახლოებით 50 სხვადასხვა ხასიათის სამართალდარღვევა, რომელთაგან ხუთ ფაქტთან დაკავშირებით გენერალურმა პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. სადღეისოდ გამოვლენილ კანონდარღვევებთან დაკავშირებით ბიუჯეტში უკვე ჩარიცხულია 80 ათასი ლარი. გარდა ამისა, ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელ ერთ-ერთ ქარხანაში აღმოაჩინეს რამდენიმე ასეული ტონა აღურიცხავი საწვავი, რასთან დაკავშირებითაც დაკისრებული ჯარიმა საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენს.



სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა თათბირის მონაწილეებს დეტალურად გააცნო სხვადასხვა მონაცემი შარშან და წლეულს ქვეყანაში იმპორტირებული ბენზინისა და დიზელის საწვავის შესახებ, განიხილა თვეების მიხედვით მათი ცვალებადობის დინამიკა, შეეხო ნაშთების (ანუ წინა თვეში მოუხმარებელი საწვავის) საკითხს. ერთობ საგულისხმო იყო ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსებული ავტოგასამართი სადგურების მიერ 2003 წლის იანვარ-სექტემბერში გადახდილი თანხების დინამიკის გაცნობა: თუკი ივლისის ჩათვლით ეს თანხები 337-დან 446 ათასის ფარგლებში მერყეობდა, აგვისტოში (სექტემბრის მონაცემები ამჟამად მუშავდება) მათ გადაიხადეს მილიონ ლარზე მეტი, თუმცა რეალიზებული საწვავის რაოდენობა შედარებით უმნიშვნელოდ იყო გაზრდილი. აღნიშნული გარემოება უდავოდ იმის დამადასტურებელია, რომ ნავთობპროდუქტების ლეგალიზაციისა და აღრიცხვიანობის საკითხებში სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მონაწილეობამ, აშკარად დადებითი შედეგი მოიტანა.

გარდა ამისა, ვალერი ხაბურძანიამ დამსწრეთ გააცნო სახელმწიფო კანცელარიის სოციოლოგიური სამსახურის კვლევისა და „გორბი გელაპ ინტერნეიშენალის" მიერ თბილისში განხორციელებული სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგები, რომლებიც ფაქტობრივად, ერთმანეთს ემთხვევა.

„გორბის" მიერ გამოკითხული დაახლოებით ათასი მძღოლიდან ნავთობპროდუქტების კონტრაბანდასთან ბრძოლის გაძლიერებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის დავალების შესახებ ინფორმირებული იყო რესპონდენტთა 76 პროცენტი. მათ შორის ნახევარზე მეტმა დავალებას დადებითი შეფასება მისცა, ხოლო 67 პროცენტმა უპასუხა, რომ სხვებზე უკეთ მისი შესრულება სახელმწიფო უშიშროების სამსახურს შეუძლია. გარდა ამისა, რესპონდენტების 60 პროცენტი დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ კონტრაბანდასთან ბრძოლის შედეგად საწვავის ფასის მომატება გამართლებული იქნება, თუკი ამოღებული თანხა ბიუჯეტში შევა. საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, ერთი მსუბუქი ავტომანქანა დღეში დაახლოებით 4,26 ლიტრ ბენზინს წვავს (თვეში 128 ლიტრს), ხოლო თბილისში რეგისტრირებული კერძო ავტომანქანები თვეში 9615-დან 10770 ტონამდე საწვავს მოიხმარენ.

მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მსხვილი იმპორტიორები არ არიან კონტრაბანდით დაინტერესებული, ვინაიდან ეს მათ საქმიანობას მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის.

შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 12 ივლისის №857 განკარგულებით დამტკიცებულ ღონისძიებათა გეგმის შესრულების დაწყებიდან ოქტომბრის დამდეგამდე, ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის არალეგალური ბრუნვის მასშტაბის შემცირებისა და აღკვეთის მიზნით, გამოვლენილია სამართალდარღვევის 259 ფაქტი. მათ შორის, უაქციზო თამბაქოს ბრუნვის 120 და აღურიცხავი და განუბაჟებელი საქონლის გადატანა — რეალიზაციის 139 შემთხვევა. მთლიანად უკანონო ბრუნვიდან ამოღებულია დაახლოებით მილიონ 78 ათასი ლარის საქონელი, კერძოდ, 321 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი, 61,5 ათასი ლიტრი საწვავი, 100 ათასი კილოგრამი ფქვილი, სხვა სახეობის პროდუქცია. მკაცრ ზომებს იღებენ ნავთობპროდუქტების არალეგალური ბრუნვისა და არასტანდარტული ავზებით გადაზიდვის ფაქტების გამოსავლენად და აღსაკვეთად, რისთვისაც საგზაო პოლიცია შესაბამისი დირექტივებით ხელმძღვანელობს.

კობა ნარჩემაშვილმა განაცხადა, რომ ფინანსთა სამინისტროსაგან მიღებული ოფიციალური მონაცემებისა, და სამინისტროს მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მიმართეს შესაბამის სასამართლოებს, რომელთა ბრძანებით ამჟამად მიმდინარეობს შვიდი საწარმოს საქმიანობის შესწავლა. ესენია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: „ივერია", „ალგეთთამბაქო", „რესინვესტი", „თბილთამბაქო", „ქართლი", „თბილისი" და „თამბაქო", რომელთა საგადასახადო შემოწმება დაიწყო საგადასახადო დეპარტამენტმა. ამასთან ერთად მინისტრმა აღნიშნა, რომ შპს „ალგეთთამბაქოში" ინვენტარიზაცია უკვე დამთავრდა და გამოვლენილია 8,5 ათასი კილოგრამი თამბაქოს ნედლეულის, 206 კილოგრამი ქაღალდისა და 218527 ცალი ეტიკეტის დანაკლისი, რის გამოც მიმდინარეობს მოკვლევა. საგადასახადო დეპარტამენტიდან მიღებული მონაცემებით, უკვე გაცემულია ბრძანება „ბრიტიშ—ამერიკან ტობაკო ჯორჯია ლიმიტედ"-ის შემოწმების თაობაზე, თუმცა ინვენტარიზაციის დამთავრება ვერ მოხერხდა იმ მიზეზით, რომ თითქოსდა ამ ფირმის საქონლის ნაწილი შპს „საქართველოს თამბაქოს" წარმოების ტერიტორიაზე ინახება, ეს უკანასკნელი კი დაკეტილია... თანამშრომელთა შვებულებაში ყოფნის გამო.

საგულისხმოა, რომ თამბაქოს ნაწარმის გადაადგილებისა და რეალიზაციისადმი კონტროლის დაწესების შემდეგ, მთელი რიგი ადგილობრივი საწარმოების ხელმძღვანელებმა, გადასახადისაგან თავის არიდების მიზნით, დაიწყეს ერთი და იგივე აქციზური მარკის მრავალჯერადი გამოყენება. კერძოდ, თამბაქოს რეალიზატორები გაყიდვისას კოლოფიდან ხსნიან აქციზურ მარკებს, აგროვებენ და უკან უბრუნებენ მწარმოებლებს განმეორებითი გამოყენებისათვის. სამინისტრომ ოპერატიულად უკვე დაადგინა ასეთი ფაქტები და თუ საწარმოთა ხელმძღვანელები ხელს არ აიღებენ ასეთ მოქმედებაზე, მათ მიმართ უმკაცრესი ზომები გატარდება.

გარდა ამისა, შს მინისტრმა საქართველოს პრეზიდენტსა და თათბირის მონაწილეებს მოახსენა, რომ, განკარგულების შესაბამისად, ეკოლოგიურმა პოლიციამ სერიოზული მუშაობა გასწია ხეტყის უკანონო ჭრისა და ხის გადამამუშავებელი არალეგალური საამქროების გამოსავლენად. შემოწმებისას დადგენილია ხეტყის უკანონო ჭრის 610 ფაქტი, რომელთაგან 93-ზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე, სადაც შემოწმდა 292 ობიექტი, რომელთაგან 95-ს რაიმე სათანადო საბუთი საერთოდ არ ჰქონდა. ამავე დროს, გარემოსდაცვითი ნებართვა არ აღმოაჩნდა 112 საწარმოს, 57 ობიექტი უკანონოდ გამოყოფილ ტერიტორიაზეა განთავსებული, ხოლო 27 მათგანი საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული არ არის. ყველა გამოვლენილ დარღვევაზე შედგა სათანადო ოქმები, რომლებიც რეაგირებისათვის შესაბამის ორგანოებს გადაეცა.

კამათის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც განსახილველ პრობლემასთანაა დაკავშირებული. კერძოდ, აღინიშნა, რომ სექტემბერში ნაშთად დარჩენილი 12 ათასი ტონა საწვავი გარკვეულ სიძნელეს შექმნის ოქტომბრის ბიუჯეტის ზოგიერთი გეგმური მაჩვენებლის შესრულებას; ბენზინის, დიზელის საწვავისა და თამბაქოს განბაჟების შარშანდელი და წლევანდელი განბაჟების მაჩვენებლების შედარებისას გაირკვა, რომ ანტიკონტრაბანდული ღონისძიებების დაწყების შემდეგ ისინი საგრძნობლად გაიზარდა; რომ საჭიროა წლის დამლევამდე მოხდეს საბაჟო გადასახადების ოპტიმიზაცია, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხის კონტროლი; რომ ავტოგასამართ სადგურებზე აუცილებელია აღრიცხვიანობის მოწესრიგება; რომ მართალია, საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტისათვის ოპერატიული სამსახურის ფუნქციების დამატება მნიშვნელოვანი ნაბიჯია, მაგრამ ვიდრე ისინი გამართულად დაიწყებდნენ მუშაობას, სასურველი იქნებოდა, რომ ძალოვანმა სტრუქტურებმა კიდევ ერთ-ორ თვეს გაუგრძელონ მათ სათანადო დახმარების გაწევა, რომ შავი და ფერადი ლითონის ჯართისა და ხეტყის გატანის მოუწესრიგებლობის გამო სახელმწიფო ყოველწლიურად მნიშვნელოვან თანხებს კარგავს და სხვ.

სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ილაპარაკა იმ დადებით ტენდენციებზე, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების აღსრულებისას გამოიკვეთა, ხაზი გაუსვა იმას, რომ კონტრაბანდისა და აღურიცხავი საქონლის უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლა დროულად უნდა გადავიდეს იმ სახელმწიფო სტრუქტურების ხელში, ვისაც ამის განხორციელება უშუალოდ ევალება.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. მან მადლობა გადაუხადა სახელმწიფო უშიშროებისა და შს სამინისტროებს გაწეული მუშაობისათვის, რომლებიც ამ მიმართულებით საქმიანობას ოქტომბერშიც გააგრძელებენ, თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ უშუალო საქმიანობის შესრულებისათვის მათ რაიმე შეღავათი გაეწევათ. ედუარდ შევარდნაძემ მიუთითა, რომ საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტებში აუცილებლად უნდა შეიქმნას საგამოძიებო სამსახურები.

— ახლებურად დადგა დღის წესრიგში თამბაქოს ნაწარმის აღრიცხვიანობის მოგვარების საკითხი. ადგილობრივ საწარმოთა პრობლემებზე ადრე არ ყოფილა ლაპარაკი. ახლა დეპუტატობის კანდიდატად აყენებენ კაცს, რომელსაც რვა თვეა საწარმო აქვს და ბიუჯეტში ერთი ლარი არ გადაუხდია. რატომ ხართ გაჩუმებული? — ასეთი მწვავე იყო საქართველოს პრეზიდენტის რეაქცია. — ავად თუ კარგად, იმპორტირებულ თამბაქოს რაღაცნაირად კიდევ ვაკონტროლებთ, ჰოდა საწარმო, რომელიც აქ ამუშავდა, რომლის გახსნაზეც ვიყავით და ტაშსაც ვუკრავდით სამამულო წარმოებას, მითხარით, ამისთანა სამამულო წარმოება ვის რაში სჭირდება?

ედუარდ შევარდნაძე შეეხო ჯართისა და ხეტყის უკონტროლო გატანის საკითხს და აღნიშნა, რომ ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა ფოთის ნავსადგურის სათანადოდ აღჭურვა იმისათვის, რომ ამ სახეობის საქონელი საზღვარგარეთ მხოლოდ იქიდან გადიოდეს. მან აგრეთვე ხაზი გაუსვა იმასაც, რომ არ არის აუცილებელი, ყველაფერი პრეზიდენტმა გადაწყვიტოს, საჭიროა შესაბამის უწყებათა ხელმძღვანელებმა პრობლემების გადაჭრისათვის თავად იზრუნონ.

— უფრო მეტად ხე-ტყის საკითხი მაწუხებს. მოიფიქრეთ, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ფოთის ნავსადგური, რომ ხეტყე მხოლოდ იქიდან გავიდეს და შეიძლებოდეს ამის გაკონტროლება, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა. მან, ასევე აღნიშნა, რომ პრობლემის გადაჭრაში მოწინავე პოზიციაზე უნდა იყოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

— თუ კახეთში შეიძლება წესრიგის დამყარება, რატომ არ შეიძლება ბორჯომში? ნახეთ ერთი ვერტმფრენიდან, რა ხდება, გული გაგისკდებათ, ბორჯომში ტყე აღარ არის, გაჩეხილია, გაჩანაგებულია. სახერხები კი ბევრია, ათჯერ მეტი, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ყველა სამინისტრო კი გაჩუმებულია. მე მგონი, უნდა დაისვას პასუხისმგებლობის საკითხი, — ასე კრიტიკულად შეაფასა შექმნილი ვითარება საქართველოს პრეზიდენტმა.

ედუარდ შევარდნაძემ მხარი დაუჭირა შესაძლებლობას, რომ თამბაქოს აქციზური გადასახადი შემცირდეს, თუმცა აღნიშნა, რომ აქაც ფულს აკეთებენ, როცა საქონელი აქციზური მარკით ნიშანდების გარეშე გადის, არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვის ჯიბეში მიდის ეს თანხები.

სახელმწიფოს მეთაური შეეხო ადგილობრივი ნავთობის მოპოვების თემას, რომელიც ამჟამად დღე-ღამეში დაახლოებით 500 ტონას შეადგენს, აღნიშნა, რომ არსებობს „გაორი", ერთადერთი ქარხანა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიითაა აღჭურვილი და საჭიროა პოტენციალის ჯეროვნად გამოყენება.

მან გაიმეორა, რომ საბაჟო და საგადასახადო სამსახურებს საქმის გაკეთებაში უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები კიდევ მხოლოდ ოქტომბერში მოეხმარებიან, შემდეგ კი ისინი ამ მოღვაწეობას ჩამოსცილდებიან, რადგან თავიანთი პრობლემები აქვთ გადასაჭრელი. ინციდენტიც ბოლნისში სწორედ იმის გამო მოხდა, რომ სამინისტროების ხელმძღვანელებს უშუალოდ თავისი საქმის მისახედად დრო აღარ რჩებათ.

საქართველოს პრეზიდენტმა მკაცრად მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტის ოქტომბრის გეგმური პარამეტრების შესრულება და განაცხადა, რომ აუცილებელია ყოველგვარი მორიდების გარეშე დასაბეგრი ბაზის სრულფასოვნად გამოყენება.

**ოთარ ტურაბელიძე**
**საქინფორმის კორ.**

### არც მეცნიერებამ არ იცის საზღვრები

გუშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიხსნა საერთაშორისო სამედიცინო ფორუმი — საქართველოს რადიოლოგთა II კონგრესი.

კონგრესი ეძღვნება სამედიცინო რადიოლოგიაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საკითხებს, კონვენციურ და ინტერვენციულ რადიოლოგიას, სხივურ თერაპიას.

კონგრესის შესახებ ინფორმაციას ხვალ სრულად შემოგთავაზებთ.

### სახელისუფლო პოსტების გადანაწილება გრძელდება

თვითალიარებულ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში სახელისუფლებო პოსტების გადანაწილება გრძელდება. ამ კუთხით დე-ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოევის გადაწყვეტილება ყველაზე სკანდალური გამოდგა. მისი ბრძანებით, ცხინვალის ადმინისტრაციის უფროსის პოსტზე შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი ვაჟა ხაჭაპურიძე დაინიშნა.

ხაჭაპურიძე ამ რეგიონში პირველი რწმუნებული იყო, თუმცა მოგვიანებით იგი იგორ გიორგაძესთან ერთად, 1995 წელს პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტში მონაწილეობისათვის გაასამართლეს და რამდენიმე წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელს ამ ბრალდებით იხდიდა.

აღნიშნული დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ ვაჟა ხაჭაპურიძე სამხრეთ ოსეთის ამჟამინდელ ხელისუფლებას დაუკავშირდა და სულ რამდენიმე თვის წინ კოკოევის ბრძანებით, იგი ცხინვალის რაიონის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის პოსტს იკავებს. უკვე გუშინ კი, იგი ცხინვალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გახდა.

ჯერჯერობით ამ ფაქტთან დაკავშირებით არც ედუარდ კოკოევს და არც ვაჟა ხაჭაპურიძეს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

### ნავთობსადენის კვალდაკვალ იშვიათი და უძველესი ნივთები

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო ნავთობსადენის პროექტის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე გათხრების დროს გაბაწყურის ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანის ანტიკური და შუა საუკუნეების-დროინდელი არქეოლოგიური ნივთები აღმოჩნდა.

როგორც „ინტერ-პრესს" BTCco-ში განუცხადეს, მილსადენის მშენებლობის ფარგლებში მიმდინარე გათხრების დროს „პერიოდულად ისეთი არქეოლოგიური ნივთები ჩნდება, რომ მათი შესაძლო არსებობის შესახებაც კი აქამდე არავინ იცოდა".

„ბრინჯაოს ხანის ნივთები ჩვ.წ.აღ-მდე VIII-IV საუკუნეებს განეკუთვნებიან. გათხრების დროს აღმოჩენილია ბრინჯაოს სამკაულები, კერამიკა, სანაყი, კერამიკის გამოსაწვავი ქურა კერამიკის ნატეხთან ერთად" — განაცხადეს BTCco-ში.

პროექტის ფარგლებში გათხრები მიმდინარეობს წალკაში. აქაც ბრინჯაოს ხანის ნივთები გვხვდება. აღმოჩენილია ყორღანი და სამარხი, რომელიც „მტკვარარაქსის" კულტურას განეკუთვნება. გათხრები მიმდინარეობს მარნეულშიც, უახლოეს ხანებში კი აღმოჩენებს თეთრი წყაროდან უნდა ველოდოთ, რადგან გათხრები აქაც მალე დაიწყება.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის 2 მლნ. დოლარი უკვე დაიხარჯა.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-პრესმა და ჩვენმა კორესპონდენტმა.**

რეპლიკა

# მოთმინებასაც საზღვარი აქვს

**პირველი გვერდიდან**

ეთიკის ნორმები თანამედროვე მედიისთვის, როგორც ჩანს, მოძველებულია. შინაგანი ცენზორი ბევრს სულთამხუთავი ჰგონია და თუ მოულოდნელად, გზააბნევით გამოუჩნდა, კინწისკვრით მოისვრის ხოლმე. ეს ის შემთხვევაა, როცა კოლეგების გვერდით ვერ ვდგებით. ჩვენ პატივს ვცემთ პლატონს, მაგრამ ჭეშმარიტებას — კიდევ უფრო მეტად.

აქ ერთი ცნობილი შემთხვევა უნდა გავიხსენო.

1997 წლის საშობაო ნომერში გერმანულმა ჟურნალმა „ბუნტემ" პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ერთი პოპულარული მსახიობის სურათი ნაძვის ხისა და საჩუქრების ფონზე. წარწერაც შესაბამისი იყო — „ვის ერგება საახალწლო საჩუქარი?" ჟურნალმა აშკარად დასცინა ქალბატონს, რომელსაც რიგით მეოთხე ქმარი მისი ხელის მთხოვნელების გრძელ რიგში უნდა აერჩია. პიროვნების შეურაცხყოფისათვის საკონსტიტუციო სასამართლომდე მიღწეული საქმე ხანგრძლივი განხილვის შემდეგ ჟურნალმა წააგო და სოლიდური ჯარიმაც გადაიხადა. ეს პროცესი დასავლური ჟურნალებისათვის სამაგალითოდ იქცა იმდენად, რომ გავრცელდა გამაფრთხილებელი სურათი. მასზე გამოსახულია „ბუნტეს" ცნობილი ნომრის პირველი გვერდი დიდი წარწერით, — „verboten".

ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, ჩვენს გაყვითლებულ ჟურნალისტურ წრეებშიც გავრცელებულიყო, „ტრიბუნას" ბოლო გვერდის ფოტოკოლაჟი ასეთივე წითელი წარწერით: **„აკრძალულია!"**

**რუსუდან გახარია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი

### უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებასა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

**ღირსების ორდენით:**

**ვალერიან ელანიძე** — თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ზაირა კორაშვილი** — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალის ფილოსოფიის და პედაგოგიურ მეცნიერებათა კათედრის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; **ვახტანგ მოდებაძე** — თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრის დოცენტი, კომპიუტერული ცენტრის უფროსი.

**ღირსების მედლით:**

**ფიქრია არსენიშვილი** — საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის თელავის ფილიალის საინჟინრო-ტექნოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე; **გიორგი მეგრელიშვილი** — საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის თელავის ფილიალის დირექტორის მოადგილე; **მანანა მჭედლიშვილი** — საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის თელავის ფილიალის კადრებისა და სპეცსამსახურის განყოფილების უფროსი; **ლეილა ღლონტი** — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალის მათემატიკის კათედრის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი

### რობიზონ ქოჩორაშვილის, გიორგი ცერცვაძის, ლუიზა ტორიაშვილისა და არჩილ დარიბაშვილის დაჯილდოების შესახებ

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდისა და მათ კვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, სასწავლო პროცესის სრულყოფაში აქტიური მონაწილეობის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ:

**ღირსების ორდენით:**

**რობიზონ ქოჩორაშვილი** — გურჯაანის რაიონის ბაკურციხის დავით სარაჯიშვილის სახელობის აგრარულ-სამრეწველო ეკონომიკური კოლეჯის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **გიორგი ცერცვაძე** — თელავის ტექნიკური კოლეჯის განყოფილების გამგე.

**ღირსების მედლით:**

**ლუიზა ტორიაშვილი** — გურჯაანის რაიონის ბაკურციხის დავით სარაჯიშვილის სახელობის აგრარულ-სამრეწველო ეკონომიკური კოლეჯის მასწავლებელი; **არჩილ დარიბაშვილი** — თელავის ტექნიკური კოლეჯის მასწავლებელი.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი

### კახეთის მხარის განათლების დარგის მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

მოსწავლე ახალგაზრდობისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და სასწავლო პროცესის სრულყოფაში აქტიური მონაწილეობისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის კახეთის მხარის განათლების დარგის მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

**ღირსების ორდენით:**

**ელენე ასათაშვილი** — ახმეტის რაიონის სოფელ მატანის №2 საშუალო სკოლის დირექტორი; **ფატი ბალიაური** — ყვარლის №2 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი; **ნინო ბიჭიაშვილი** — გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის საშუალო სკოლის დირექტორი; **სიმა ბიძინაშვილი** — გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდრის საშუალო სკოლის დირექტორი; **ლევან იაგორაშვილი** — თელავის №7 საშუალო სკოლის დირექტორი; **ჯანსუღ კვინიკაძე** — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის საშუალო სკოლის დირექტორი; **ნოდარ კოჭლამაზაშვილი** — სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილების უფროსი; **ლია მუმლაური** — თელავის რაიონის განათლების განყოფილების უფროსი; **თამარ საგინაშვილი** — საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების უფროსი; **ლეილა ფამალიშვილი** — დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი; **ნელი ქაიხოსროშვილი** — საგარეჯოს №1 საშუალო სკოლის დირექტორი; **თამილა ქურხაშვილი** — სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის დირექტორი; **თამარ ყარალაშვილი** — გურჯაანის №2 საშუალო სკოლის დირექტორი; **ლიანა შათირიშვილი** — ახმეტის რაიონის სოფელ მატანის №1 საშუალო სკოლის დირექტორი; **სვეტლანა შალვაშვილი** — დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ წითელწყაროს რუსულ-ქართული სკოლის დირექტორი; **დარეჯან ჭანკოტაძე** — თელავის №1 საშუალო სკოლის დირექტორი; **ვახტანგ ხაჩიშვილი** — ყვარლის რაიონის სოფელ წიწკანაანთსერის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი; **ავთანდილ ხიზანიშვილი** — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბაისუბნის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

**ღირსების მედლით:**

**ლეილა აბრამიშვილი** — თელავის №1 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; **გულჯახან ადაჯანოვა** — ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბლის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში; **თამარ ბადაშვილი** — დედოფლისწყაროს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი; **ლალი ბაცანაძე** — გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; **დალი გომელაური** — ახმეტის №2 საშუალო სკოლის დირექტორი; **თამარ გოცირიძე** — საგარეჯოს №1 საბავშვო ბაღის გამგე; **ნონა დავითაშვილი** — ყვარლის №3 ბაგა-ბაღის გამგე; **თინათინ თორღვაიძე** — ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საშუალო სკოლის დირექტორი; **მზია ლეკაშვილი** — დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ოზაანის საშუალო სკოლის დირექტორი; **მიხეილ სეფაშვილი** — ილია ჭავჭავაძის სახელობის ყვარლის №1 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი; **ესმერალდა სიფრაშვილი** — სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის საშუალო სკოლის დირექტორი; **ზეინაბ სუხიტაშვილი** — გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში; **ნინელი ქელიძე** — ნუგზარ ჭანტურიას სახელობის საგარეჯოს №2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში; **ცისმარი ყანჩაშვილი** — წნორის №3 საშუალო სკოლის დირექტორი; **თამარ შუბითიძე** — ლაგოდეხის რაიონის სოფელ გიორგეთის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში; **ნათელა ჯიმშიტაშვილი** — თელავის №9 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

**ედუარდ შევარდნაძე.**

დიდი ეკონომიკური ფორუმი ქუთაისში

# მხოლოდ მამულის მოსიყვარულე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებს ძალუძთ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა

**საზარდო და სამაისო ქუთაისს გასული კვირის საზეიმო დღეებში მრავალი გამოჩენილი ადამიანი ესტუმრა. 25-26 სექტემბერს ქუთაისში, ფოთში, სამტრედიასა და დიდ ჯიხაიშში გაიმართა დიდი ქართველი პუბლიცისტის, ეკონომიკის რეფორმატორისა და მოაზროვნის ნიკო ნიკოლაძის 160 წლისთავისადმი მიძღვნილი ეკონომიკური ფორუმი, — „მომავლის ეკონომიკა ძლიერი საქართველოსათვის“.**

ნიკო ნიკოლაძე თავისი დიდი განათლებით, კულტურით, პრაქტიკული საქმეებით, მამულის უსაზღვრო სიყვარულით, სიცოცხლეშივე იყო აღიარებული. თეორიულ-სამეცნიერო და სამწერლო შემოქმედებასთან ერთად ნიკო ნიკოლაძე იყო დიდი პრაქტიკოსი და საზოგადოებრივი მოღვაწე, მან დიდი ღვაწლი დასდო საქართველოში ელექტრიფიკაციის, რკინიგზების, გზატკეცილების, ხიდების, ნავსადგურების მშენებლობას, სამთამადნო მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, შეიმუშავა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი მდინარეთა სანაოსნოდ გამოყენების, ტრანსკავკასიის და ტრანსკონტინენტური რკინიგზების, ნავთობსადენების გაყვანის შესახებ და სხვა მრავალი. ყველას აოცებდა მისი დაკვირვებული თვალი, ღრმა ცოდნა და უნარი სხვადასხვა საქმეების შესასრულებლად.

დიდი მოღვაწე მუდამ მტკივნეულად განიცდიდა ყოველგვარ ანტიეროვნულ გამოხდომას. იგი შეუპოვრად ებრძოდა რუსეთის თვითმპყრობელობის სამსახურში ჩამდგარ ცენზურას და სასამართლოს, შოვინისტ გადამთიელებს და ერის მოღალატე გადაგვარებულ ქართველებს.

„მარტო ჩვენს ძალებს მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიშრომოთ“! — მოგვიწოდებდა დიდი ნიკო ნიკოლაძე. ის იმასაც ამბობდა: „თითოეული ჩვენგანი ცალკე გარბის, თვითონაც კი არ იციან საითკენ და რის იმედით, პარტიები გასაჭირის დღესაც უფრო იმაზე მეტად მეცადინეობენ, თუ შინაურ მოპირდაპირეს როგორ მოსტეხონ კისერი, ვინემ გარეშე მტრის მოგერიებაზე. ერთობა მარტო ენაზე აკრავთ და არა ძარღვებში აქვთ გამჯდარი“.

სწორედ რომ ერთობით, ცოდნით, დღედაღამ დაუღალავი შრომით შეიძლება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ფეხზე დადგეს, სხვანაირად შეუძლებელია რაიმე წარმატებაზე საუბარი.

მართლაც რომ ფართომასშტაბიანი და დატვირთული იყო დიდი ეკონომიკური ფორუმის პროგრამა. 25 სექტემბერს დილით საქართველოს ცნობილმა მეცნიერ-ეკონომისტებმა საჯარო ლექციები წაიკითხეს ქუთაისის უნივერსიტეტებსა და ნიკო ნიკოლაძის სახელობის ეკონომიკურ ლიცეუმში, ხოლო თავად ფორუმი გაიმართა ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, რომელიც გახსნა პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთის მხარეში თეიმურაზ შაშიაშვილმა. მან ფართოდ ისაუბრა ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის შესახებ, ამასთან, იმ პრაქტიკულ ნაბიჯებზე, რომელიც იმერეთის მხარის ეკონომიკას კრიზისიდან გამოიყვანს.

კულტურული და ინტელექტუალური მემკვიდრეობის შესწავლისა და პოპულარიზაციის საერთაშორისო ცენტრ „მერმისის“ პრეზიდენტმა კამელია მინდაძემ საზოგადოებას მოუთხრო მულტიმედიური ენციკლოპედია „საქართველო 3000“-ის შესახებ, რომელიც მონაცემთა ბაზისა და ორიგინალური მართვის სისტემის მეშვეობით მიზნად ისახავს მედიის ყველა საშუალებით გადმოსცეს საქართველოს ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა ქრისტეს წინარე პერიოდიდან დღემდე, ეპოქების მიხედვით, როგორც ლაზერული დისკების, ასევე ინტერნეტ-ვერსიის მეშვეობით. ენციკლოპედია „საქართველო-3000“ ხელს შეუწყობს საქართველოს ისტორიისა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას მსოფლიო მასშტაბით, რაც ასე აუცილებელია დღეს, რადგან ქართული ძეგლების უცხოურად გამოცხადების არაერთ მცდელობასთან გვაქვს საქმე. საერთო გლობალიზაციის პირობებში იგი მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაში უზრუნველყოფს ეროვნული იდეოლოგიის, ცნობიერებისა თუ თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ცენტრ „მერმისის“ მიზანია ხელი შეუწყოს მსოფლიო ხალხთა კულტურული და ინტელექტუალური მემკვიდრეობის ტრადიციების შესწავლასა და პოპულარიზაციას ყველა სფეროში, სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამებისა და ენციკლოპედიების შექმნის გზით.



საინტერესო იყო საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მერაბ ადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც ილაპარაკა ნავთობსადენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მნიშვნელობაზე, ევრაზიული დერეფნის როლზე ქვეყნის ეკონომიკის წინსვლაში და, აქედან გამომდინარე, იმერეთის მხარის შესაძლებელ უკეთეს მომავალზე.

ბიზნესმენმა და ქველმოქმედმა ბადრი პატარკაციშვილმა ისაუბრა იმ გზებსა და საშუალებებზე, რაც ჩვენს ქვეყანას ეკონომიკურ წარმატებას მოუტანს, თქვა — მდიდარი საქართველოს ხილვა ჩემი მიზანიაო. ამასთან, აღნიშნა, რომ იგი შეეცდება თავისი ნიჭით, უნარითა და გამოცდილებით იმერეთის მხარეს ყოველნაირად დაეხმაროს. მან თეატრის დარბაზშივე შეიძინა მულტიმედიური ენციკლოპედიის 100 ცალი დისკი.

ცნობილმა მეწარმემ და მეცენატმა გოგი თოფაძემ თავისი გამოსვლა ნიკო ნიკოლაძის სიტყვებით დაიწყო: — სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება, ვინემ გასაზიდი, მონობას ვერ ავცილდებით“. ამ სიტყვებს უთუოდ დაეჯერებაო, თქვა მან. ნიკო ნიკოლაძე ხომ 20 წლის განმავლობაში ფოთის მერი იყო და ამ ხნის განმავლობაში ქალაქის ბიუჯეტი ათჯერ გაიზარდაო. ნიკო ნიკოლაძის დასკვნების და რეკომენდაციების გათვალისწინება უთუოდ სასარგებლოა დღევანდელი მეწარმეებისათვის.

გოგი თოფაძემ, ეროვნული მეწარმეობის განვითარებას რომ შეეხო, აღნიშნა: ამ საქმეში იმერეთის მხარეს დიდი პოტენციალი აქვსო. ისიც დასძინა, რომ თავის მხრივ ყველაფერს იღონებს, რათა იმერეთში მრეწველობა კვლავ აღორძინდეს. დიდი ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებლებმა მიიღეს მემორანდუმი, რომელიც მომავალში იმერეთის მხარის ეკონომიკურ აღმავლობას დაედება საფუძვლად.

რომ არა ბატონ თემურ შაშიაშვილის დიდი ძალისხმევა და მონდომება, მისი ორგანიზატორული ნიჭი და უნარი, ნიკო ნიკოლაძის 160 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი ეკონომიკური ფორუმი ასე წარმატებით ვერ ჩაივლიდა.

„იმეცადინეთ, იშრომეთ, რაც გინდათ, ოღონდ თქვენი მამული გიყვარდეთ“... გვმოძღვრავდა დიდი ნიკო ნიკოლაძე. სწორედ მამულის მოსიყვარულე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებს შეუძლიათ ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღება.

**ლალი ქინქლაძე,**
**ჩვენი სპეც. კორ.**
**ქუთაისი-თბილისი.**

დეტალი

# სოხუმის ქუჩებში — ქართული მელოდიების თანხლებით

**აფხაზთა სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სეპარატისტული მოძრაობისა და 1992-93 წლების ომის ვეტერანები ცდილობენ მოიპოვონ ახალგაზრდების მხარდაჭერა შინაპოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც სულ უფრო მწვავდება აფხაზეთში.** ისინი სხვადასხვაგვარ და ზოგჯერ მეტად „თავისებურ“ შეფასებას აძლევენ იმას, თუ რითი ცხოვრობს და როგორ აზროვნებს ახლანდელი აფხაზი ახალგაზრდობა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის „აიტაირას“ სოხუმის საქალაქო ორგანიზაციის (ეს ორგანიზაცია თავს ოპოზიციურს უწოდებს) თავმჯდომარე ირინე აგრბა „აიტაირას“ სოხუმში გამართულ ყრილობაზე შეეხო ამ თემას. მან განაცხადა: „ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იცოდე, როგორ აზროვნებს ახალგაზრდობა, რა ღირებულებებია მისთვის პრიორიტეტული. ახალგაზრდობა, რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარია. სტუდენტ ახალგაზრდობაში, მაგალითად, ბევრია კრიტიკულად მოაზროვნე. ახალგაზრდობის მიერ სინამდვილის კრიტიკული აღქმა მნიშვნელოვანი მომენტია ახალი, დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებაში. მაგრამ ჯერჯერობით ნაადრევია ლაპარაკი მის მოქალაქეობრივ აქტიურობაზე.

არის სხვა, ვიმედოვნებ, უმნიშვნელო კატეგორია ახალგაზრდებისა, რომლებიც დროს უქმად ფლანგავენ და უცხოური მარკის მანქანებით დაქრიან სოხუმის ქუჩებში ქართული მელოდიების თანხლებით! ისინიც ჩვენი შვილები არიან, თუმცა მათი ასეთებად ჩამოყალიბება გარკვეულწილად ჩვენი რაღაც შეცდომის ბრალია“.

ესეც ასე. ქალბატონი აგრბა „რაღაც შეცდომას“ უწოდებს იმას, რომ ახალგაზრდა აფხაზები „დროს ატარებენ“ ქართული მელოდიების თანხლებით. იგი ცდილობს თავი დაიმშვიდოს იმით, რომ ასეთი ახალგაზრდები „უმნიშვნელო კატეგორიას“ შეადგენენ. მას, როგორც ჩანს, ვერ წარმოუდგენია, რომ აფხაზი ახალგაზრდების ნაწილს შეიძლება უბრალოდ მოსწონდეს ქართული მელოდიები და არ ანიჭებდეს ამას რაღაც პოლიტიკურ ან სხვა დატვირთვას. მაგრამ ეს ირინე აგრბას (და, შესაძლოა, არა მარტო მას) ძალზე არ მოსწონს. ამიტომაც წამოსცდა ასეთი რამ და ვერც კი მიხვდა მსგავსი გამონათქვამის აბსურდულობას. საინტერესოა, როგორ აპირებენ ირინე და მისი თანამოაზრეები ასეთი „შეცდომის“ აღმოფხვრას? იქნებ, ფიქრობენ ქართული მუსიკის აკრძალვას, ჯარიმების დაწესებას მათი მოსმენისათვის? ან აფხაზი ახალგაზრდობის ისე „აღზრდას“, რომ მას აღარ მოუნდეს ქართული მელოდიების ჩანაწერების შეძენა და მათი მოსმენა.

**საქინფორმი.**

რეაქცია

პირველი გვერდიდან

# საჭირო იყო მეტი პრინციპულობა

**— ბატონო ჯანგულ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად იგრძნობა ხოლმე, რომ, პოლიტიკოსების გარდა, თითქოს მოსახლეობაც აქტიურებული ხდება. რა სიტუაციაა დღეს დედაქალაქში და მართლაც საჭირო იყო თუ არა, რომ პრეზიდენტს სამართალდამცავებისთვის მობილიზებისაკენ მოეწოდებინა?**

— წინასაარჩევნო სიტუაციას ყოველთვის ახასიათებს ასეთი ფონი. ხშირია ცილისწამებისა და შემდგომ, ამის გამო, ურთიერთანგარიშსწორების ფაქტები. ეწყობა ათასგვარი აქციები, რა დროსაც, სამწუხაროდ, ხდება დანაშაულებრივი ფაქტები. სამართალდამცავთა მხრიდან ელემენტარულმა უყურადღებობამაც კი, შესაძლოა, დედაქალაქში უწესრიგობა გამოიწვიოს. სწორედ ამიტომ თბილისის პროკურატურა, დედაქალაქის პოლიციასთან ერთად, ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ კანონით ჩვენთვის მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შევძლოთ დანაშაულის პროფილაქტიკა და მისი აღკვეთა.

**— ხომ შესაძლოა, თქვენი მცდელობა და აქტიურობა ვინმემ ისე აღიქვას, თითქოსდა, სამართალდამცავები არჩევნების შედეგების გაყალბებით ხართ დაინტერესებულნი?**

— რომ იტყვიან, „ენას ძვალი არა აქვს“. ამიტომ, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ ქმედებას შეიძლება მოეძებნოს საპირისპირო გაგება. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ისეთ სიტუაციაში, როგორშიც ჩვენ არჩევნებისათვის მზადების პროცესში აღმოჩნდებით ხოლმე (ვგულისხმობ ზემოთ ხსენებულ ანგარიშსწორებებს და სხვა დანაშაულებრივ ქმედებებს), სამართალდამცავები განზე იდგნენ! ეს, წესით, არც ერთი ადამიანის, არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებში არ თავსდება. ხალხს უფლება აქვს, მშვიდ გარემოში მივიდეს და ხმა მისცეს მისთვის სასურველ კანდიდატურას თუ პოლიტიკურ ძალას. ჩვენ სწორედ ამ მშვიდი გარემოს უზრუნველყოფას ვემსახურებით. მარტო წესრიგი გვაინტერესებს და არავითარ შემთხვევაში — რომელიმე პარტიის ან დეპუტატობის კანდიდატის კერძო ინტერესების დაცვა.

ქალაქის პროკურატურა აქტიურ პროცესუალურ ზედამხედველობას უწევს რაიონულ პროკურატურებს. შესაბამისად, არც ერთი ფაქტი, რომელიც დედაქალაქში მოხდა, ურეაგირებოდ არ დარჩენილა. არჩევნებამდე ამ საქმეების სასამართლოებში წარგზავნა მოესწრება და ჩადენილი უკანონო ქმედებისათვის ყველას პასუხი მოეთხოვება.

**— საქართველოში, შეიძლება ითქვას, „პერმანენტული არჩევნებია“ და ამიტომ საკმაო გამოცდილებაც დაგიგროვდებოდათ. საინტერესოა, მძიმდება თუ არა ასეთ დროს კრიმინოგენური სიტუაცია? თუ ასეა, ვისი ან რისი ბრალი უფრო გართულებები — ჩვენი ზედმეტად პოლიტიზებული მოსახლეობისა თუ პოლიტიკური პარტიების გადაჭარბებული აქტიურობის?**

— სამწუხაროდ, კრიმინოგენური სიტუაცია კვლავ მძიმე რჩება არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ, მთელს ქვეყანაშიც. ამას სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს და მოსახლეობაც გრძნობს. ჩემი აზრით, მთლად უმნიშვნელო როლს არ უნდა თამაშობდეს განგებ აქტიურებული თემები, რაც სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვას უწყობს ხელს. არის ხალხი, რომელსაც ეს ყველაფერი ყურადღების სხვა რამეზე გადასატანად სჭირდება, რათა მღვრიე წყალში თევზი დაიჭიროს. ამისდა მიუხედავად, მაინც ვერავინ იტყვის, რომ სიტუაცია კონტროლს არ ექვემდებარება. ალბათ, ამის შედეგიცაა, რომ ბოლო ხანებში აშკარად შესამჩნევი გახდა ისეთი უმძიმესი და განსაკუთრებით საშიში დანაშაულობების რიცხვის შემცირება, როგორიც არის მკვლელობა ან მკვლელობის მცდელობა. წლევულს დანაშაულობათა გახსნის მაჩვენებელი 83 პროცენტამდე ავიდა. ეს არ ნიშნავს, რომ გაუხსნელი საქმეები არ არსებობს, მაგრამ მსგავსი რამ გამოძიებაში გასაკვირი ნამდვილად არ არის. როდესაც დანაშაული ხდება, შესაძლოა ის ცხელ კვალზე ვერ გაიხსნას, მაგრამ გავიდეს დრო, ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდეს და დამნაშავეც დაისაჯოს. სამწუხაროა, რომ ჩვენში ფაქტების გახმაურება მხოლოდ პირველ ეტაპზე იწვევს ყურადღებას, შემდგომში კი მასმედიის წარმომადგენლებიდან ბევრი არავინ ინტერესდება, როგორი შედეგებით დასრულდა გამოძიება და დაისაჯა თუ არა დამნაშავე. აქედან გამომდინარე, მოსახლეობას ექმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ბევრი გაუხსნელი საქმე გვაქვს, რაც, გარწმუნებთ, ასე ნამდვილად არ არის.

**— ბატონო ჯანგულ, ძალიან შელამაზებულ სურათს ხომ არ ხატავთ? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ამ ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია — ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის 7 საქმე და 2 მასალა, არც მეტი, არც — ნაკლები, დაიკარგაო...**

— გასსოვთ, ალბათ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა წერილობით მოგვმართა სამართალდამცავ სტრუქტურებს და დაგვავალა ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაციის განმუხტვის ღონისძიებათა განხორციელება. პრეზიდენტის წერილი დედაქალაქის პროკურატურამ ყველა რაიონის პროკურატურასთან ერთად განიხილა. დედაქალაქის პროკურორმა თენგიზ მახარაძემ სპეციალური დირექტიული ხასიათის წერილი დააგზავნა რაიონების პროკურატურებში, დასახა კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა, რომლის განხორციელების პროცესსაც ვაკონტროლებთ. მართალია, ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი მითითებები ყველა რაიონში ერთნაირი წარმატებით სრულდება, მაგრამ არის ბევრი კონკრეტული შედეგიც. დედაქალაქის პროკურატურა მძიმე დანაშაულობათა გამოძიების შესახებ რეგულარულად ისმენს რაიონის პროკურორების მოხსენებებს და დარღვევის არც ერთ ფაქტს ურეაგიროდ არ ტოვებს.

**— სამწუხაროდ, მაინც ზოგადი ფრაზებით საუბარი გამოგვდის იმ დროს, როდესაც პრესაში ფრიად დამაფიქრებელი ინფორმაცია გავრცელდა, რაზეც უკვე გკითხეთ კიდეც...**

— ვაკე-საბურთალოს რიაონში დამაფიქრებელი კი არა, საგანგაშო ფაქტი მოხდა, რომლის შესახებაც გენერალური პროკურატურის კოლეგიის სხდომაზეც იმსჯელეს. ამ რაიონის პროკურატურის აწ უკვე ყოფილმა უფროსმა გამომძიებელმა კ. პატარქალაშვილმა მართლაც დაკარგა სისხლის სამართლის 7 საქმე და 2 მასალა. ეს ფაქტი დედაქალაქის პროკურატურამ აღმოაჩინა. ჩვენი წარდგინებით პატარქალაშვილს მანამდე სასტიკი საყვედური გამოეცხადა. შემდეგ კი მან სისხლის სამართლის ერთ საქმესთან დაკავშირებით დოკუმენტი გააყალბა. ეს ფაქტიც ჩვენ აღმოვაჩინეთ და მაშინვე ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში ინვენტარიზაციის ჩასატარებლად სპეციალური ჯგუფი მივავლინეთ. სწორედ მაშინ აღმოჩნდა, რომ პატარქალაშვილს ის 7 საქმე და 2 მასალა ჰქონდა დაკარგული. გარდა იმისა, რომ ამ ფაქტის შესახებ კოლეგიის სხდომაზე ძალიან მკაცრად იმსჯელეს, საქმეს გენერალური პროკურატურა იძიებს. მანამდე კი მიცემული იყო დავალება, რომ ბოლომდე აღდგენილიყო დაკარგული საქმის მასალები. დღეისათვის თითქმის ყველაფერი აღდგენილია.

**— საქმის მასალებიდან ერთი ფურცლის დაკარგვაც კი სერიოზული დარღვევაა, არათუ მთელი საქმეების გაუჩინარება. ასეთი ფაქტები შეუძლებელია შემთხვევით ხდებოდეს, ამიტომ საინტერესოა, თავად პატარქალაშვილი როგორ ხსნის მომხდარს, ან ხომ არ არსებობს ეჭვი, რომ მან ყველაფერი შეგნებულად გააკეთა ანგარების ან სხვა მიზნით?**

— თითქმის ყველა დაკარგული საქმე გაუხსნელი იყო, ამიტომ ძნელი სათქმელია, რომ ეს პატარქალაშვილმა ანგარების მიზნით გააკეთა. თავის საქციელს იგი სხვადასხვა მოტივებით ხსნის და ვიდრე გამოძიება თავის სიტყვას იტყვის, რაიმეს დანამდვილებით თქმა არ შემიძლია. გარწმუნებთ, მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება.

**— ასეთ დროს, წესით, რაიონის პროკურატურის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს?..**

— ნამდვილად მეტი პრინციპულობა იყო საჭირო რაიონის ხელმძღვანელის მხრიდან, მით უფრო, რომ პატარქალაშვილის საქციელი ეჭვის საფუძველს უკვე იძლეოდა... მიუხედავად ყველაფრისა, გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ეს ფაქტი პრესაში არასწორი ინტერპრეტაციით გაჟღერდა. ითქვა, თითქოს, ყველაფერი იმის ბრალია, რომ დედაქალაქის პროკურატურამ მოადუნა ზედამხედველობა. ამ დროს კი, ვიმეორებ, რომ სწორედ ჩვენი წარდგინებით გამოეცხადა სასტიკი საყვედური პატარქალაშვილს და მის მიერ ჩადენილი არც ერთი არამართლზომიერი ქმედება ურეაგირებოდ არ დაგვიტოვებია.

**ესაუბრა**
**ელზა ჯღუნაძე.**

სტიქია

# სეტყვა გორში

**ღვთის რისხვაო, რომ იტყვიან, სწორედ ეგ იყო. დაუშინა და დაუშინა სეტყვამ. ჯერ წვრილად, მერე და მერე ქათმის კვერცხისოდენები დააყარა დამკრახულ, დასაკრეფად გამზადებულ ხილის ბაღებს. ახლა რა ბაღებს!**

**ერთბაშად დაბნელდა ცა და სტიქიამ — ძლიერმა ქარმა და სეტყვამ პირწმინდად გაანადგურა გორის რაიონის საბაზისო მეხილეობის სოფლები — ვარიანის, შინდისის, ძევერის, კარალეთის ხილის ბაღები — 300 ჰექტარზე მეტი.**

**არადა, შუა შემოდგომისას ასეთი სეტყვა იქაურ მოხუცებსაც არ ახსოვთ.**

**რაიონის ეკონომიკისათვის მიყენებულ ზარალს სოფლის მეურნეობის სამმართველოს სპეციალისტები აზუსტებენ.**

**გურამ ვაშაკიძე,**
„სრ“ საკ. კორ.

კონტაქტები

# ქართული კულტურის ფესტივალი რუსეთის ფედერაციაში

**13 ოქტომბერს იხსნება და 4 დღეს გასტანს ქართული კულტურის ფესტივალი რუსეთის ფედერაციაში. მოსკოვში ჩადიან ჩვენი სახელგანთქმული მოღვაწეები მომღერლები, მოცეკვავეები, სცენის ოსტატები, მხატვრები...**

**ორი ერის კულტურათა კავშირმა და სიახლოვემ დროს გაუძლო და დღეს, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოები ვართ, წარმოუდგენელიც კია ამ კავშირების გაწყვეტა. პირიქით, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის კულტურის მოღვაწენი ნაყოფიერად თანამშრომლობენ და სამომავლო გეგმებიც აქვთ.**

როგორც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩმა ბატონმა **ზურაბ აბაშიძემ** ტელეფონით საუბრისას უთხრა, ეს ფესტივალი ორი ქვეყნის ურთიერთობაში ახალ იმპულსებს შეიტანს.

— დარწმუნებული ვარ „მოსკოველი ქართველები“, ჩვენი დიასპორა კიდევ უფრო იგრძნობს ყურადღებას, რომელიც მათ ისედაც არ აკლიათ მოსკოვის მერიისგან, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისგან, — აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.

დღეიდან ჩვენი გაზეთი მოგითხრობთ იმის შესახებ, თუ რა მიაქვთ ქართული კულტურის მოღვაწეებს რუსეთის დედაქალაქში.

### თეატრი „ვერიკო“ — საპატიო სტუმარი

თეატრი „ვერიკო“ ბოლო წლებში თავის სპექტაკლებს საქართველოს ფარგლებს გარეთაც აცნობს თეატრის მოყვარულებს. რამდენიმე წლის წინათ კიევში გამართულ ფესტივალზე კოტე მახარაძის სპექტაკლმა „ბაგრატიონები“ დიდი პრიზი დაიმსახურა. წელს, სანკტ-პეტერბურგში და კიევში ჩაიტანეს „სიყვარულის სულთათანა“, სოფიკო ჭიაურელის მონაწილეობით. გაბრიელ გარსია მარკესის პიესის მიხედვით სპექტაკლი დადგა თემურ ჩხეიძემ. სანკტ-პეტერბურგში, „ბალტიის სახლში“ გაიმართა მონო-სპექტაკლების ფესტივალი. სწორედ ამ ფესტივალში, რომლის სახელწოდება იყო „მონოკლი“, მიიღო მონაწილეობა „სიყვარულის სულთათანამ“, და დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა. ასევე, კიევში ტარდებოდა ფესტივალი „კიევის მაისობა“. იქაც დიდი იყო წარმატება.

**სოფიკო ჭიაურელი:** „ახლახან დაიგეგმა გასტროლები კიევში და მოსკოვში და გაირკვა, რომ ამავე დროს იმართება ქართული კულტურის ფესტივალი რუსეთის ფედერაციაში. ჩვენ მოსკოვში ფესტივალის დაწყებამდე ცოტა ადრე ჩავდივართ (მურმან ჯინორია, გია გოგიშვილი და მე), 11 ოქტომბერს ჩვენი თეატრი (დამაარსებელი კოტე მახარაძე) სამხატვრო თეატრის მცირე სცენაზე წარმოადგენს სანტანელის „დედადედოფალს“. რეჟისორია თენგიზ კოშკაძე. 12 ოქტომბერს გაიმართება კოტე მახარაძის ხსოვნის საღამო. 13 ოქტომბერს უკვე ვერთვებით ფესტივალში და ვუჩვენებთ პატრიკ ზიუსკინდის „კონტრაბასს“ (რეჟისორი ნინო ახვლედიანი). ეს არის ერთობლივი პროექტი თბილისის გოეთეს ინსტიტუტისა და თეატრ „ვერიკოსი“. სპექტაკლში მონაწილეობს გია გოგიშვილი. 14 ოქტომბერს წარმოვადგენთ მურმან ჯინორიას საავტორო სპექტაკლს „დროთა კავშირი დაირღვა“. მან „ჰამლეტის“ და შექსპირის სონეტების მიხედვით დადგა ეს სპექტაკლი. 15 ოქტომბერს ვამთავრებთ ფესტივალში მონაწილეობას „სიყვარულის სულთათანათი“.



გვაქვს კიდევ ერთი სპექტაკლი დაგეგმილი, ოღონდ ეს იქნება წარმოდგენილი მხოლოდ ქართული დიასპორისთვის. მათ საქართველოს საელჩოში 16 ოქტომბერს რევაზ კლდიაშვილის „მარტოობის ბინადარს“ ვანახვებთ. ამით დავამთავრებთ მოსკოვში გამოსვლებს და მეორე დღეს დავბრუნდებით საქართველოში“, — დასძენს ქალბატონი სოფიკო.

ქართული კულტურის ფესტივალში თეატრი „ვერიკო“ მიიპატიჟა მოსკოვის მერიამ და რუსეთის ფედერაციის კულტურის სამინისტრომ. მოსკოველ მაყურებელს სხვა დროსაც ჰქონია შეხვედრები სოფიკო ჭიაურელთან და კოტე მახარაძესთან, თუმცა სპექტაკლებს ისინი პირველად იხილავენ.

**ნანული ზოტიკიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 265, შაბათი, 4 ოქტომბერი, 2003 წელი.

პროექტი

# ფერმერები ქვეყნის ბიუჯეტის შევსებისთვის ზრუნავენ

**როგორც ცნობილია, ფინანსური გაჭირვების გამო გლეხური მეურნეობები ვერ იძენენ მექანიზაციის თანამედროვე საშუალებებს. ამიტომაც ამ დროს ხელით შრომა, ეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის აუცილებელი, ნორმალური და სასიამოვნო ფიზიოლოგიური პროცესი, გადაქცეულია ადამიანის მტანჯველ, მისი ფიზიკური და მორალური ცვეთის და გამოფიტვის ფაქტორად... სამწუხაროდ, ეს დღევანდელი რეალობაა.**

ასეთ პირობებში ლაპარაკიც კი ზედმეტია სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროგრესული ტექნოლოგიების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე აგრარიკოსმრეწველთა გამოცდილების დანერგვაზე.



მაგრამ მას შემდეგ, რაც შპს „ცენტროპოლის" დირექტორმა როლანდ ჯალაღანიამ გაიმარჯვა კონკურსში და მიიღო მსოფლიო ბანკის გრანტი პროექტისათვის „სიმინდისა და კარტოფილის მოსავლიანობის ამაღლების ეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა ბიორეგულატორების გამოყენებით", მის განსახორციელებლად შერჩეულ მეურნეობაში, უწინარეს ყოვლისა, მოგვარდა ფინანსური პრობლემები. აღსდგა საჭირო სერვის-სამსახურის სტრუქტურები და ფუნქციები.

პროგრამის ძირითადი არსი მდგომარეობს ქვეყნის ძირითადი სასურსათო და საკვები კულტურების: სიმინდისა და კარტოფილის მოსავლიანობის მკვეთრი ზრდის, ამ კულტურების წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის, მათი სასაქონლო პროდუქციის მატების, გადამუშავების და რეალიზაციის, მოსავლით შიდა ბაზრის გაჯერების და საგარეო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრების, ქვეყნის სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს ამ პროდუქტებზე მოთხოვნასა და ფაქტობრივ მოხმარებას შორის დიდი შეუსაბამობა არსებობს (მაგალითად, კარტოფილში — 66 და 25 კგ, ანალოგიურადაა სიმინდში), ამასთან, ქართულ საადრეო კარტოფილზე საგარეო ბაზრის დიდი მოთხოვნილება იოტისოდენაც არ კმაყოფილდება ამ კულტურათა პროდუქციის წარმოების დაბალი დონის გამო, საფუძველი გამოეცალა რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარებას.

— პროექტის მიზანია მაღალეფექტური ბიორეგულატორის გამოყენებით სიმინდისა და კარტოფილის მოსავლიანობის მკვეთრი ამაღლება, — ამბობს ბატონი როლანდი, — უმცირესი შრომითი დანახარჯებით მაქსიმალური საწარმოო ეფექტიანობის მიღწევა, მაღალხარისხოვანი, ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტების მიღება, ადგილობრივი ბაზრის გაჯერება იაფი და მარგებელი საკუთარი წარმოების სასურსათო და საკვები დანიშნულების საქონლით, ბაზრიდან ჯანმრთელობისთვის მავნე და საეჭვო, გენეტიკურად არაკეთილსაიმედო პროდუქციის განდევნა, ხარისხოვანი და სრულფასოვანი კვების ფონზე ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება, სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა ქვეყნის შიგნით, საგარეო ბაზარზე დაკარგული პოზიციების აღდგენა და მისი მასშტაბების გაფართოება. ამის ბაზაზე ფერმერული (გლეხური) მეურნეობის ეკონომიკის წელში გამართვა და განვითარება, ფერმერთა ოჯახების საარსებო და ნორმალური საყოფაცხოვრებო კალათის შევსება, აგრარული სექტორის მეწარმეთათვის სარეზერვო კაპიტალის ფორმირება და მისი გამოყენება დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ოპერატიულ და მოქნილ დანერგვაში, რაც ქვეყნის ბიუჯეტის შევსებისა და ზრდის უმნიშვნელოვანესი და მყარი წყაროების შექმნისა და განვითარების, ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტად უნდა იქცეს. გრანტის ამდენ სარგებელს, მართლაც, მეტს ველარაფერს დაუმატებ...

მეკარტოფილეობის შემდგომი განვითარების პრობლემა განსაკუთრებულად აქტუალურია, რადგან ბოლო პერიოდში საქართველოში მისი წარმოება 100 ათას ტონაზე მეტით შემცირდა, გაუარესდა მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონე.

კარტოფილის წარმოების გაზრდის მიზნით აუცილებელია მეკარტოფილეობის ძირითადი რაიონების ფართობთა რეზერვების მაქსიმალური ათვისება, გასარწყავება, მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციის გაფართოება, ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება, მეთესლეობის სწორი ორგანიზაცია და, რაც მთავარია, ინოვაციური პოლიტიკის სწორად გატარება. ოპტიმალურად უნდა გამოვიყენოთ კარტოფილის წარმოების დიდი შესაძლებლობები რესპუბლიკის მთიანეთში, საადრეო კარტოფილის მაღალი მოსავლის მიღების პერსპექტიული რაიონების: თეთრი წყაროს, ბოლნისის და მარნეულის რაიონებში.

კარტოფილის მნიშვნელობა საყურადღებოა მისი საფურაჟე ასპექტითაც. ფართობის ერთეულზე საკვები ერთეულების რაოდენობით კარტოფილი აღემატება საფურაჟე თავთავიან კულტურებს და საკვებ ჭარხალს, მომნელებადი ცილების რაოდენობით კი, თითქმის პარკოსნებს უტოლდება. იგი საუკეთესო საკვებია პირუტყვისათვის. განსაკუთრებით ღორებისთვის, რომლებიც თითქმის მთლიანად ითვისებენ კარტოფილის ძირითად საკვებ ნივთიერებებს (93-95 პროცენტი) და გადაამუშავებენ მას მაღალხარისხოვან და მაღალკალორიულ ცხიმად.

ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობებში მაღალხარისხოვანი, ეკოლოგიურად სუფთა კარტოფილის მიღების ეფექტური ტექნოლოგიის დანერგვა-დემონსტრირება, კარტოფილის წარმოების, გადამუშავების, რეალიზაციის ტექნოლოგიათა რაციონალური სისტემის საფუძვლების შექმნა და განვითარება წარმოდგენილი საკონკურენტო პროექტის მეორე უმნიშვნელოვანესი და ძირითადი მიზანია, — ამბობს ბატონი როლანდი.

პროექტი ხორციელდება გარდაბნის რაიონის სოფელ ნაზარლოში, 9 ჰექტარ სავარგულზე.

— დიდ დახმარებას გვიწევს თანამონაწილე ორგანიზაცია „საქართველოს ვეტერინარ ექიმთა ასოციაცია", რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი სპეციალისტი და საზოგადო მოღვაწე, დოცენტი დიმიტრი კანანაძე. გარდა ამისა, პროექტს აქვს გარკვეული ეთნოპოლიტიკური დატვირთვაც, რადგან არაქართველებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში შევიყვანეთ ქართველი ეროვნების მუშამოსამსახურეები, რომელთა ნაწილმა უკვე გამოხატა იქ საცხოვრებლად გადასვლის სურვილი, — კმაყოფილებით აღნიშნა ეს ფაქტიც ბატონმა როლანდმა.

**ლია ძიღლაძე.**

**სურათზე: როლანდ ჯალაღანია (მარცხნივ) ნაზარლოს პლანტაციებში.**

სიტუაცია

# ძმაზე გამარჯვებას მხოლოდ სპორტულ სარბიელზე აქვს გამართლება და არა...

**ერთი მხარის უსაფუძვლო პრეტენზიების გათვალისწინებისას, მეორის უფლებები არ უნდა ილახებოდეს**

**ადამიანი უფრო ადვილად იტანს უბედურებას, ვიდრე უსამართლობას. ვოლტერის ეს გამონათქვამი გამახსენა ამას წინათ უზენაეს სასამართლოში დამთავრებულმა ერთმა საქმემ. თუ აღნიშნულ პროცესს [illegible] ყავლგასულ ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან ინერციით შემორჩენილი პრაქტიკიდან გამომდინარე მივუდგებით, მის სამართლიანობაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, მაგრამ...**

მეორე მხრივ, თუ მას წმინდა ადამიანური თვალსაზრისით შევხედავთ (რასაც დღეს სამწუხაროდ, სასამართლოში იშვიათად რომ ვინმე იღებდეს მხედველობაში) ბევრ თქვენგანს ეს გადაწყვეტილება შეიძლება არასამართლიანადაც კი მოეჩვენოს, რადგან ერთი მხარის ყოვლად უსაფუძვლო პრეტენზიების გათვალისწინებით, მეორე მხარის უფლებები შეილახა (დაზარალებულ მხარეს არცთუ უსაფუძვლო ეჭვი აქვს, რომ მოსამართლეები ამ შემთხვევაში გარკვეული ზეწოლის ქვეშ მოექცნენ და...).

აქ ფრიად სამწუხარო თავად ფაქტია, რომ ეს უფლება იმათ შელახეს, ვისაც ყველაზე მეტად ევალებოდათ მისი დაცვა. არადა, აღნიშნულ შემთხვევაში მათ მეტი პრინციპულობა და გულისხმიერება რომ გამოეჩინათ და საქმის არსშიც უფრო ღრმად გარკვეულიყვნენ, დარწმუნებული ვარ, ასეთ გადაწყვეტილებამდე შეიძლება არცკი მისულიყვნენ.

იმის მაგიერ, რომ მოსამართლეებს პროცესზე ერთი მხარის უკიდეგანო ამბიციური ვნებები დაეცხროთ და მათ შორის წლების მანძილზე ისედაც დაძაბული მდგომარეობა განემუხტათ (დაძაბულობის პროვოცირებას კი ყოველთვის გამარჯვებული მხარე ახდენდა) ისინი პირიქით მოიქცნენ, აუტკივარი თავი არ აიტკიეს და ბრმად დაეყრდნენ აღნიშნული საქმის ირგვლივ, ადრე მათივე კოლეგების მიერ (ასევე თავის აუტკივებლად) გამოტანილ გადაწყვეტილებებს, რითაც ცეცხლზე ნავთი დაასხეს და მოსალოდნელი საშიშროების, ვითომდა, თავიდან აცილების მიზნით, ისედაც დაზარალებულ მხარეს, სახლში მისასვლელად ცენტრალური ქუჩიდან სარგებლობის უფლება აუკრძალეს. განაჩენში კი უემოციოდ ჩაწერეს: „ნიკოლოზ აფციაურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის საოლქო სამართლის სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება", რაც მათ თავიანთი ხელმოწერით გაამყარეს კიდეც.

ამბავი, რამაც ამ წერილის დაწერა და მკითხველის სამსჯავროზე მისი გამოტანა გადამაწყვეტინა, თავისთავად სავალალო და სამარცხვინოა, რადგან იგი ღვიძლ ძმებს შორის საყოფაცხოვრებო თემაზე წარმოქმნილ დავას ეხება, რომელიც ჩემი აზრით (და არა მარტო ჩემი) თავშივე ადვილი გადასაწყვეტი იყო. მთელი ამ ამბის ავანჩავანი და წამომწყები კი უფროსი ძმა მიხეილ აფციაური გახლავთ, რომელმაც მავანის დახმარებითა და ხელშეწყობით თავისსავე სისხლზე და ხორცზე, სასამართლოების მხარდაჭერით, ვინ იცის, უკვე მერამდენედ იზეიმა „გამარჯვება".

გზა კი, რომლითაც ახლა ნიკოლოზ აფციაური სარგებლობს, მეტად მოუხერხებელია ყოველდღიური სარგებლობისათვის (მით უფრო დღევანდელ პირობებში, თანაც ლოტკინის მთაზე) რომ შეიძლება მასზე კისერიც კი მოიტეხოს. ამ ქუჩით (სამღერეთის) დღეს თითქმის არავინ დადის, რადგან ყველა ცენტრალური, პიონერის ქუჩით სარგებლობს. ამ მხარეს მხოლოდ მათი საკარმიდამო ნაკვეთები გამოდის და ამდენად, ამ გზით იშვიათად უხდებათ სიარული.

ეს რომ ასეა, ამაზე ერთ-ერთ სასამართლო პროცესზეც გამახვილდა ყურადღება „კასატორისათვის სარგებლობის უფლებით გამოყოფილი გზა იმდენად მოუხერხებელია სარგებლობისათვის, რომ დგება აუცილებლობა გამოყენებული იქნეს პიონერის ქუჩის №103-დან არსებული შესასვლელი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დავა მისასვლელი გზის შესახებ გადაწყდა 1995-96 წლებში და საჭირო შეფასება არ მისცა გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2001 წლის 12 ივნისის წერილს, (საინტერესოა რატომ? თ. კ.), რომლის მიხედვითაც, ნიკოლოზ აფციაურს სახლში შესასვლელი და მისამართი მიეცა სამღერეთის ქუჩიდან, რაც არ ნიშნავს აფციაურის მიერ სამკვიდროთი, ამ შემთხვევაში მიწის ნაკვეთით სარგებლობის აკრძალვას, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ლიტერ „ა" შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და მისი მოშლის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება აღნიშნული გზით სარგებლობა".

პიონერის ქუჩის №103-ში ჯერ კიდევ ომამდე 1935 წელს აშენებული და ახლა უკვე დანგრევის პირას მისული ეს ერთი ოთახი თავისი შუშაბანდით (ლიტერ „ა") იქცა უფროსი ძმის მიხეილ აფციაურის ხელში ერთგვარ კოზირად, რომელიც ნიკოლოზს მოტყუებით დააკანონებინა ერთ-ერთმა მისმა ადვოკატმა წინასწარ შეგნებულად და რომელიც [illegible]

და ახლა მომდურებული ძმის ბინის წინ სახლის ჩადგმასაც აპირებს, რითაც, რასაკვირველია, კიდევ უფრო შეილახება ისედაც დაზარალებული ძმის საყოფაცხოვრებო პირობები.

ამ საკითხის დადებითად გადაჭრა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სულ ადვილი გადასაწყვეტი იყო, თუ მას თავის დროზე სამართლიანად მიუდგებოდა მაშინდელი ნაძალადევის რაიონის გამგეობის ხელმძღვანელობა, კერძოდ, კი, მათი იურისტი ბუთურიშვილი. მისმა არაობიექტურმა დასკვნამ თავშივე არივდარია ყველაფერი. სწორედ მისი ეს ანგარებით მიკერძოებული დასკვნა (სხვათა შორის, დაზარალებული მხარის მიმართ თავისი აგრესიული დამოკიდებულება მას თავის დროზე რატომღაც ჩემთან საუბარშიც არ დაუმალავს) დაედო საფუძვლად იმ უკანონო გადაწყვეტილებას, რომელიც გამგეობამ გამოიტანა და რომლითაც შემდეგ ყველა მოსამართლემ (ვის ხელშიც ამ საქმემ გაიარა) ბრმად ისარგებლა.

და კაცი მას გამართლებას ძნელად თუ მოუძებნის.

აღნიშნულ განაჩენს, როგორც ეს წერილის დასაწყისშივე ვთქვი, სამართლებრივად, ალბათ, წყალი არ გაუვა, მაგრამ მე აქ მის მორალურ მხარეზე მინდოდა ყურადღების გამახვილება, რადგან ამით დაზარალებული მხარის ელემენტარული უფლება შეილახა. არადა, ეს საქმე მოსამართლეების მხრივ ნამდვილად უფრო სათუთ და ჰუმანურ მიდგომას საჭიროებდა. თუმცა, ამ შემთხვევაში, ეს რატომღაც ალბათ, საჭიროდ არ ჩათვალეს.

წარსულში კომუნისტები, თავს, სხვათა შორის, საბჭოთა სამართლის ჰუმანურობით იწონებდნენ (თუ რამდენად იყო ეს ჰუმანური, ყველამ კარგად ვიცით) თუმც ამ თვისების გამოვლენა და წარმოჩენა დღეს უფრო გვჭირდება (რასაკვირველია, არა დამნაშავეების მიმართ), რადგან ზემოთ მოყვანილ მსგავს სიტუაციაში, მიკერ-



გამონაკლისი ამ მხრივ ერთადერთი გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოს მოსამართლე გია ქაჯაია იყო, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა მათი ეს მდგომარეობა. ადგილზე თავად გაეცნო საქმის ვითარებას, რაც შემდეგ, ალბათ, დიდად წაადგებოდა მის ობიექტურად და მიუკერძოებლად განხილვას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ამის მიზეზი კი მისი დაწინაურება გახდა. იგი უზენაეს სასამართლოში გადაიყვანეს, რითაც დაზარალებულთა ერთადერთ ბოლო ძოება რომ არ დაგვეწამონ, ისე, როგორც ეს, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში მოხდა. მოსამართლეებს კი, ასეთ შემთხვევაში, მორალური თვალსაზრისით გაკვალული გზიდან გადახვევა ცოდვად არ უნდა ჩაეთვალოთ, მით უფრო, თუ, აქ, რასაკვირველია, ერთ მათსავე ფრთიან მოსაზრებას გავითვალისწინებთ. სამართალი არ არის ის, რაც კანონში წერია.

**თეიმურაზ კიწურაშვილი.**

P.S. **მოსამართლეები, თავიანთ ამ გადაწყვეტილებას, ალბათ იმით გაამართლებენ, რომ ძმების დაშორიშორებით, მათ მოსალოდნელი ექსცესები აიშორეს თავიდან. პირიქით კი გამოუვიდათ, რადგან გამარჯვებულმა მხარემ, რომელსაც ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, მისგან შევიწროებული და დათრგუნული ძმის მხარეს ახლახან ფანჯარაც გამოჭრა და გამორიცხული არ არის „გამარჯვების აღსანიშნავად" მალე დროშაც გამოკიდოს.**

**ამით მან ძმისგან, ვითომდა, მოსალოდნელი საფრთხის (იგი კი ამას მიზნის მისაღწევად ყოველ სასამართლო პროცესზე განსაკუთრებით ხაზს უსვამდა), მითი, თავადვე გააბათილა.**

**თ. კ.**

**სურათზე: სამემკვიდრეოდ დატოვებული მამისეული „სასახლე".**

- **ამერიკელები არ კარგავენ იარაღის პოვნის იმედს**
- **ჩინეთის „დიდი კედელი" ისრაელში**
- **ჰეიდარ ალიევმა თავისი კანდიდატურა მოხსნა**

# კონგრესმა მოისმინა წინასწარი ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

**ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის მოსაძებნად გაგზავნილი ამერიკელი ექსპერტების ჯგუფის ხელმძღვანელმა დევიდ კეიმ კონგრესში წარმოადგინა წინასწარი ანგარიში სამი თვის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.**

დევიდ კეიმ განაცხადა, რომ ექსპერტებმა ჯერჯერობით ვერ იპოვეს აკრძალული იარაღის მარაგი, თუმცა აღნიშნა, რომ მათ აღმოაჩინეს მნიშვნელოვანი რაოდენობის მოწყობილობა, რომელსაც ერაყი უმალავდა შარშან იქ ჩასულ გაეროს ინსპექტორებს.

კონგრესის წევრებმა კეის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე სხვადასხვაგვარი რეაგირება მოახდინეს. მაგალითად, დემოკრატმა სენატორმა ჯეი როკფელერმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ექსპერტებს ჯერჯერობით ვერ მიუგნიათ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის მარაგისათვის, თუმცა, სწორედ ამ იარაღის არსებობა გახდა ბუშის ადმინისტრაციისათვის ერაყში ომის დაწყების საბაბი.

რესპუბლიკელებმა კეის მოხსენებაში ყურადღება გაამახვილეს იმ პუნქტებზე, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ერაყელ მეცნიერთა მტკიცებით, სადამ ჰუსეინს არ აუღია ხელი მასობრივი განადგურების იარაღის არსენალების შექმნის გეგმაზე, და მოყვანილია შესაბამისი საბუთებისა და კომპიუტერის ფაილების სისტემატური განადგურების ფაქტები.

კეიმ, მაგალითად, მოხსენებაში აღნიშნა, რომ მისი ჯგუფის წევრები 10 ივლისს შევიდნენ ერაყის რევოლუციური სამეთაურო საბჭოს შტაბ-ბინის შენობაში, რომლის ზედა სართულები დაინგრა მოკავშირეთა ძალების მიერ განხორციელებული დაბომბვის შედეგად, თუმცა, სარდაფი ხელუხლებელი იყო. სწორედ ამ სარდაფში აღმოაჩინეს ექსპერტებმა უამრავი საარქივო დოკუმენტი და ფერფლის გროვები იმ ადგილებში, სადაც „შეგნებულად გაანადგურეს ცალკეული დოკუმენტები და საბუთებით სავსე მთელი საქაღალდეები. კომპიუტრის დისკეტის ბუდეებიც განზრახ იყო დაზიანებული". როგორც კეიმ თქვა, ეს მოროდიორების ნამოქმედარი არ იყო, რადგან მოროდიორები, უბრალოდ, წაიღებდნენ კომპიუტერებს. ერაყის სახელმწიფო უშიშროების ყველა ლაბორატორია „აშკარად წინასწარ იყო გამოსუფთავებული". იქედან გაიტანეს მოწყობილობის მნიშვნელოვანი ნაწილი, დოკუმენტები გაანადგურეს, კარებებიდან აბრებიც კი მოხსნეს.



ბიოლოგიური იარაღისადმი მიძღვნილ ნაწილში კი ხაზგასმულია, რომ კეის ხელქვეითებმა იპოვეს ლაბორატორიებისა და სხვა ობიექტების საიდუმლო ქსელი, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ერაყის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები და რომელთა არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ გაეროს ინსპექტორებმა. ექსპერტებმა ჯერჯერობით ვერ მიაგნეს იმის აშკარა მტკიცებულებას, იყენებდნენ თუ არა ამ ქსელს ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად, მაგრამ იგი შეიცავდა ასეთი იარაღის წარმოების განახლებისათვის საჭირო „ყველა ძირითად ელემენტს". ერაყის სახელმწიფო უშიშროება აფინანსებდა ასპირანტი-ბიოლოგების სწავლას საზღვარგარეთის ქვეყნებში. ბიოლოგია იყო ერთადერთი სფერო, რომლის სპეციალისტების მომზადებითაც დაინტერესებული იყო სახელმწიფო უშიშროება.

ერთ-ერთმა ერაყელმა მეცნიერმა განაცხადა, რომ საჭირო პირობების არსებობის შემთხვევაში, ციმბირული წყლულის წარმოების დაწყება ორ კვირაში იქნებოდა შესაძლებელი. მეორე მეცნიერის ბინაში კი იპოვეს სინჯარა ბოტულიზმის წარმოების საწყისი მასალებით. ამ მეცნიერმა თქვა, რომ მას სთხოვეს გადაემალა სხვა პათოგენების მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ მან თავი აარიდა ამას და ახლა არ იცის, თუ სად ინახება ეს მარაგი. ამჟამად კეის ექსპერტები აქტიურად ეძებენ ამ მასალებს.

მათ ვერც იმ მტკიცებულებას მიაგნეს, რომ ერაყელები მზად იყვნენ ქიმიური იარაღის გამოყენებისათვის. კეი აღნიშნავს, რომ ქიმიური ბომბების მოძებნას ძალზე ართულებს ერაყში არსებული ჩვეულებრივი შეიარაღების უზარმაზარი არსენალები, რომლებშიც საკმაოდ ძნელია იპოვო ქიმიური ჭურვები, მით უმეტეს, რომ ერაყში ისინი ხშირად არცკი იყო რაიმე განსაკუთრებული ნიშნით მარკირებული.

როგორც კეიმ თქვა, ერაყში ტყვია-წამლის დაახლობით 130 საცავია, რომელთაგან მრავალის ფართობი 80 კვადრატულ კილომეტრს აღემატება და შეიცავს დაახლოებით 600 ათას ტონა ჭურვებს, რაკეტებს, ავიაბომბებსა და სხვა საბრძოლო მასალას. ამ მომენტისათვის 130 ობიექტიდან მხოლოდ 10 არის შესწავლილი.



# 550 ახალი სახლი ებრაელთა დასახლებებისათვის

**ისრაელის ხელისუფლებამ გამოაცხადა ტენდერი მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის ტერიტორიებზე ებრაელთა დასახლებებში 550 ახალი სახლის მშენებლობისათვის. თითქმის ყველა ეს სახლი აშენდება იერუსალიმის მახლობლად მდებარე ბეითარ-ილითის ულტრაორთოდოქსულ დასახლებაში.**

კონკურსი გამოაცხადეს მას შემდეგ, რაც მთავრობამ მოიწონა ებრაელთა რამდენიმე დასახლების ირგვლივ დამცავი კედლის მშენებლობის გეგმები, არადა, თვით ამ დასახლებების არსებობას უკანონოდ მიიჩნევენ როგორც პალესტინელები, ისე უცხოეთის მრავალი ქვეყნის მთავრობები. ამჟამად იორდანის დასავლეთ ნაპირზე მდებარე დასახლებებში ცხოვრობს დაახლოებით 220 ათასი ებრაელი.

ისრაელის საბინაო უზრუნველყოფის სამინისტრო აცხადებს, რომ ტენდერი მიზნად ისახავს ახალი ბინების მშენებლობას მთელი ქვეყნის მასშტაბით და არა მარტო ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო სამართალი არ ცნობს დასახლებებს პალესტინელთა მიწებზე, ისინი მაინც ფართოვდება 1967 წლის შემდეგ, როცა ისრაელმა განახორციელა მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირისა და ღაზის სექტორის ოკუპაცია. ამ პროცესს განსაკუთრებული გასაქანი მიეცა 1970-იანი წლების დამლევს, როცა საბინაო უზრუნველყოფის მინისტრის პოსტი ეკავა ისრაელის მთავრობის ამჟამინდელ ხელმძღვანელს არიელ შარონს.

ქვეყნის საბინაო უზრუნველყოფის ამჟამინდელი მინისტრი ეფი ეითამი, გადამდგარი გენერალი, მემარჯვენე ნაციონალური რელიგიური პარტიის წევრია და მას მჭიდრო კავშირურთიერთობა აქვს დასახლებულებთან.

# აზერბაიჯანში პრეზიდენტის არჩევნების წინ

**აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა თავისი ვაჟის — ილჰამ ალიევის სასარგებლოდ მოხსნა კანდიდატურა ქვეყნის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე.**

ოფიციალური განცხადების თანახმად, ჰეიდარ ალიევმა თავის პოლიტიკურ მემკვიდრედ დანიშნა ილჰამი და მოუწოდა ამომრჩევლებს მისცენ მას ხმები 15 ოქტომბერს — პრეზიდენტის არჩევნების დღეს.

ამრიგად, დაესვა წერტილი ჰეიდარ ალიევის 30-წლიანზე მეტ ხელმძღვანელ კარიერას. სულ რამდენიმე დღის წინათ მისი ვაჟი ილჰამი, რომელიც დანიშნეს აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრად, აღნიშნავდა, რომ ჰეიდარ ალიევი ამჟამად მკურნალობის კურსს გადის ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდში, იგი თავს კარგად გრძნობს და უთუოდ დაბრუნდება სამშობლოში არჩევნებისათვის.

პრეზიდენტობის კანდიდატის (ახლა უკვე ყოფილის) — ჰეიდარ ალიევის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა მუბარიზ გურბანლიმ აღნიშნა, რომ უფროსი ალიევის საგიტაციო კამპანიაზე მომუშავე ადამიანები ახლა უმცროს ალიევზე გადაერთვებიან, ელექტორატი კი დაირაზმება ქვეყნის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის ირგვლივ.

ასე რომ, ჰეიდარ ალიევის ხელმძღვანელი კარიერის დასასრული, ალბათ, არ გამოიწვევს სერიოზულ ცვლილებებს აზერბაიჯანის პოლიტიკურ ასპარეზზე. ყოველ შემთხვევაში — ჯერჯერობით მაინც.



# სხვადასხვა

**ტიბეტში** სილამაზის კონკურსის ორგანიზატორებმა მიიღეს 10 განაცხადი პრეტენდენტებისგან, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, კონკურსში მონაწილეობა გაბედა მხოლოდ ერთმა ქალიშვილმა — 20 წლის ცერინგ კიმ. მას საზეიმო ვითარებაში მიანიჭეს „მის ტიბეტის" ტიტული. გარდა ამისა, ჯილდოს სახით იგი 2 ათას ამერიკულ დოლარსაც მიიღებს.



* * *

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში სამუშაოდ უცხოელებისათვის გაცემული ვიზების რიცხვი მკვეთრად შემცირდება. მაგალითად, ოქტომბრიდან ვიზების ყოველწლიური ლიმიტი, რომლებიც მაღალი კვალიფიკაციის მქონე უცხოელებს აძლევს ამერიკის შეერთებულ შტატებში 6 წლამდე ვადით მუშაობის შესაძლებლობას, შეიძლება ერთისამად შემცირდეს. ბიზნესის სფეროში სავიზო პროგრამების შეკვეცას მხარს უჭერს, კერძოდ, ამერიკის პროფკავშირები.

* * *

**ქაბულში** დადებულ ნაღმზე აფეთქდა ავღანეთში უშიშროების ხელშემწყობი საერთაშორისო ძალების კონტინგენტში შემავალი ორი კანადელი ჯარისკაცი. ისინი ეწეოდნენ პატრულირებას ქაბულის ქუჩებში, როცა მათი ჯიპი მოულოდნელად აფეთქდა ნაღმზე. ორივე სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

* * *

**პაკისტანის** ჯარებმა დაიწყეს ფართომასშტაბიანი ოპერაციის განხორციელება „ალყაიდას" მოთარეშეთა დაკავებისათვის, რომლებიც, სავარაუდოდ, თავს აფარებენ პაკისტან-ავღანეთის საზღვრისპირა რაიონებს.

როგორც არმიის წყაროები იტყობინებიან, პაკისტანის სამხრეთ ვაზირისტანის რაიონში უკვე დაპატიმრეს რამდენიმე კაცი, გარდა ამისა, მოკლეს სულ ცოტა 12 მოთარეშე.

* * *

**გამოაცხადეს** 2003 წლის „ნობელის პრემიის" მფლობელები. პრემია გადაეცემა ყველაზე უსარგებლო და აბსურდული სამეცნიერო გამოკვლევისა და მიღწევისათვის. მიმდინარე წელს პრემიები მიენიჭა ლიხტენშტაინს — სახელმწიფოს იჯარით გადაცემის გეგმისთვის და მეცნიერებს, რომლებმაც აღმოაჩინეს, რომ ტაქსის მძღოლების ტვინი თურმე გამოირჩევა ჩვეულებრივი ადამიანების ტვინისგან.



უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

**ზაზა ბეჟანიძემ.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

# სახიობა

თეატრალური გაზეთი

„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველთვიური დამატება

№8-9 (81)


...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

**სანდრო ახმეტელი.**

„ოქროს ნიღაბი“

„თეატრი სასწაულია, არაჩვეულებრივი სასწაული, მისი მსგავსი ამ ქვეყანაზე არაფერია... ნუთუ არასოდეს გიფიქრიათ იმაზე, რომ თქვენ თვალწინ, სცენაზე გამოდიან ჩვეულებრივი ადამიანები და ქმნიან აბსოლუტურად სხვა, არარსებულ სამყაროს. ხშირად ეს გმირები იმდენად რეალურები და ახლობლები ხდებიან, რომ გამუდმებით გახსენებენ თავს... თეატრის ბედნიერება და უბედურებაც ის არის, რომ მისი ხელოვნება რაწამს იბადება, მაშინვე ქრება... მხოლოდ მასზე მოგონება რჩება“.

**მიხეილ თუმანიშვილი.**

# ფესტივალის დღიური

## მარტოსულობა...

...მოგონებები შემორჩა იმ გარდასულ დღეთა სიახლოვიდან, რომელიც რუსთავის თეატრალურ ფესტივალს დაუკავშირდა... შემოდგომის ფერებით შემოსილი „ოქროს ნიღაბი“ ხელოვანთა ბოჰემური ცხოვრების ხმაურიანი რიტმით მოცული ხანგრძლივი „წარმოდგენა“ აღმოჩნდა...

რუსთავში, ლიტერატურული თეატრის მონოსცენაზე მონოსპექტაკლი გათამაშდა... თანამედროვე გერმანელი მწერლის მარტოხელა გმირი საკუთარი „მეობით“ საზოგადოებას დაუპირისპირდა. რატომ?! ნაცრისფერი სამყაროდან გარიყული მუსიკოსის სენტიმენტალური აღსარება მისივე მელანქოლიური სულის ნაკარნახევი შეიქმნა. შეიქმნა, რადგანაც ყველასგან მივიწყებულმა კონტრაბასისტმა თავისი ადგილი „მსოფლიო სიმფონიაში“, „მსოფლიო ორკესტრში“ ვერ იპოვა, ვერ დაიმკვიდრა და მარტოსულების კუნძულზე მოხვდა, „სხვათა“ არსებობას გვარიანად „მიაფურთხა“, აგრესიულად ზურგი აქცია და სამუდამოდ ჩაიკეტა.

პატრიკ ზიუსკინდის „კონტრაბასი“ პირდაპირ ეხმიანება თანამედროვე ცხოვრების ეპიზოდებს და დღევანდელობას პროტესტს, უფრო მეტიც, ომს უცხადებს...

აი, რას წერს გერმანელი ბელეტრისტი ამ ერთმოქმედებიან პიესაზე: **„რატომ ვამტკიცებ, რომ ორკესტრი ადამიანთა საზოგადოების ასლია... იქაც და აქაც, მათ, ვინც ისედაც იძულებულია ბინძური სამუშაო შეასრულოს, არაფრადაც აგდებენ.“**

მონოსცენაზე მყოფი ერთი მსახიობის გია გოგიშვილის ნიღაბი მიგვანიშნებს იმ უხილავ შინაგან პროცესებზე, რომლებიც ადამიანთა ფსიქიკურ თუ ფსიქოლოგიურ აშლილობას იწვევს, მიზანთროპიულ ვნებებს აღვიძებს...

ამ მხრივ, ნინო ახვლედიანის რეჟისორული ხედვისთვის და შესაბამისად რეჟისორული სვლებისთვის მთავარი და მნიშვნელოვანი ზუსკინდის ცოცხალი პერსონაჟის საკმაოდ რთული პორტრეტის შექმნა, გახსნა და აქტივიზირებაა. აქტივიზირება იმ პროტოტიპისა, რომლის ჩანახატით ყოველი მოკვდავის ნიღაბჩამოგლეჯილი სახე ამოიცნობა. როცა ადამიანი ცხოვრების მკაცრ იერარქიას ემორჩილება და ქმედითუუნარო ხდება, მაშინ ილუზიებში იჭრება, ვირტუალურ ზმანებებში იძირება, სიგიჟის ძაძებით იმოსება...

პიროვნება და საზოგადოება — აი, ძირითადი თემა ამ თეატრალური დრამისა, რომლის შუაგულშიც მყოფი ერთი მსახიობი გრძნობა-ინსტინქტის საშუალებით ძერწავს იმ გმირს,



გია გოგიშვილი სპექტაკლში — „კონტრაბასი“.

რომელიც ყველასაგან უსამართლოდ მივიწყებული, მეტად საცოდავი და უსუსურია.

— **„ეს ძალიან საინტერესო და აქტუალური პიესაა, რომლის ასე კარგად გადაკითხვა და სცენაზე ხორცშესხმა ნინო ახვლედიანის რეჟისორული ხედვის დამსახურებაა. ვფიქრობ, ერთი მსახიობის თეატრმა „ვერიკომ“ მიმდინარე ფესტივალისთვის მტკივნეული და პრობლემატური თემატიკით სავსე სპექტაკლი წარმოადგინა, რომელიც დღევანდელობის გადაძახილია. მსახიობი პერიფრაზირებითა თუ ქვეტექსტებით ადამიანთა სულიერი სამყაროს ჩუმ განცდებზე გვესაუბრება ემოციურად, დრამატულად, ირონიულად და ხანაც იუმორისტულად, მიხარია, რომ გია გოგიშვილის სახით ქართულ თეატრს ნიჭიერი მსახიობი ჰყავს და სწორედ იმ ხელოვანის შექმნილი თეატრის სცენაზე თამაშობს, რომელმაც დაამკვიდრა თეატრალურ ხელოვნებაში პუბლიცისტური ჟანრი“.** — სპექტაკლის დასასრულს მესაუბრება მსახიობი **ნათელა მუხულიშვილი.**

## „ნეტავ, არასდროს მოსდგომოდა ხომალდი „არგო“ კოლხეთის ნაპირს...“

...კოლხი მედეას მითებმა დიდი შთაგონებით აღავსეს ანტიკური ხანის მწერლები, ძველი ბერძენი დრამატურგები, ევროპელი მოგზაურები... საოცარია, მაგრამ თვით ელინებს ეჭვი ეპარებოდათ შვილების მკვლელი დედის ამაზრზენ მოქმედებაში... ამას მოწმობს ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის ბერძენი კომენტატორის, პარმენიკეს ჩანაწერები:

**„...სინამდვილეში მედეამ კი არ დახოცა საკუთარი შვილები, არამედ თავად კორინთელებმა ჩაიდინეს ეს საშინელი დანაშაული შურისგების გამო და შემდეგ ცნობილ დრამატურგ ევრიპიდეს დაუკვეთეს ვერსია, უცხოტომელ მედეას დაბრალებოდა შვილების მკვლელობა, რაც ბრწყინვალედ შეასრულა დიდმა დრამატურგმა ევრიპიდემ“.**

ან კიდევ, კოლხი მედეას ტრაგიკულ დანაშაულს აქარწყლებს ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეების მწერალი კრეოფილე სამოსელი:

**„...კორინთოში მედეამ ქალაქის მაშინდელი გამგებელი კრეონტი საწამლავით მოკლა, მაგრამ რაკი მისი მეგობრებისა და ნათესავების შეეშინდა, ათენში გაიქცა: ვაჟები კი ვინაიდან პატარები იყვნენ და გაყოლა ვერ შეძლეს, აკრეალი ჰერას საკურთხეველში გააგზავნა იმ ვარაუდით, რომ მამა მათ ხსნაზე იზრუნებდა, მაგრამ კრეონტის შინაურებმა ისინი დახოცეს და ხმა გაავრცელეს, რომ მედეამ არა მარტო კრეონტი, არამედ საკუთარი შვილებიც დახოცა.“**

მეტად მრავლისმომცველი, მრავლისმეტყველი და მრავალფეროვანია გოჩა კაპანაძის რეჟისორული ხედვით გადაწყვეტილი „მედეას“ თეატრალური ვერსია, რომელიც შემოქმედებითი თვალსაზრისით თუ კომპოზიციური მონახაზით, ევრიპიდეს, ანუის, რაზუმოვსკაიას, კაშიასა და გაგნიძის ლიტერატურულ ნარკვევებზე ააგო.

— **„ჩაფიქრებული მქონდა, სწორედ XXI საუკუნეში დამედგა ეს სპექტაკლი და კოლხი მედეა წარმომედგინა განსხვავებული სახით. მინდოდა ახალ საუკუნეში ამ ნახევრად ღმერთქალისაგან ოდნავ მაინც ჩამომერეცხა ის ლაქა, რომელიც ოცდაათი საუკუნეა მას თან სდევს, ძველ ნანგრევებსა თუ ძველ წიგნებში. რაღაც შინაგანი ძალა მიბიძგებდა ახალი ათასწლეულის დასაწყისში დავბრუნებოდი პირველწყაროს, ჩვენს ისტორიას კოლხეთის შესახებ. მედეა არ არის**



**ჩვეულებრივი ქალი, მისი ვნებებიც რიგითი მოკვდავისაგან განსხვავებით, უფრო ზეამაღლებული და მეტად ტემპერამენტულია. არ დაგვავიწყდეს, რომ ის ნახევრად ღმერთქალია, მზის ღმერთის — ჰელიოსის შთამომავალი... გრძნეული მედეა სიმბოლოა პირველადი საიდუმლოების მატარებელი პერსონისა... აიეტის ასულია და ღვთაებრივად წარმტაცია. მისი დანაშაული არ უნდა აღვიქვათ როგორც მიწიერი ქალის ნამოქმედარი. მედეას საქციელი ყოველგვარ ლოგიკაზე მაღლა დგას!**

**კოლხი მედეას ირგვლივ უამრავი მითი შეიქმნა და მთელ სამყაროში გაიფანტა... როცა მედეას ფენომენით დავინტერესდი, უამრავი მასალა შევისწავლე... ჩვენ შეგნებულად, გამიზნულად დავუშვით და კიდეც ვითამაშეთ ვერსიები, რათა ამის შემდეგ მაყურებელს ემსჯელა, ეფიქრა... ჩვენი მიზანი არ არის მედეას ცნობილი მითის შეცვლა, მაგრამ ეს ტრაგიკული ისტორია შვილების მკვლელი დედისა იმდენად ამაღელვებელია, რომ ყველა ცდილობს მასში რაღაც ახალი დაინახოს. ამიტომაც შევეცადეთ, მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით მოგვეწოდებინა ეს საოცარი ტრაგედია, ამავდროულად არ დაგვევიწყებინა ჩვენი ისტორია, საიდან მოვდივართ და რანი ვართ“** — მესაუბრება რეჟისორი **გოჩა კაპანაძე.**

სცენაზე თამაშდება ანტიკური ტრაგედიისა და ინტელექტუალური დრამის თანაზიარი „მედეა“...

სცენაზე, ბერძნული ცივილიზაციის ნანგრევების ფონზე გრძნეული მედეას სიმბოლოდქცეული სახის დანაწევრებული ფიგურები განლაგებულა... აჟღერებული ქართული და ბერძნული ფოლკლორული ძალმოსილების ქვეშ ბედისწერა (თეონა გურამიშვილი) აუღელვებლად, ამაყად და თამამად დაიარება... და თან სახის გამომეტყველება მეტამორფოზულად ეცვლება — მსახიობს კარგად მორგებული აქტიორული ნიღაბი ხან სისასტიკისა და სიმკაცრის, ხანაც სათნოებისა და სიმშვიდის სამკაულებით ევსება.

ბედისწერა ხელში ხის რტოს, ანუ ცხოვრების სიმბოლოს ათამაშებს და ავანსცენაზე გამომძვრალ კოლხ მედეას (მარინა კახიანი) გარს დასტრიალებს... ნახევრად ღმერთქალის ცხოვრებას განაგებს, სიყვარულით დაღლილს და იმედგაცრუებულს ბედის ბორბალსაც კი გადაუგორებს, შემდეგ გესლიან ხლართებში მოაქცევს და პლასტიკის ენით ამეტყველებულ ომს უცხადებს.

ბედისწერისა და აიეტის ასულის ორთაჭიდილში შთამბეჭდავია სინქრონულ მოძრაობათა მკვეთრი დინამიკა, ტემპერამენტული ქორეოგრაფიის უცნაური ცვალებადობა, მაღალი რიტმულობა... ეს ძლევამოსილი ცეკვა, ქალთა მდუმარე როკვაა, რაც მსახიობების (მარინა კახიანი და თეონა გურამიშვილი) ექსპანსიურ ვნებებთან და ექსცენტრიკულ მანერებთან უტყვი თანხვედრითაა განპირობებული. ამ ქორეოგრაფიულ ორთაბრძოლაში დაღლილი, ღონემიხდილი მედეა ძირს ეცემა, თითქოს ბედისწერას ემორჩილება, ნებდება, მაგრამ მაინც, შეურიგებლობითა და მუქარით აი, რა წამოსცდება:

**„ბედნიერება დაეხეტება ჩემგან შორს... ბედისწერამ გამსრისა... მთელი ცხოვრება მამაჩემის წყევლა თან დამსდევს... ღმერთებო, მე თქვენ ომს გიცხადებთ!.. მე თქვენ შეგზარავთ ჩემი საქციელით!“**

იხ. მე-6 გვ.



მარინა კახიანი სპექტაკლში — „მედეა“.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

იუბილე

# პრემიერაზე ვოლგოგრადში გეპატიჟებით

## ოთარ ჯანგიშერაშვილი 60 წლისაა

— მე ქართული არ ვიცი, თქვენ კი — რუსული. რა ვქნათ, როგორ ჩააბარებთ წერით გამოცდას? — პროფესორმა თანაგრძნობით ჩახედა ჭაბუკს თვალებში.— გარეგნობით ვერ დაიწუნებ, მეტყველი, დაფიქრებული გამოხედვა აქვს. დასაკარგი ბიჭი არ უნდა ჩანდეს, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ მეუბნება?

ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ, მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში, გასული საუკუნის 60-იან წლებში ასობით და ათასობით ახალგაზრდას იქ მოხვედრა ოცნებად რომ ჰქონდა გადაქცეული, გორიდან ჩასულმა ოთარ ჯანგიშერაშვილმა პირველსავე გამოცდაზე ითაფა (გორული, ქართლური გამოთქმაა!), მაგრამ სახელგანთქმულმა სერგეი გერასიმოვმა სხვაგან არ გაუშვა, თავის სახელოსნოში დატოვა სამუშაოდ.

კარგია ცნობილ ადამიანებთან სიახლოვე და მათთან მუშაობა, მაგრამ ოთარ ჯანგიშერაშვილს სწავლა წყუროდა. იგი დაბრუნდა საქართველოში, ჩააბარა გამოცდები და თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მესამე კურსზე გადავიდა და კვლავ უწია რუსეთში წასვლამ, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. მას შემდეგ ოთარი საქართველოში აღარ მობრუნებულა.

დაამთავრა თუ არა სამხედრო სამსახური, კიევის თეატრისა და კინოს ინსტიტუტში ჩააბარა გამოცდები და ახლა არ იკითხავთ, ვისი სტუდენტი გახდა? — თვით დოდო ალექსიძისა!

ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ ოთარ ჯანგიშერაშვილი კვლავ მოსკოვშია, ამჯერად „გიტისის“ უმაღლეს სარეჟისორო კურსებზე, პერიოდულად სპექტაკლების დასადგმელად იწვევენ ულიანოვსკის, პერმის, როსტოვის თეატრებში. 1975-77 წლებში ოთარი მოსკოვის მცირე თეატრის სტაჟიორია.

1977 წელს უკვე დაღვინებული, ახალი თეატრალური იდეებითა და შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა რეჟისორმა რუსეთის თეატრალურ ოკეანეში საკუთარი გემით შესცურა — 1977 წელს ოთარ ჯანგიშერაშვილს კარელიაში, პეტროზავოდსკის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორად ნიშნავენ. აქ მან ექვსი წელი დაჰყო და თეატრის რეპერტუარი ახალი საინტერესო დადგმებით გაამდიდრა. ლეონიდ ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, ჩეხოვის „ძია ვანო“, შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“ და სხვ. სწორედ ოთარ ჯანგიშერაშვილის დადგმებით ნახა მაყურებელმა. არც აღიარებამ დაიგვიანა და არც გაწეული ღვაწლის დაფასებამ, — ოთარ ჯანგიშერაშვილს მიენიჭა კარელიის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მოგვიანებით კი რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1983 წელს რეჟისორის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ახალი ხანა იწყება. რსფსრ კულტურის სამინისტრომ ოთარ ჯანგიშერაშვილს გორკის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობა შესთავაზა. მუდამ მაძიებელ და დაუდგრომელი ხასიათის შემოქმედს დიდხანს არ უფიქრია, ოჯახმა ბარგი შეკრა და გორკში ჩავიდა.

იდგა 1985 წელი. ადამიანთა ყოფაში ახალი ცხოვრების დაწყების მანიშნებელი სიტყვები და გამოთქმები მკვიდრდებოდა. „გარდაქმნა“, „ვსწავლობთ დემოკრატიას“, „ახალი აზროვნება“. „ტექნოლოგიური რევოლუცია“, „არაფორმალური გაერთიანებები“. გორკის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ახალმა დროებამ ახალი ავტორები წარმოაჩინა: გელმანი, შატროვი, ედუარდ რაძინსკი, ვლადიმერ არო, ლუდმილა პეტრუშევსკაია. ერთის მხრივ,



იდგმებოდა საზოგადოებაში დემოკრატიული პროცესების დაჩქარების, ახალი აზროვნების სულისკვეთებით გამსჭვალული სპექტაკლები, მეორეს მხრივ, ცნობილი მეცნიერი-ატომისტი და ადამიანის უფლებების დამცველი ანდრეი სახაროვი დემოკრატიზაციის რელსებზე შემდგარ რეჟიმს სწორედ გორკში საგულდაგულოდ ჰყავდა საზოგადოებისაგან იზოლირებული.

იცის ცხოვრებამ ასეთი პარადოქსები.

სპექტაკლები სრული ანშლაგით მიდიოდა. ბილეთები ყოველ სპექტაკლზე რამდენიმე დღით ადრე იყო გაყიდული და როგორც თეატრის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილის გამგე ვიქტორ ავდეევი იგონებს, თავისუფლად შეგეძლო ერთი ბილეთით „ვოლგის“ საბურავები გეშოვნა.

არაფერი იყო გულსატკენი იმაში, ძველი რომ ინგრეოდა, მაგრამ მის ნანგრევებში საბჭოური ყოფის თანმდევი ბევრი კარგიც რომ მოჰყვა და დაიღუპა, დღესაც სინანულის გრძნობას იწვევს. მოიშალა თუ არა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურები, ყველაზე მძიმე და უსუსურ მდგომარეობაში კულტურა და კულტურის მოღვაწენი აღმოჩნდნენ. გამოიკეტა ბიბლიოთეკები, ბოქლომი დაჰკიდეს კულტურის სახლებს. რუსეთში, ვოლგოგრადში კი ლამის დაუჯერებელი ამბავი მოხდა: სახელმწიფო დრამატულ თეატრში ისე აირ-დაირია ყველაფერი, რომ ვოლგისპირა ქალაქის ამ მთავარმა კულტურის კერამ დაკარგა შემოქმედებითი სახე — მსახიობთა დასმა სცენა მიატოვა, მაყურებელმა — თეატრი და, რა თქმა უნდა, რსფსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებამაც არ დაიგვიანა მ. გორკის სახელობის ვოლგოგრადის სახელმწიფო თეატრის დახურვის შესახებ. და როცა „პერესტროიკის“ პირველმა ტალღამ გადაიარა და ბევრი რამ თავის ძველ კალაპოტს დაუბრუნდა, ქალაქის ხელმძღვანელობამ თეატრი მოიკითხა: მიტოვებული, გაძარცვული შენობა, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გადახვეწილი მსახიობ-რეჟისორები.

— როგორ ავაღორძინოთ თეატრი, რით დავიწყოთ? — ბჭობდნენ ქალაქის თავები.

სწორედ მაშინ იყო, ვოლგისპირეთის „სელექციონერებმა“ თავიანთი მზერა რომ მიაპყრეს ქ. გორკის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს, რომლის სცენაზეც იქ მიწვეული ქართველი „მოხეტიალე“ რეჟისორი სასწაულებს ახდენდა.

ყველა მოთხოვნა, რომელიც ოთარ ჯანგიშერაშვილმა მასპინძლებს ვოლგოგრადში სამუშაოდ გადმოსვლის სანაცვლოდ წაუყენა, ზედმიწევნით დააკმაყოფილეს. თუმცა რეჟისორი საკუთარი კეთილდღეობისთვის არაფერს ითხოვდა — ყველაფერი თეატრისთვის, თეატრის ინტერესებისთვის. 35 ბინას (ქალაქის პრესტიჟულ რაიონში!), ვოლგოგრადის დრამატული თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ოთარ ჯანგიშერაშვილმა მსახიობების სოციალური პირობების გაუმჯობესებისთვის რომ მიიღო, თავის ყველაზე დიდ გამარჯვებად თვლიდა.

თეატრის ხელახალი აღდგენა დაიწყოო, ვერ ვიტყვით, უფრო სწორი იქნებოდა — ხელახალი აღორძინება. დაცარიელებული და მიტოვებული თეატრის სცენაზე დილიდან საღამომდე რეპეტიციები მიმდინარეობდა, პარალელურად — შენობის ძირეული რეკონსტრუქცია. აქტიორთა სრულიად ახალი გუნდი, უფრო ზუსტად, ოთარ ჯანგიშერაშვილის თანამოაზრეები, რომლებიც მთლიანად იზიარებდნენ მის თეატრალურ პრინციპებს, რეჟისორულ ხედვას, პირველ ფურცლებს წერდნენ უახლესი რუსული თეატრის ისტორიაში. რუსეთში პირველად ვოლგოგრადის თეატრში დაინერგა მსახიობებთან მუშაობის კონტრაქტული სისტემა. რეჟისორი თეატრში სამუშაოდ იწვევს, ვისაც თვლის თეატრისთვის საჭირო ძალად, ვინც სრულიად იზიარებს მის მხატვრულ კონცეფციებს, რადგან როგორც ოთარ ჯანგიშერაშვილი თვლის, სცენაზე წარმატების თავწყარო რეჟისორისა და მსახიობთა დასის მიზანსწრაფვის ერთობლიობაა. წარმატების მიღწევის მზა რეცეპტი არ არსებობს — უნდა გრძნობდე მაყურებლის გემოვნებასა და მოთხოვნებს. იაფფასიანი პროდუქციით „მასკულტურით“ კი არ უნდა გაართო იგი, მაღალ ხელოვნებას უნდა აზიარო, დაეხმარო შესწვდეს ამ მაღალ ხელოვნებას. როგორც თეატრის კრიტიკოსი იური რიბაკოვი ამბობს, ოთარ ჯანგიშერაშვილის, როგორც თეატრის ხელმძღვანელისა და რეჟისორის წარმატება იმაშია, რომ მან თავიდანვე ირწმუნა ანშლაგისა და ექსპერიმენტის ურთიერთშეთავსებადობა. ოთარ ჯანგიშერაშვილის შემოქმედებას ერთდროულად კვებავს რუსული და ქართული თეატრალური ხელოვნების ფესვები. აქედან — მისი სპექტაკლების ფსიქოლოგიური დატვირთვის რუსული ტრადიციები და ნათელი კაშკაშა, ხშირად გამომწვევი ფორმების ძიება, რომელიც, ცხადია, ქართული სათავეებიდან მოდის.

1989 წლის შემოდგომისთვის ვოლგოგრადში, ფაქტობრივად, ახალი თეატრი აშენდა და ახალი თეატრალური დასი შეიქმნა. ოთარ ჯანგიშერაშვილმა თავის პირმშოს „ახალი ექსპერიმენტული თეატრი“ (Y□N) უწოდა. 9 ოქტომბერს „ახალმა ექსპერიმენტულმა თეატრმა“ თავისი პირველი ნამუშევარი გამოიტანა მაყურებლის სამსჯავროზე — შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, რომელიც დღემდე არ ჩამოდის სცენიდან.

„რომეო და ჯულიეტას“ მხარი დაუმშვენა მოლიერის „დონ ჟუანმა“, ბომარშეს „ფიგაროს ქორწინებამ“, ლერმონტოვის „მასკარადმა“, ნიკოლოზ ერდმანის „თვითმკვლელობამ“, ა. ოსტროვსკის „მხურვალე გულმა“, შექსპირის „ჭირვეულის მორჯულებამ“ და მრავალმა სხვამ. ახალ თეატრში ყველა სპექტაკლის დამდგმელია ოთარ ჯანგიშერაშვილი, არცთუ იშვიათად, იგი სცენოგრაფადაც გვევლინება და, თქვენ წარმოიდგინეთ, კოსტიუმების მხატვრადაც.

დღეს ვოლგოგრადში თეატრის ბუმია. აღარავის აკვირვებს გრძელი რიგები თეატრალურ სალაროებთან. სიყვარული და აღტაცება, რომელსაც რუსი თუ უცხოელი „ნეტას“ მიმართ გამოხატეს, ლექსებად და მადლობის ბარათებად ეგზავნება თეატრს.

რუსული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისათვის ოთარ ჯანგიშერაშვილს რსფსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა, იგი არის კ. სტანისლავსკის სახელობის პრემიის ლაურეატი და რუსეთის ერთ-ერთი მაღალი სახელმწიფო ჯილდოს — „საპატიო ორდენის“ კავალერი.

ამ დღეებში ოთარ ჯანგიშერაშვილს 60 წელი შეუსრულდება. მან, როგორც თავად ამბობს, გამოარიდა თავი ვოლგოგრადში ამ თარიღის აღნიშვნის საზეიმო მომენტებს და ეს დღეები, გორში, მამაპაპეულ სახლში გაატარა. ჩვენ აქ შევხვდით მას. დიდხანს ვისაუბრეთ თეატრზე, ხელოვნებაზე, ოჯახზე, მისი ბავშვობის ქალაქზე. ტელეფონი კი ხშირად რეკდა — ვოლგოგრადიდან დაბადების დღეს ულოცავდნენ კოლეგები, მეგობრები, მისი ხელოვნების თაყვანისმცემლები.

სწორედ იმ დღეს ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება ოთარ ჯანგიშერაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ.

— მიხარია, ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში ჩემს მოკრძალებულ წვლილს პრეზიდენტმა ასეთი მაღალი შეფასება რომ მისცა, — თქვა ჩვენმა მასპინძელმა, — მაგრამ განკარგულებაში არის კიდევ ერთი ფრაზა, რომელიც სიხარულს მიორკეცებს: **„საქართველოსა და რუსეთს შორის კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისათვის“**. ეს კი ჩემი შემოქმედებისა და ყოველდღიური საქმიანობის ის უბანია, რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ. დღემდე ასე იყო და მომავალშიც ასე იქნება.

— კარზეა ახალი თეატრალური სეზონი...

— ახალი ექსპერიმენტული თეატრი თავის მეთოთხმეტე სეზონს ოქტომბერში ხსნის. მაყურებელი ნახავს პრემიერას — შექსპირის „ჰამლეტს“. ხომ გახსოვთ? „დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკრა...“ ამ სტრიქონებში მარადიული აზრია დავანებული...

**ვაჟა შიუკაშვილი,**
**გაზეთ „შემოქმედების“ რედაქტორი (გორი);**
**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

პრემიერა

# მე რომ ხელმწიფე ვიყო...

**ახალი სეზონი რუსთავის სახელმწიფო საბავშვო და ახალგაზრდულმა თეატრმა გახსნა პრემიერით „მე რომ ხელმწიფე ვიყო“, რომლის დამდგმელი რეჟისორია იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი ვაჟა ძიგუა.**

გიოგი ნახუცრიშვილის დრამატული ნაწარმოებები დღემდე ინარჩუნებენ ცხოველმყოფელობას. ამიტომ, ბუნებრივია, მაყურებლის ინტერესი იმ პოპულარული ზღაპარი-კომედიისადმი, რომელსაც ვიცნობთ „ჭინჭრაქას“ სახელწოდებით და ახლახან რუსთავის თეატრის სცენაზე განახორციელა ვაჟა ძიგუამ მხატვარ ლომგულ მურუსიძესთან, კომპოზიტორ ლია თურქაძესთან და ქორეოგრაფ ვლადიმერ ბახტაძესთან ერთად.

რეჟისორული ჩანაფიქრი გულისხმობდა ახალგაზრდა მსახიობების შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამომჟღავნებას, მათაც მხარი აუბეს და შთამბეჭდავი პერსონაჟები შექმნეს.

სცენაზე ვიხილეთ მსახიობები: ჭინჭრაქა — სოსო ელიზბარაშვილი, მზია — ანა შარვაძე, რევი და ვეზირი — ზურაბ ფიროსმანაშვილი, დევი — აკაკი მიქაძე, მრჩეველი — გიორგი რევაზიშვილი, უკვდავების მზეთუნახავი — ლეილა ტაპატაძე, ტურა — ციალა გურგენიძე, მელა — ნინო ჯამალაშვილი, მგელი — ლეონტი შიოშვილი, დათვი და დევის მხლებელი გიორგი მთავრიშვილი.

„ჭინჭრაქა“ — თვითონ ეს პიესა, არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ მოზარდისთვისაც საინტერესო ნაწარმოებია, მით უმეტეს გასცენიურებული. პერსონაჟთა სილაღეს ხელს უწყობს მშვენიერი სიმღერები, — კომპოზიტორმა გაააახლა, ცნობილი მელოდიები, რითაც კიდევ უფრო დაუახლოვა პერსონაჟები თანამედროვეობას.

60-იანი წლების რუსთაველის თეატრში მიხეილ თუმანიშვილის მიერ დადგმული „ჭინჭრაქა“, ვის არ ახსოვს, ეს საოცარი სანახაობა იყო. ამის შემდეგ ამ პიესის გათამაშება გარკვეულ სირთულეებს ქმნიდა, მაგრამ ძალა არ დაგვიშურებია — თქვა ჭინჭრაქას როლის შემსრულებელმა სოსო ელიზბარაშვილმა, — ვფიქრობთ, ჩვენ სრულიად განსხვავებული ვარიანტი წარმოვადგინეთ!

რეჟისორი კარგად იცნობს ამ თეატრის დასს და ახლაც იოლად გამონახა მსახიობებთან საერთო ენა. ბატონი ვაჟა ამ ცნობილი კომედია-ზღაპრის სათაურის შეცვლას იმით ამართლებს, რომ უფრო გაუსვას ხაზი ჭინჭრაქას კეთილშობილურ მიზნებს — მის ნატვრას, რომ სიკეთის ძალამ



სცენა სპექტაკლიდან „მე რომ ხელმწიფე ვიყო“.

იზეიმოს. რეჟისორმა შექმნა მუსიკალურ-პლასტიკური, დინამიკური, რომანტიკულ-ზღაპრული სანახაობა, სადაც იუმორი და გროტესკი ბუნებრივად ერწყმის ჭინჭრაქასა და მზიას ლირიკულ ხაზს.

უნდა აღინიშნოს მხატვრის მიერ შექმნილი გარემო, კოსტიუმები, რაც ხაზს უსვამს პერსონაჟთა ხასიათებს. ასევე ყურადღებას იპყრობს ქორეოგრაფის ნამუშევარი, რომელიც კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის მისტიკურ სცენებს და ახალბედა მსახიობების პლასტიკურ მონაცემებსაც კარგად წარმოაჩენს.

ამ სპექტაკლით გახსნა თეატრმა თავისი ახალი, 23-ე სეზონი.

**ლიკა შონია.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სიტუაცია

# დასასრული ყველაფერს აქვს, ჩვენს ტანჯვა-წამებას კი არა

**უსინათლობა დიდი უბედურებაა, მაგრამ ადამიანს, რომელსაც ბუნებამ თვალისჩინო წაართვა, სამაგიეროდ სხვა გრძნობები მისცა ჭარბად. ამიტომაც არის, რომ უსინათლო ადამიანებს კარგი სმენა, კარგი მახსოვრობა აქვთ, შეუძლიათ დაუღალავი შრომა. სწორედ შრომის მოთხოვნილება, ხალხში გრიალი გახდა საფუძველი იმისა, რომ უსინათლოთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა 1926 წელს დაეარსებინა თავიანთი საზოგადოება.**

საზოგადოება ქვეყანაში ერთ-ერთ ფინანსურად გამართულ ორგანიზაციად ითვლებოდა. არსებობის 76 წლის მანძილზე მან შეძლო შეექმნა თავისი ინფრასტრუქტურა, ქალაქებსა და რაიონებში აშენდა სარეაბილიტაციო ცენტრები და საწარმოები, სადაც დასაქმებული იყო 2500 უსინათლო და ამდენივე მხედველი ადამიანი. აწარმოებდნენ ქვეყნისათვის საჭირო 300 დასახელების პროდუქციას, აშენებდნენ ბინებს, კლუბებს, დასასვენებელ სახლებს.

ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ყველაფერი იყო. დღეს, მართალია, უსინათლოთა კავშირმა შეინარჩუნა თავისი საწარმოები და დასასვენებელი სახლები, მაგრამ უსახსრობის გამო ისინი არ საქმიანობენ. უსინათლოები უმუშევრები დარჩნენ, რის გამოც თავის გადარჩენის მიზნით ბევრი მათგანი გამათხოვრდა.

ყველაფერი კი 1990 წლიდან დაიწყო, როცა ქვეყანაში გამეფდა ქაოსი და ანარქია. უსინათლოთათვის საუბედუროდ, სწორედ 1992-1997 წლებში ერთ-ერთ ხელმძღვანელად მოევლინათ დროებითი ინვალიდობის საბუთს ამოფარებული აბესალომ ქაჯაია, თავმჯდომარის პირველი მოადგილე. მან ისარგებლა უსინათლოთა ნდობით, ამოეფარა უსინათლო თავმჯდომარის ზურგს და ერთპიროვნულად, საზოგადოების წესდების დარღვევით, პრეზიდიუმის გვერდის ავლით, საწარმოთა ხელმძღვანელებს აძლევდა უსინათლოთა შრომითა და ოფლით შეძენილი ქონების გაყიდვის ნებართვას. 1997 წელს კონტროლის პალატის შემოწმებამ მისი უკანონო ქმედების უამრავი ფაქტი აღნუსხა.

ა. ქაჯაია უსინათლოთაგან მკაცრ სასჯელს იმსახურებდა, თუმცა მხოლოდ ის აკმარეს, რომ 1997 წელს ჩატარებულ საზოგადოების XI ყრილობაზე აღარ აირჩიეს თანამდებობაზე. ა. ქაჯაიამ, სხვა ოთხ უსინათლოსთან ერთად, თავისი კანდიდატურა წამოაყენა თავმჯდომარის პოსტზე, მანამდე კი მონაწილეობდა ადგილებზე დელეგატების არჩევნებში. ყრილობის დროს დელეგატებისათვის ცნობილი გახდა კონტროლის პალატის შემოწმების მასალებში დაფიქსირებული ქაჯაიას მიერ ჩადენილი ავკაცობის შესახებ. იგი მიხვდა, რომ დელეგატები მხარს არ დაუჭერდნენ, ამიტომ ხერხს მიმართა: მოხსნა თავისი კანდიდატურა იმ მოტივით, რომ მისი პროგრამა 100 პროცენტით ემთხვეოდა თავმჯდომარეობის კანდიდატის, ყოფილი თავმჯდომარის გ. ჭუმბურიძისას, რომლის ზურგსაც იყო ამოფარებული 5 წელი და განაცხადა, გ. ჭუმბურიძეს არ დაუპირისპირდებიო. თუმცა, ეს სიტყვები მალე დაივიწყა: აგერ უკვე 6 წელია უჩივის ჭუმბურიძეს და უსინათლოთა კავშირს. ქაჯაიას შემდეგ XI ყრილობაზე თავიანთი კანდიდატურები მოხსნეს რ. გორდელაძემ, თ. მუქერიამ, ს. გოგიძემ, დარჩა მხოლოდ გ. ჭუმბურიძე, რომელსაც დელეგატებმა ღია კენჭისყრით ერთხმად დაუჭირეს მხარი და მეორე ვადით აირჩიეს თავმჯდომარედ.

ა. ქაჯაიას გათვლა არ გამოუვიდა, მას ეგონა, გ. ჭუმბურიძე მოადგილედ მაინც დაასახელებდა, მან კი სხვა დაასახელა და ს. გოგიძე აირჩიეს პირველ მოადგილედ. ამის შემდეგ ა. ქაჯაიამ დაწერა განცხადება, წაიღო შრომის წიგნაკი და წავიდა. მაგრამ მალე გაცხარებული მოუბრუნდა უსინათლოთა კავშირს და საჩივრების წერას ჩაუჯდა. დღემდე რამდენი სასამართლო პროცესი გაიმართა, რამდენი მოსამართლე მოცდა, რამდენი კილოგრამი ქაღალდი დაიხარჯა, სათვალავი აგვერია.



პირველი საჩივარი ისნის რაიონის სასამართლოში შეიტანა, უსინათლოთა საზოგადოების XI ყრილობა დარღვევით წარიმართა, თავმჯდომარის არჩევნები ღია კენჭისყრით არ უნდა ჩატარებულიყოო (არადა, ერთი კანდიდატი იყო დარჩენილი და დელეგატებმა არ ჩათვალეს ფარული კენჭისყრის ჩატარება საჭიროდ, თორემ რა პრობლემა იყო). მოსამართლე თ. ბარაბაძემ გააუქმა ყრილობის გადაწყვეტილება არჩევნების ნაწილში და საზოგადოების ხელმძღვანელებს, პირადად გ. ჭუმბურიძეს წერილობით დაავალა, ჩაეტარებინათ რიგგარეშე ყრილობა და გამოესწორებინათ დარღვევები. იმავე დელეგატების მონაწილეობით, წესების სრული დაცვით, მართლაც ჩატარდა რიგგარეშე XII ყრილობა, რომელმაც გაითვალისწინა ყველა შენიშვნა და ისევ ერთხმად აირჩია თავმჯდომარედ გ. ჭუმბურიძე.

ამის შემდეგ იწყება ქაჯაიას საჩივრების ეპოპეა, მაგათ რატომ ჩაატარეს არჩევნები, არჩევნები მე უნდა ჩავატაროო. არადა, ამ დროისათვის ა. ქაჯაიას ინვალიდობის საბუთს უკვე ვადა ჰქონდა გასული, ინვალიდობის ჯგუფის მატარებელი აღარ იყო. ამ ექვსი წლის განმავლობაში ა. ქაჯაია ხან აღმასრულებლებს აწუხებდა, ხან პროკურატურას. უმაღლესმა სასამართლომ ოთხჯერ იმსჯელა მის საჩივარზე და უსაფუძვლობის გამო უარი უთხრა დაკმაყოფილებაზე. ის კი ჯიუტად აგრძელებს ჩივილს XI ყრილობის არჩევნების ნაწილში გაუქმებული დადგენილება არავის გაუუქმებია და უნდა აღსრულდესო. სწორია, ამ დადგენილებას არავინ გააუქმებდა, მის საფუძველზე ჩატარდა რიგგარეშე XII ყრილობა, რომელმაც გაითვალისწინა სასამართლოს მითითებები XI ყრილობაზე დაშვებული ხარვეზების თაობაზე. ა. ქაჯაიას არ უნდა, ეს გაიგოს. მას სურვილი კლავს სასამართლოს ძალით დაბრუნდეს უსინათლოთა საზოგადოებაში.

ა. ქაჯაიას ამ ჩივილში უსინათლოთა საზოგადოება... გაუქმდა და უსინათლოთა კავშირად გადაკეთდა. ცხოვრება და საქმიანობა თავისი გზით მიდის. ჩატარდა გამგეობის III ყრილობა, მათ შორის — საარჩევნო (2001 წლის სექტემბერში). ა. ქაჯაიას რომ რაიმე ავტორიტეტი ჰქონოდა უსინათლოებში, დააყენებდა თავის კანდიდატურას და ბედს ცდიდა (თუმცა, როგორ დააყენებდა, ის ხომ უსინათლო ინვალიდი აღარ არის). ისევ შორიდან ლანძღავს, შეურაცხყოფს კავშირის კოლექტივს, სახელს უტეხს მის წევრებს.

ამ საქმეში მას მხარი აუბა ანზორ მღვდელაძემ, რომელიც XV ყრილობაზე სხვა კანდიდატებთან ერთად კენჭს იყრიდა თავმჯდომარეობაზე, წარმოდგენილი ჰქონდა პროგრამა, რომელიც გააცნო კიდევაც ყრილობის დელეგატებს. ერთ-ერთმა კანდიდატმა მის სასარგებლოდ მოხსნა კიდეც თავისი კანდიდატურა, ხმის დამთვლელ კომისიაში შეყვანილი ჰყავდა თავისი ნდობით აღჭურვილი პირი. ყრილობის დამსწრე 67 დელეგატიდან ა. მღვდელაძეს ხმა მისცა 2 დელეგატმა, 63 დელეგატმა კი — ახალგაზრდა, პერსპექტიულ, უმაღლესი განათლების მქონე რევაზ მაისურაძეს, რომელსაც დღესაც მთელი კოლექტივი უდგას მხარში.

ა. მღვდელაძეს მხარი არ დაუჭირეს, რადგან ახსოვდათ მისი ცუდი საქმეები: საზოგადოების მუსიკალურ-საესტრადო გაერთიანების დირექტორად მუშაობის დროს ფული გამოსძალა უსინათლო გოგონას, რისთვისაც სასჯელს იხდიდა ციხეში; ფონიჭალის საწარმოში მან ყველაზე პირველმა ჩამოწერა და გაიტანა უსინათლოთა ქონება, ერთ-ერთი საამქროს კუთვნილი დაზგა-დანადგარები ისე, რომ ერთი თეთრიც არ გადაუხდია. ა. მღვდელაძე განაწყენდა თავმჯდომარედ რომ არ აირჩიეს, დაუკავშირდა ა. ქაჯაიას და ახლა XV ყრილობას უჩივის — დარღვევებით ჩატარდაო. დალოცვილი, თუ თვითონ იქნებოდა არჩეული, პრეტენზია არ ჰქონდა (არც განუცხადებია ხმის დათვლის შედეგების გამოცხადებამდე).

ა. ქაჯაია სარგებლობს რომ ა. მღვდელაძე ინვალიდია, სასამართლოში ბაჟს არ იხდის, ამიტომაც დადიან ერთად, ჩივიან, ხან ამ მოსამართლეს გადასწვდებიან, ხან იმას, თავი უნდა მოაჩვენონ დაჩაგრულ, შევიწროებულ ადამიანებად, რომ როგორმე ზემოქმედება მოახდინონ სასამართლოზე.

ამასობაში უსინათლოთა კავშირში უამრავი საქმე გაკეთდა, უამრავი საქმიანი გადაწყვეტილება მიიღეს, ჩატარდა საფინანსო ოპერაციები, დაინიშნა და განთავისუფლდა კადრები, ამიტომ ვერ წარმოუდგენიათ უსინათლოებს ერთი წუთით, რომ აღდგეს 1992 წლის არჩევნებით დაფიქსირებული მდგომარეობა. ეს ხომ აბსურდია და მეტი არაფერი. ამას თვითონაც ხედებიან ა. ქაჯაია და ა. მღვდელაძე. ამიტომ, გაბოროტებულები, პრესის საშუალებით შეურაცხყოფას აყენებენ მოსამართლეებს, უსინათლოთა კავშირის კოლექტივის წევრებს, არ ერიდებიან ცილისწამებას. ჯერ იყო და პროკურატურაში შეიტანეს საჩივარი, 600 დანადგარი გაყიდეს ირანსა და თურქეთშიო. პროკურატურამ 3-4 თვის განმავლობაში დაწვრილებით შეისწავლა საქმე. მსგავსი არაფერი უნახავთ. ამითაც რომ ვერაფერს მიაღწიეს, ახალ ხერხს მიმართეს — აღმასრულებელს დაადგნენ თავზე, აყალ-მაყალი აუტეხეს, ოქმი შეადგენინეს, რომ აღესრულებინა ერთხელ უკვე აღსრულებული საქმე. ამ საკითხზე სასამართლოს თავის დროზე გამოტანილი აქვს გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა. ქაჯაიას მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენის შესახებ. სამაგიეროდ, კავშირს დაავალა მისთვის განაცდურის ორი თვისა და 20 დღის ხელფასის ანაზღაურება. აუნაზღაურდა კიდეც. ა. ქაჯაიამ ფული მაშინვე მიიღო. დღეს კი კვლავ თანამდებობას ითხოვს, თავისი ხელით დაწერა ბრძანება, თავი გამოაცხადა აღდგენილად, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

საზოგადოების მმართველი ორგანო პრეზიდიუმი იყო, მის მოთხოვნას არ ეთანხმება იმდროინდელი პრეზიდიუმის 11 წევრიდან 9, მათ შორის ყოფილი თავმჯდომარე გ. ჭუმბურიძე, რომელმაც უარი თქვა უფლებამოსილების აღდგენის აბსურდულ მოთხოვნაზე. იგი თვლის, რომ ყველაფერი კანონიერად არის და მხარს უჭერს დღევანდელ ხელმძღვანელობას. ა. ქაჯაია ცდილობს ორხელისუფლებიანობის ინსპირირებას, რათა ამით ქაოსი შეიტანოს საქართველოს უსინათლოთა კავშირის კოლექტივში [illegible] ვინ სთხოვს დაუსაბუთებელი საჩივრების, ცილისწამებისა თუ შეურაცხყოფისათვის. არადა, 2001 წლის სექტემბერში არჩეულ ჩვენი კავშირის [illegible] ხელმძღვანელობას [illegible] არ ჰქონდა 1997 წელს ჩატარებულ ყრილობასთან.

**მარინა ნოზაძე, მარინა კ[illegible], [illegible] ტალაშვილი, გივი არდოტ[illegible]ლი, გურამ ურუშაძე, დავით გ[illegible]ძე, ალექსანდრე ლაბაძე, რომან მურჯიკნელი, [illegible] სამხარაძე, გურამ ძიმერიძე, რომან გოგბ[illegible], [illegible]ვილი, მაყვალა ყაჭიური.**

აქტუალური თემა

# ნარკომანიას მხოლოდ სპორტი, ცხოვრების ჯანსაღი წესი დაუპირისპირდება



**ჩვენი იურისტები, სამთავრობო სტრუქტურები კარგა ხანია მსჯელობენ ქვეყანაში ნარკომანიის გავრცელების, ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე. იმართება კონფერენციები (მაგალითად, „კავკასია ნარკოტიკების გარეშე“), მზადდება კანონპროექტები, ხორციელდება რიგი იურიდიული პროცედურები და სხვა მრავალი. ამასწინანდელ მთავრობის სხდომაზე ქვეყნის სახელმწიფო მინისტრმა წინადადება შეიტანა, რომ მოხდეს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროს გამოყოფა და პრეზიდენტის ეგიდით ცალკე სპეციალური სააგენტო შეიქმნას, რომელიც გააერთიანებს ყველა მიმართულებას, კოორდინაციას გაუწევს ყველა განსახორციელებელ ღონისძიებას.**

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ იმავე სხდომაზე წამოაყენა წინადადება, რომ ჩვენმა ცნობილმა მოქალაქეებმა, საზოგადო მოღვაწეებმა განუმარტონ მოსახლეობას, თუ რას უქადის ნარკომანია საქართველოს, რამდენად საშიში და დამღუპველია იგი მომავალი თაობებისთვის; განმარტებითი მუშაობა უნდა გააძლიეროს მასმედიამ, რათა მომავალი თაობები ავაცილოთ ამ უბედურებას...

ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა რუსეთის პრეზიდენტთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საბჭოს სხდომა, რომელსაც თავად პრეზიდენტი პუტინი უძღვებოდა.

თავის გამოსვლაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრიორიტეტულად მიაჩნია მასობრივი სპორტის აღორძინება, ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად კი ჩათვალა „სასკოლო და ეზოების შეჯიბრებათა პრაქტიკის დავიწყება“.

ვფიქრობთ, ამ ორ მოვლენას — თბილისში მთავრობის სხდომასა და მოსკოვში გამართულ საბჭოს სხდომას შორის არსებობს უშუალო კავშირი, რამეთუ ფიზკულტურული მოძრაობის აღორძინება სწორედაც რომ ნიშნავს ნარკომანიასთან ბრძოლას.

ჯერ კიდევ 1997 წლის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება „ქვეყნის მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის და განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ამ ბრძანებულებით მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებს (მათ შორის — ჯანმრთელობის დაცვის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროებს) ევალებოდათ რიგი ღონისძიებების განხორციელება (იქ ლაპარაკია ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაზეც). განათლების სამინისტროს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს ევალებოდათ „ჯანმრთელობის სკოლების ქსელის შექმნა საგანმანათლებლო სფეროში ცხოვრების ჯანსაღი წესის აქტიურად დანერგვისათვის.

განსაკუთრებული დავალება მიეცა სპორტის დეპარტამენტს. კერძოდ, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად „უზრუნველყოს მასობრივ სპორტში მოსახლეობის, განსაკუთრებით მოზარდი თაობის ჩაბმა, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მარტივი ტიპის სპორტული მოედნებისა და პედაგოგ-ორგანიზატორთა საშტატო ერთეულების აღდგენა, სასკოლო და სტუდენტური სპორტული სპარტაკიადების სისტემატური ორგანიზება“.

როგორც ვხედავთ, რუსეთის პრეზიდენტის მიერ ამ დღეებში გამართულ სპორტის საბჭოს სხდომაზე და ამ ხუთი წლის წინათ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში ერთი და იგივე პრობლემებზეა საუბარი. განსხვავება დროშია და კიდევ იმაში, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ამ საქმისთვის ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყო 5,7 მილიარდი რუბლი, ჩვენი ბიუჯეტის ყოველწლიური ციებ-ცხელების გამო კი საქართველოში ამ უაღრესად საჭირო პრობლემის გადასაჭრელად სახსრები რეალურად არ გამოყოფილა(!).

ერთი სიტყვით, თანამედროვე მსოფლიოში თავსატეხი და გამოსასწორებელი საქმე უამრავია, გინდ რუსეთში, გინდ ამერიკაში თუ ჩვენთან. მთავარი მტერი კი გახლავთ ნარკომანია. მასთან ბრძოლა და მისი დამარცხება დროთა განმავლობაში რთულდება, ნარკომანთა რიცხვი კატასტროფული სისწრაფით იზრდება, ნარკოტიკული ნივთიერებანი სულ უფრო მრავალფეროვანი და ძნელად ამოსაშანთავი ხდება.

მაგრამ არსებობს გამოსავალი და იგი კვლავ და კვლავ ფიზკულტურის, სპორტის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების სიბრტყეშია.

მასობრივი ფიზკულტურის ფართოდ დანერგვა, სპარტაკიადების, შეჯიბრებების გამართვა თუნდაც ეზოების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების დონეზე, ვფიქრობთ ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა მსოფლიოში გავრცელებული შავი ჭირისდარი სნეულების — ნარკომანიის წინააღმდეგ.

საქართველოში, მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ გვყავს არაერთი სპორტისა და ფიზიკური კულტურის ერთგული მუშაკი, რომლებიც შეძლებისდაგვარად გვერდში უდგანან ცხოვრების ჯანსაღი წესის მოსახლეობაში დანერგვის საქმეს. ამ წინასაარჩევნო პერიოდში რიგი პარტიული ლიდერის ძალისხმევით მრავალი მარტივი ტიპის მოედანი აღდგა და მოწესრიგდა, არაა დავიწყებული „ფართომასშტაბიანი“ სპორტული ღონისძიებებით გამართვაც. მაგალითად, **ამ შაბათ-კვირას (4 და 5 ოქტომბერს) დიდი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები გაიმართება, ერთი — კუს ტბის მიდამოებში, მეორე კი რიყეზე. სპორტის დღისადმი მიძღვნილ ამ შეჯიბრებებზე დაგეგმილია საინტერესო ასპარეზობანი სირბილში, მასობრივი ღონისძიებები სპორტის რიგ სახეობებში...**

მაგრამ, ასეთი ერთჯერადი ღონისძიებები, ვფიქრობთ, გაზაფხულს ვერ მოიყვანს, შეჯიბრებები უნდა იმართებოდეს, პრაქტიკულად, ყოველ შაბათ-კვირას, სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა უბანსა თუ რაიონში. სპორტულ ასპარეზობებს უნდა მიეცეს ნამდვილად ყოველდღიური, მასობრივი ხასიათი.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის ჭეშმარიტად დანერგვას, ნარკომანიის, სხვა უბედურებების დამარცხებას!

**ანზორ ბასილაია.**

კალათბურთი

# იწყება XIII ეროვნული

დღეს იწყება კალათბურთელ ვაჟთა XIII ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც მრავალ საინტერესოს ჰპირდება გულშემატკივარს — წამყვან მოთამაშეთა სხვადასხვა გუნდებში გადანაწილება, ვიმედოვნებთ, გაზრდის შეხვედრათა დაძაბულობას, რაც, თავის მხრივ, სასიკეთოდ აისახება მომავალ ბატალიათა სანახაობრივ მხარეზე. არის სიახლეც — ამიერიდან სარბიელზე დუბლშემადგენლობებიც (ახალგაზრდები) გამოვლენ.

დღეს ითამაშებენ: სტუ — ქუთაისი (15.00), ჩემპიონატის გახსნა (16.30), „დინამო“ — „მაქაბი“ (17.00, ვერის ბაღში) და „ბასკო“ — სსუ (17.00, ბათუმში). რაც შეეხება სათადარიგოებს, მათი მატჩების განრიგი ასეთია: „დინამო“ — „აკადემია (13.00, ვერის ბაღში) და „ბასკო“ — „სსუ (15.00, ბათუმში).

**სურათზე: სეზონის პირველი ასპარეზობის — დუდუ დადიანის მემორიალის გამარჯვებული — სტუ.**

**ჯემალ კასრაძის ფოტო.**



ჭიდაობა

# დანაკარგები სტარტზე

**პარიზიდან 50 კილომეტრით დაშორებულ პატარა ქალაქ კრეტეიში სტარტი აიღო 2003 წლის მსოფლიო პირად-გუნდურმა ჩემპიონატმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ოქროს მედლებისთვის და ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებისათვის პლანეტის 70-ზე მეტი ქვეყნის 360 ფალავანი ჩაება.**

საკმაოდ ძლიერ საკვალიფიკაციო ჯგუფში მოხვდა თბილისელი ირაკლი ჭოჭუა (55 კგ.), რომელმაც, მართალია, პირველ წრეში ქულებით დაამარცხა თურქი ერქან ილდირი, მაგრამ მეორეში თვითონ წააგო ნაკლებად ცნობილ ინდიელ მუკეშ კატრისთან. იმისათვის, რომ ირაკლი ქვეჯგუფიდან გავიდეს, მან აუცილებლად უნდა დაამარცხოს ირანელი მსოფლიოს 2001 წლის ჩემპიონი ჰასან რანგრაცი, რაც ძალიან ძნელი საქმეა, თუმცა, ვნახოთ...

საკმაოდ სუსტ შესარჩევ ჯგუფში მოხვდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორი, ოზურგეთელი მანუჩარ კვირკველია (66 კგ), რომელმაც სტარტზე კანადელი ეინსლი რობინსონი დაამარცხა, შემდეგ გზიდან ჩამოიშორა ჩეხი ანდრეი იაროში. კვირკველიას ამ შეხვედრებში ქულაც არ დაუთმია და მას დიდი შანსი აქვს ჯგუფიდან გავიდეს და ლიცენზიაც გაინაღდოს, თუ მესამე წრეში ოლიმპიურ ჩემპიონ პოლონელ რიშარდ ვოლნისთან არ დამარცხდა. თავის მხრივ ვოლნიმ ყაზახეთის წარმომადგენელს მხითარ მანუკიანს უნდა მოუგოს.

პირველი შეხვედრა გამართა მსოფლიოს ჩემპიონმა ბათუმელმა მუხრან ვახტანგაძემაც (84 კგ), რომელსაც მუხლის ტრავმა აწუხებს. მან 2:0 დაამარცხა ბულგარელი ვლადისლავ გეთოდიევი, რომელსაც ჰოლანდიელი მოჭიდავე დევოისიც მიაყოლა. მსოფლიოს ჩემპიონს ჯგუფიდან გასვლა არ გასჭირდება, იქ კი მის სავარაუდო მეტოქედ თურქი ოლიმპიური ჩემპიონი ჰამზა ერლიქაი შეიძლება მივიჩნიოთ, რომელთანაც ბათუმელ მოჭიდავეს დადებითი ბალანსი აქვს.

მძიმე წონაში 27 წლის თერჯოლელმა მირიან გიორგაძემ პირველი შეხვედრა წააგო ფინელ ევროპის მოქმედ ჩემპიონთან იუჰას აჰოკასთან და ქვეჯგუფიდან გასულის მხოლოდ თეორიული შანსი რჩება.

გუშინ ბრძოლაში ჩაებნენ აკაკი ჩაჩუა (60 კგ), ბადრი ხასაია (74 კგ) და ევროპის მოქმედი ჩემპიონი რამაზ ნოზაძე (96 კგ). ჩემპიონატი კვირას დასრულდება.

**შალვა ძორიძე.**

# განმცხადებელი აზუსტებს

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 3 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტოკოლო მომსახურების ბიუროს განცხადება. 1 პუნქტში დახურული ტენდერის ნაცვლად უნდა იკითხებოდეს ღია ტენდერს. მე-6 პუნქტში 150 ლარის ნაცვლად — 500 ლარი.

შესასყიდი საქონლის რაოდენობრივი ჩამონათვალი განისაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებლით და არა ლარებით.

# გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს წიაღით სარგებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად სადგერის (ბორჯომის რაიონი) წყაროს წყლის შესწავლა-მოპოვების მიზნით; ბექტაქარის საბადოს (ბოლნისის რაიონი) კლდოვანის უბნის დამუშავებაზე ოქროსშემცველი ფაიფურის ქვის მოპოვების მიზნით; გომბორის (საგარეჯოს რაიონი) და ხაშურის საბადოების დამუშავებაზე ქვიშის, აგრეთვე, კოდიანის (ბორჯომის რაიონი) საბადოს დამუშავებაზე ვულკანური წარმოშობის სამშენებლო მასალების მოპოვების მიზნით (სამთო მინაკუთვნის ფართობი 10 ჰა-მდე); ჭიშურის (თერჯოლის რაიონი) საბადოს დამუშავებაზე კირქვების მოპოვების მიზნით (სამთო მინაკუთვნის ფართობი 5 ჰა-მდე); მდ. ალაზნის (ახმეტის რაიონი) ტერასის დამუშავებაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების მიზნით; მდ. ხრამის (მარნეულის რაიონი) არახლო-თამარისის ტერასიდან ქვიშა-ხრეშის მოპოვების მიზნით.

ლიცენზიები გაიცემა 20 წლამდე ვადით, ვადა განისაზღვრება მოთხოვნილი წიაღით სარგებლობის პარამეტრების გათვალისწინებით. სალიცენზიო ობიექტს დაუწესდება მიწის მინაკუთვნი და მასზე უფლება გაიცემა ლიცენზიასთან ერთად. სამთო მინაკუთვნი განისაზღვრება ექსპერტთა საბჭოს მიერ. წიაღით მოსარგებლემ უნდა შეადგინოს სათანადო პროექტი და წარადგინოს ექსპერტიზაზე ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციაში.

წიაღით სარგებლობისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი რაციონალურად გამოყენება, წიაღისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

წიაღით სარგებლობის კონკრეტული პირობები დაზუსტდება პრეტენდენტების მიერ კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად.

ლიცენზიის მოპოვების მსურველმა პირებმა სამინისტროს უნდა მიმართონ განცხადებით და წარმოადგინონ დოკუმენტაცია „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია მიიღება ბექტაქარის ოქროსშემცველ ფაიფურის ქვის ობიექტზე 2003 წლის 3 ნოემბრამდე, დანარჩენ ობიექტებზე — 2003 წლის 15 ოქტომბრამდე.

კონკურსის ჩატარების თარიღი განმცხადებელ სუბიექტებს ეცნობებათ დამატებით. დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ: 25-31-53; 25-31-54; 25-31-56.

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტი.**

**მისამართი: ფალიაშვილის, 87.**

ჭადრაკი

# ლიდერობა შეინარჩუნეს

**საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე დღეს დამთავრდება ევროპის მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც სულ 58 გუნდი მონაწილეობს. ქალთა შორის ხუთი ტურის შემდეგ 9 ქულით უწინდებურად თბილისის „ნტნ“-ი ლიდერობს.** მართალია, ჩვენმა ქალებმა V ტურის შეხვედრა შარშანდელ მეორე პრიზიორთან — ყაზანის „ლადიასთან“ ფრედ 2:2 დაამთავრეს (ძაგნიძემ გალიამოვასთან წააგო, ჯავახიშვილმა მაშინსკაია დაამარცხა, ლომინეიშვილი-ზიაცი, გვეტაძე-ჩისტიაკოვა დაზავდნენ), მაგრამ უახლოეს მდევრებთან (პოდგორიცას „ინტერნეტი, ბელგრადის „ბასი“, ყაზანის „ლადია“) ორ-ორქულიანი სხვაობა მაინც შეინარჩუნეს. გუშინ მე-6 ტურში „ნტნ“-ი შარშანდელ გამარჯვებულს — ბელგრადის „ბასს“ შეხვდა. ორთაბრძოლა გვიან ღამით დამთავრდა.

ვაჟთა ჩემპიონატს 9-9 ქულით ერთბაშად სამი ლიდერი ჰყავს — ყაზანის „ლადია“, საფრანგეთის „ნაო“ და ისრაელის „ბირ-შევა“. მე-5 ტურში „ლადიას“ და „ნაოს“ შეხვედრა ფრედ — 3:3 დამთავრდა (კასპაროვი-გრიშჩუკი 1:0, ბოლოგანი — სვიდლერი 0:1, რუბლიოვსკი-ადამსი, სმირინი-ლოტიე, ხარლოვი-პონსი, ტიმოფეევი-ბაკრო მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს, „ბირ-შევამ“ კი 3,5-2,5 სძლია ნორილსკის „ნიკელს“.

სამწუხაროდ, „თბილისი“ პოლონეთის „პოლონია პლუსთან“ დამარცხდა — 2,5:3,5 (ევროპის ექსჩემპიონმა მაჩეიამ გაგუნაშვილს მოუგო, ხოლო ჯობავა-ივანჩუკი, ყაჭეიშვილი-გელფანდი, მჭედლიშვილი-კრასენკოვი, იზორია-კემპინსკი და ფანცულაია-სოქო დაზავდნენ). საქართველოს გუნდი ხუთი ტურის შემდეგ 6 ქულით მე-19 ადგილზეა.

**ლევსო ცინცაძე.**

# ცინცხალი ამბავი

**საბოლოოდ გადაწყვიტა ესპანეთში ჩასვლა და ქმართან ერთად ცხოვრება მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელის დევიდ ბექჰემის მეუღლემ, ცნობილმა მომღერალმა ვიქტორია ადამსმა. ამის საფუძველი მას მისცა დევიდის ღამის კლუბებში მოხშირებულმა სიარულმა და ესპანელ ლამაზმანებთან დროსტარებამ.**



**აქამდე ვიქტორია ქმარს იშვიათად სტუმრობდა.**

ყოველი მხრიდან

## საქართველოსთან შესახვედრად ემზადებიან

**რუსეთელი ფეხბურთის მესვეურები და გულშემატკივრებიც დიდ ინტერესს იჩენენ მათი ქვეყნის მთავარი გუნდის მომავალი შეხვედრისადმი საქართველოს ნაკრებთან 11 ოქტომბერს. ეს იქნება 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მე-10 ქვეჯგუფის ბოლო მატჩი.**

ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ევროპულ ჩარჩოებში მათი პირველი მატჩის პერიპეტიები, „ტექნიკური მიზეზებით“ პირველი შეხვედრის შეწყვეტა, განმეორებითი მატჩი, საქართველოს ნაკრების შემართებული თამაში და გამარჯვება. რაც, უეჭველია, „ძაღლის ნაკბენივით“ დაამახსოვრდა რუსეთელ ფეხბურთელებსაც და გულშემატკივრებსაც.

ახლა ისინი რევანშისათვის ემზადებიან. გუშინ გაიმართა რუსეთის ნაკრების მწვრთნელთა შტაბის სხდომა, რათა საბოლოოდ გადაეწყვიტათ, თუ რომელი ფეხბურთელები გამოიძახონ ამ მათთვის ძალზე პრინციპულ ორთაბრძოლაში.

როგორც რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა განაცხადა, ნაკრების შედგენის პრინციპები ჯერ კიდევ ორშაბათს განიხილეს. თათბირში მონაწილეობდნენ ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიორგი იარცევი, ნაკრების უფროსი ნიკიტა სიმონიანი და თავად კოლოსკოვი. გადაწყვიტეს, რომ გამოიძახონ 18 ფეხბურთელი იმათი რიცხვიდან, ვინც მონაწილეობდა ირლანდიასთან და შვეიცარიასთან ამასწინანდელ მატჩებში. ისე რომ, ახალი მოთამაშეების გამოჩენა მოსალოდნელი არ არის.

მართალია, საბოლოო სია ჯერ არ არსებობს, მაგრამ ჟურნალისტებმა მაინც დაადგინეს, რომ მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ ნაკრებში მოწვეულია 6 ფეხბურთელი — ოვჩინიკოვი, სერნიკოვი, იგნაშევიჩი, ლოსკოვი, იზმაილოვი და ევსეევი.

ტრავმის გამო ქართველების წინააღმდეგ შეიძლება ვერ ითამაშოს ალენიჩევმა. გამოძახებულნი არიან ლეგიონერები — მოსტოვოი, სმერტინი და სიჩოვი.

— დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ნაკრები, თუმცა მას არ გააჩნია ქვეჯგუფში პირველ ან მეორე ადგილზე გასვლის შანსები, მოინდომებს მოსკოვში, რაც შეიძლება, კარგად გამოსვლას, — განაცხადა კოლოსკოვმა, — ქართველებმა დაგვამარცხეს პირველ მატჩში, ახლა უეჭველად ეცდებიან, ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცონ, რომ რუსეთელებზე სუსტები არ არიან. ისე რომ, იმედი ნუ გვექნება, თითქოს სტუმრებს მოტივაცია არ გააჩნდეთ.

## მსოფლიო რეკორდი ველოტრეკზე

**მექსიკაში სამგზის ოლიმპიურმა და მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა ველომრბოლელმა ქალმა ლეონტიენ ზილარდ-ვან მოორსელმა ამ ქვეყნის დედაქალაქის ტრეკზე დაამყარა მსოფლიო რეკორდი საათიან რბოლაში. მან 60 წუთში 46 კილომეტრი და 397 მეტრი დაფარა.**

ადრინდელი რეკორდი ეკუთვნოდა ფრანგ ჟანი ლონგო-სიპრელის — 45,095 კილომეტრი. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ 33 წლის ჰოლანდიელმა მანჩესტერში სცადა ამ რეკორდის დამხობა, მაგრამ ამაოდ.



რადგან გადაწყვიტა მექსიკაში სარეკორდო რბოლის გამართვა, ლეონტიენმა უარი თქვა ჰამილტონში მსოფლიოს საგზატკეცილო ჩემპიონატში მონაწილეობაზე.

## ნიგერია კანდიდატურას ხსნის

**ნიგერიამ მოხსნა თავისი კანდიდატურა ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე. ამ ქვეყნის სპორტის მინისტრმა მუსა მოჰამედმა ეს გადაწყვეტილება გაამართლა ძალზე დიდი ხარჯებით, რაც ამ ტურნირის მოწყობას სჭირდება და იმითაც, რომ ნიგერია ძალზე გადატვირთულია სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებით. სწორედ იმ წლის ოქტომბერში მან უნდა უმასპინძლოს აფრიკის თამაშებს.**

ნიგერიის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ მთლიანად უჭერს მხარს სამხრეთ აფრიკის კანდიდატურას.

ალბათ, გახსოვთ, რომ ნიგერიის გარდა, პირველი აფრიკული მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა სურთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, მაროკოს, ეგვიპტეს, ტუნისსა და ლიბიას.

**სპორტის რედაქცია**

# გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# განცხადება

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად ოზურგეთის რაიონის დაბა ურეკის საკრებულოს მიერ წარმოდგენილია I კატეგორიის საქმიანობაზე:**

„კურორტ ურეკის გარე კანალიზაციის პროექტის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

**საპროექტო დოკუმენტაციების გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 18 ნოემბრამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრში — თბილისი, კოსტავას №68 ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში — თბილისი, ფალიაშვილის №87. ტ. 25-02-19.**

**საჯარო განხილვა შედგება 2003 წლის 18 ნოემბერს 12 საათზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.**

**გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.**

ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



აფხაზეთში გმირულად დაღუპული საქართველოს უშიშროების სპეცრაზმის წევრები. მარცხნიდან: ნუკრი წიკლაური, მისი დისწული ზურაბ ზალდასტანიშვილი, გიორგი ჩარგეიშვილი და ნუკრის ტყუპისცალი ვასიკო წიკლაური. გადაღებულია 1993 წელს.

ფოტო მოგვაწოდა ХОВО წიკლაურმა.

*ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.*

სულიერება

# „რომელმან აღაშენოს"...

**მარტვილის რაიონი სასულიერო ცხოვრების უძველესი და უმდიდრესი ტრადიციებით არის ცნობილი. ჯერ კიდევ VII საუკუნეში აგებული მარტვილის ტაძარი, როგორც ცნობილია, მძლავრი სასულიერო და საგანმანათლებლო ცენტრია. საუკუნოვან ქარტეხილებს სასწაულებრივ გადარჩენილ ამ ტაძარში დღესაც ძალუმად ფეთქავს საეკლესიო ცხოვრება, იმართება წირვა-ლოცვა, სხვა სახის რელიგიური რიტუალები.**

სასიამოვნოა, რომ ეს ტრადიცია გრძელდება: ბოლო წლებში რაიონში მრავალი ახალი ეკლესია აშენდა. ერთ-ერთი მათგანია სოფელ გაჭედილის მაცხოვრის სახელობის ჯიჯიხატის ეკლესია.



მაცხოვრის სახელობის ჯიჯიხატის ეკლესია.

ამ ადგილზე, გაჭედილის მაღალ, ძნელადმისასვლელ გორაკზე ეკლესია ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში აიგო, მაგრამ გასული საუკუნის პირველ ნახევარში, ე. წ. „ეკლესიათა ნგრევის" პერიოდში, იგი მსახვრალმა ხელმა იავარქმნა — კედლები და ხის ჯვარიღა შემორჩა. იმდენად დიდი იყო ღვთისადმი და ამ ეკლესიისადმი თაყვანისცემის ძალა, რომ აქ სხვადასხვა სოფლებიდან მოდიოდნენ მორწმუნენი და ლოცულობდნენ, თან „ჩუმის ნატვრით" ეკლესიის აღდგენა-აშენებაზეც ოცნებობდნენ.

... და აი, გამოჩნდა ქველმოქმედი, რომელმაც შეძლო ხალხის გულისთქმის საქმით გამოხატვა. იგი გახლავთ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის გენერალ-მაიორი ელგუჯა ჯამბურია. უპრიანია აღინიშნოს, რომ ეს სოფელი მისი სიყრმის კერაა, მისი წინაპრების ძვალთშესალაგი.

ეკლესიის მშენებლობა გასული წლის აგვისტოში დაიწყო და უკვე დამთავრდა, შესანიშნავადაა შესრულებული კედლებისა და გუმბათის მხატვრობა.

ამ დღეებში აქ დიდძალმა მრევლმა მოიყარა თავი. გაიმართა წირვა-ლოცვა, შედგა პარაკლისი.

საეკლესიო მსახურებმა, სოფლის უხუცესებმა მადლიერება გამოხატეს ეკლესიის ხუროთმოძღვრების, მშენებლების, მხატვრების მიმართ. ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ სიბრძნის უშრეტი წყარო ბიბლია გვასწავლის: „რჭქუენ კეთილი სიტყვითა მარად, ვინაც აღაშენოს".

ერთი სიტყვით, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს კიდევ ერთი პატარა, მაგრამ პატარძალივით მშვენიერი ეკლესია შეემატა.

**დემურ კილასონია,**
გაზეთ „მარტვილის მოამბის" რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

ხსოვნა

## გერმანე ქოიავა



გარდაიცვალა სარკინიგზო ტრანსპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, პერსონალური პენსიონერი, საპატიო რკინიგზელი, ომისა და შრომის ვეტერანი **გერმანე ტრიფონის ძე ქოიავა.**

გერმანე ქოიავა დაიბადა 1916 წელს აბაშის რაიონის სოფელ ძველ აბაშაში. 1942 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი რკინიგზის ტრანსპორტის მოძრაობისა და სატვირთო მუშაობის სპეციალობით.

შრომითი საქმიანობა დაიწყო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე 1942 წელს სტალინგრადის რკინიგზაზე. განვლო მეტად რთული და შინაარსიანი შრომითი გზა. სხვადასხვა დროს მუშაობდა სტალინგრადის რკინიგზის სადგურ კატელნიკოვოს ინჟინრად, სარკინიგზო უბნის მოძრაობის უსაფრთხოების რევიზორად, სამხედრო-საექსპლუატაციო განყოფილების უფროსის მოადგილედ. 1946 წლიდან სამუშაოდ გადმოდის ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის განყოფილებაში — იყო ამავე განყოფილების მოძრაობის უსაფრთხოების რევიზორი, ტუაფსე-ვესიოლოეს უბნის ქვეგანყოფილების უფროსი, სოხუმის კადრების შრომისა და ხელფასის, მოძრაობის, სატვირთო და სამგზავრო განყოფილებების უფროსი, სოხუმის განყოფილების უფროსის მოადგილე, სადგურ სოხუმის უფროსი. 1965 წლიდან სამუშაოდ გადმოყავთ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილედ. დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ იგი კვლავ დიდი მონდომებით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. იყო სატვირთო და კომერციული მუშაობის სამსახურის საპრეტენზიო განყოფილების უფროსი.

ყველგან, სადაც კი უმუშავია, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. ბატონი გერმანე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო საქართველოს რკინიგზის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

გერმანე ქოიავა იყო პიროვნება, რომლის გული მუდამ ღია იყო როგორც ოჯახის წევრებისა და ნათესავებისათვის, ასევე მეგობრებისა და თანამშრომლებისათვის. მთელი თავისი საქმიანობითა და არსებით ყოველთვის განასახიერებდა გულმართალი, მზრუნველი, კეთილი და მართალი კაცის სახეს, რომელიც ნამდვილად დააკლდა ოჯახსა და ნაცნობ-მეგობრებს.

წავიდა ჩვენგან ქვეყნისა და ერის წინაშე ვალმოხდილი ადამიანი, შესანიშნავი მოქალაქე, უაღრესად პატიოსანი, უმწიკლო, უპრეტენზიო, საქმისა და მეგობრების ერთგული, მოსიყვარულე მეუღლე, მამა, ბაბუა და დაგვიტოვა ნათელი ხსოვნა.

უსაზღვროა ოჯახის წევრების, ნათესავების, ახლობლების, კოლეგებისა და მეგობრების გულისტკივილი. მისი სახე სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვინც კი მას იცნობდა.

საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა;
საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტი;
საქართველოს რკინიგზის ვეტერანთა საბჭო.

დილის სხარტულა

## ქალაქი — ყუთი...



სადმე ამდენი თუა ბაზარი,
უწესრიგობა და ჩირთი-ფურთი.
...ქალაქი გახდა უზარმაზარი
გაუწმენდავი სანაგვე ყუთი...

**თამაზ ილველი.**

ღიმილის დოზა



ავტომობილის მძღოლო! იცოდე: როდესაც ავტომანქანის საჭეს ფხიზელი მიუჯდები და მოძრაობის წესებს დაურღვევლად ივლი, იცოდე, ამით შენ ხელყოფ საგზაო პოლიციის თანამშრომლების სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით გათვალისწინებულ შემოსავლებს!

* * *

— შენ და ტამარკამ, ალბათ, უკვე ყველაფერი გადაწყვიტეთ?

— სამწუხაროდ, არა. როგორც კი ვეტყვი, ძალიან მიყვარხარ-მეთქი, სასწრაფოდ გამოცვლის თემას და ქორწილის შესახებ იწყებს საუბარს.

* * *

— ალო! პეტროვის ბინაა?

— დიახ.

— თქვენი ცოლი, თუ შეიძლება.

— შეიძლება კი არა, შემიძლია გაჩუქოთ.

* * *

ორი ქალის საუბრიდან:

— როგორ ბრძანდება შენი ლოთი ქმარი? კვლავ რესტორნებსა და კაზინოებში ფანტავს ფულებს?

— წარმოიდგინე, რომ არა! ძალიან სერიოზულადველაპარაკე და ახლა აღარც სვამს, აღარც ეწევა, რესტორნებშიც აღარ დადის, არც ფულს ხარჯავს. წევს თავისთვის მშვიდად რეანიმაციაში და ხმას არ იღებს.

ნეიტრალური მოედანი

# კომპანია „არტ-იმედი" და ულოზუნგო წინასაარჩევნო აქციები

**წინასაარჩევნო მარათონში ჩართული პოლიტიკური პარტიები და დეპუტატები საკუთარი ამომრჩევლის გულის მოგებას სხვადასხვა გზებით ცდილობენ. ამ მხრივ, მათთვის, მართლაც რომ, საინტერესო იყო საპროდიუსერო კომპანია „არტ-იმედის" მიერ სექტემბრის დასაწყისში გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ კომპანია მზად არის, ითანამშრომლოს ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიასთან, მაჟორიტარ დეპუტატთან, თუ ბლოკთან, რათა მათ, ხალხის საყვარელი მომღერლების მეშვეობით, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, სპეციალური აქციებისა და კონცერტების გამართვის საშუალება მიეცათ. იმაზე, თუ რა გამოხმაურება მოჰყვა კომპანიის მიერ გაკეთებულ განცხადებას, თავად „არტ-იმედის" პიარ-მენეჯერი მაია დათუნაშვილი გვიამბობს.**

— საქართველოში ერთადერთმა საპროდიუსერო კომპანია „არტ-იმედმა" სხვადასხვა პოლიტიკური ძალებისაგან უკვე მიიღო რამდენიმე შემოთავაზება. სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენმა კომპანიამ ქალბატონ ნანა პატარკაციშვილის ინიციატივით, დიდი გალაკონცერტი გამართა ყვარელში, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ რეგიონებს განსაკუთრებულად ენატრებათ თავიანთ საყვარელ მსახიობებთან შეხვედრა. არის სხვა შეკვეთებიც. ბუნებრივია, „არტ-იმედი" ამ შეკვეთებს შეასრულებს და ისეთივე მაღალ დონეზე, როგორც ყვარელში.

— ***წინასაარჩევნოდ გამართული კონცერტები, ძირითადად, ამა თუ იმ პარტიის სახელთან ასოცირდება. თუ ითვალისწინებთ პოლიტიკური ძალების ინტერესებს?***

— „არტ-იმედი" ამ მხრივ განსხვავებული ტრადიციის დანერგვას აპირებს და მან ეს უკვე შეძლო. არც ერთი მომღერალი, რომელიც დგას სცენაზე, არ ამბობს არანაირ წინასაარჩევნო ლოზუნგს, ჩვენ ვინარჩუნებთ სრულ ნეიტრალიტეტს. მართალია, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და დეპუტატები აფინანსებენ ამგვარ ღონისძიებებს, მაგრამ წინასაარჩევნო პროგრამის გაცნობის საშუალება მათ ამომრჩევლებთან კერძო შეხვედრების დროს ეძლევათ.

— ***თავად პოლიტიკური ძალებისაგან ხომ არ ყოფილა მოთხოვნა, რომ მათ მიერ დაფინანსებულ კონცერტებზე ერთგვარად გაიჟღეროს მათმა მხარდასაჭერმა ლოზუნგებმა?***

— ასეთი მოთხოვნა არ ყოფილა. თუ ასეთი რამ მოხდება, „არტ-იმედი" ასეთ მოთხოვნას არ გაითვალისწინებს. კომპანიას აქვს თავისი პოზიცია და ის შეინარჩუნებს ნეიტრალურ მდგომარეობას.

— ***თავად რომელიმე მომღერალს ხომ არ ჰქონია უარის თქმის სურვილი პოლიტიკური პარტიების მხარდასაჭერ კონცერტებში მონაწილეობის მიღებაზე?***

— არც ერთი მომღერალი არ ამბობს უარს თავის მსმენელთან შეხვედრაზე, მით უმეტეს, როცა კომპანია ნეიტრალურ პოზიციაზეა.

**ახალი ამბების სააგენტო „ინტერ-პრესი".**

მადლობა



# მარჯვენა დაგელოცოთ!

**ვინც იცის, ის გაგვიგებს, რა შიშნარევი სიხარულით, მღელვარებით ელოდებიან ხოლმე პირველი შვილის დაბადებას. ასეთ მდგომარეობაში ვიყავით ჩვენც — მე და ჩემი მეუღლე.**

მღელვარება უფრო გაძლიერდა, როდესაც თბილისის №5 სამშობიაროში (მთავარი ექიმი ალექსანდრე ლაბარტყავა), მივედით და გვითხრეს, მძიმე დიაგნოზის გამო გადაუდებელი საკეისრო კვეთაა საჭირო, მაგრამ ნუ შეშინდებითო...

და დატრიალდნენ ანესთეზიოლოგი ნინო დუმბაძე, საოპერაციო და თამარ ჯინჭარაძე, ოპერატორი მეან-გინეკოლოგი დავით თავამაიშვილი, გინეკოლოგი ნანა ვახანია, რომლებმაც უმაღლეს დონეზე გააკეთეს ოპერაცია.

შემდეგ ყურადღებასა და სითბოს არ აკლებდნენ ზესტანდარტული განყოფილების ექიმი-გინეკოლოგი მინდია იობაშვილი, განყოფილების ბებიები მაია დვალიშვილი, ეკა ბირთველიშვილი, ნათია კვირიკეიშვილი, ქეთევან ქერივიშვილი, ნინო ხამხაძე. და თუ ჩემი მეუღლე და მე დღეს ჩვენს ვაჟიშვილს — სანდროს ასე შევხარით, ეს ამ პროფესიონალი, გულისხმიერი ადამიანების დამსახურებაა!

დიდი მადლობა მათ, ამ სიხარულის მონიჭებისთვის!

მარჯვენა დაგელოცოთ, გაიხარეთ, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ.

**კახა ძორიძე და ლალი პეტრიდი.**

პანკისური ჩანახატები

# ჯარისკაცებს სევდისთვის არ სცალიათ

**ყოველწლიურად** ახალ-ახალ სამხედრო სპეციალისტებს ამზადებენ საქართველოს შინაგან ჯარებში: მეავტომატეებს, მემიზნეებს, მესანგრეებს, მეკავშირეებს, სპეცრაზმელებს, მძიმე ტექნიკის მემანქანე-ტექნიკოსებს, მძღოლებს და ა. შ. მათი მომზადების ძირითადი ბაზა ჯარებში მოქმედი სასწავლებლები და სამხედრო ნაწილებია. ჯარისკაცთა ნაწილი კი თავიანთ პროფესიულ დონეს მეგობარი ქვეყნების სამხედრო აკადემიებში და სასწავლებლებში იმაღლებენ. ამას წინათ კი, პანკისის ხეობაში მომზადებულმა 50-ზე მეტმა მემანქანე-ტექნიკოსმა მიიღო შესაბამისობის სერტიფიკატი. ასეთი პრაქტიკა უკვე მყარად დამკვიდრდა შინაგან ჯარებში, — სპეციალისტები პრაქტიკასთან მოახლოებულ სიტუაციაში ეუფლებიან სამხედრო პროფესიებს!

ამ ორ ვაჟკაცს კი სამხედრო პროფესია აფხაზეთის ტრაგედიამ ასწავლა... საკუთარი ქვეყნის და საკუთარი კერის დაცვის გრძნობამ აალებინა მათ ხელში იარაღი! **ავთანდილ ქოიავა** აგრონომი იყო ომამდე, **რობერტ ქეცბაია** კი ჯერ ისევ სწავლობდა ეკონომიკის ფაკულტეტზე. მაგრამ, როდესაც ქვეყანა აირია და, დღეს უკვე სეპარატისტებად მონათლულმა ბანდიტებმა, ძმათამკვლელი ომი გააჩაღეს, იქ დადგნენ, საითკენაც მამულიშვილურმა შეძახილმა მოუხმო. კოდორისა და ჭუბერის გზებით გამოაღწიეს სამშვიდობოს, მაგრამ მშვიდობა ჯერ ისევ შორს იყო.

— ჩემთვის მშვიდობა მაშინ დადგება, როცა საკუთარ კერას დავუბრუნდები, — გულდაწყვეტილია ბატონი ავთანდილი, მაგრამ ნათქვამია, იმედი ბოლოს ტოვებსო ვაჟკაცს.

— ჩვენი მშვიდობა და აფხაზეთი დღეს აქ, პანკისის ხეობაში იწყება, სადაც უკვე ორი წელიწადია ფეხმოუცვლელად ვდგავართ!

— ნეტავ, ასე უსისხლოდ და უდავიდარაბოდ შევიდოდეთ აფხაზეთშიც — სევდანარევი ღიმილით ავლებენ ბიჭები თვალს ხეობის თვალშეუდგამ მწვერვალებს...

— მონატრება და სევდა მოგძალებიათ...

— მონატრება კი!.. სევდა არა, ჯარისკაცებს სევდისთვის არ სცალიათ, აფხაზეთისკენ გვიდევს გზა...

— მძიმე იყო პანკისური დღეები?

— უფრო ძნელი და მწარე დღეები იქ გამოვიარეთ. აქ კი, ისიც გვეყოფა საამაყოდ, რომ ხალხის სიყვარული და პატივისცემა დავიმსახურეთ და ამ სიყვარულით გაკეთდა დიდი საქმე...

— აფხაზეთშიც ასე ჭკვიანურად და გამართულად უნდა შევიდეთ!.. ხალხს არაფერი აქვს გასაყოფი, აფხაზეთშიც ბევრი ფიქრობს ასე და გვჯერა, მალე შევხვდებით ჩვენს აფხაზ მეგობრებს აფხაზეთის მიწაზე...

— და მაინც, ასე მშვიდობიანად თუ ვერ მოგვარდა ყველაფერი?

— ასე უნდა მოხდეს!.. სხვანაირად არ შეიძლება, და თუ... ასე არ მოხდა, მაშინ მტერი და გადამთიელი, ახლა უკვე საბოლოოდ, გაგვიცნობს ვინ ვართ ჩვენ, — საბოლოოდ დამარცხებულები თუ კაცები, რომლებსაც სიყვარულიც შეგვიძლია და ჩვენი სიამაყის, ჩვენი მიწა-წყლის დაცვაც!..

ასე ფიქრობენ დიალოგის მონაწილეები: — ბრიგადის მეთაურის მოადგილე, მეორე მიმართულების მეთაური, მაიორი ავთანდილ ქოიავა და ბატალიონის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი რობერტ ქეცბაია!

გვიმრავლოს ასეთი რაინდები.

**ზაურ ფიფია.**



**სურათზე: მაიორი ავთანდილ ქოიავა და უფროსი ლეიტენანტი რობერტ ქეცბაია ინტერვიუს აძლევენ ჟურნალისტ გივი ბაქრაძეს — საქართველოს ტელევიზიის სამხედრო-პატრიოტული ალმანახის „სპას" ხელმძღვანელს.**

გვწერენ

## დიდი მადლობა დაფასებისთვის

ნება მომეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მომილოცა ჩემი დაბადების 80 წლისთავი და ღირსების ორდენით დაჯილდოება.

**ოთარ თოლორაია.**

შეხვედრა

## მკითხველთა პირისპირ

**საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ, რესპუბლიკურ გამგეობაში მოაწყო მწერალ ციალა არდაშელიას წიგნების „განგების რკალში" და „უძლური ჭირისუფლის" განხილვა.**

საღამო გახსნა ასოციაციის თავმჯდომარემ ლია ნადარეიშვილმა. ორივე წიგნის ვახტანგ ყოლბაიასეული მიმოხილვა წაიკითხა ზურაბ თორიამ.

განხილვაში მონაწილეობდნენ მწერლები, მსახიობები, ჟურნალისტები: ერეკლე საღლიანი, ილია ბარამიძე, ვასილ გვეტაძე, მარიამ წიკლაური-ძიძიგური, თაკო ჩარკვიანი-გიგანი, მანანა სტეილია (სოხუმიდან ლტოლვილი მწერალი), ნანა სულიაშვილი, დამანა მდივნიშვილი. ეკა ჩალიჩავამ ისაუბრა ციალა არდაშელიას პოლემიკური წერილების ხასიათზე. ამ წიგნებიდან ნაწყვეტები წაიკითხეს მსახიობებმა თინა ელბაქიძემ და ჟურნალისტმა გიორგი ზარიძემ — მათ გაიხსენეს რადიოგადაცემები ციალა არდაშელიას მოთხრობების მიხედვით.

საღამოს უძღვებოდა პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, რომელმაც ბევრი რამ გაიხსენა ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორობისდროინდელი, როგორ ბეჭდავდა ციალა არდაშელიას მოთხრობებსა და რომანებს.

ციალა არდაშელიამ მადლობა მოახსენა დამსწრეთ თბილი და სიყვარულიანი საღამოსათვის.

**შოთა ხოდაშნელი.**

მეუღლე ქუქუნა ჩაჩანიძე, შვილები თამრიკო, ქეთინო, სიძე ალიკო დევიძე, შვილიშვილები თეონა, რეზიკო დევიძეები, და ნანული, ძმისშვილი თამაზ კრიჭინაშვილი, რძალი ლამარა, ძმისშვილიშვილები თამაზი და რამაზი, დისშვილი შალვა ზურიკაშვილი ოჯახით იუწყებიან

რევაზ იოსების ძე კრიჭინაშვილის

გარდაცვალებას

პანაშვიდი 5, 6 X, 5 სთ. გამოსვენება 7 X, 3 სთ. ი. ნიკოლაძის 2/4, III სადარბაზო.

---

თბილისის საფინანსო-ეკონომიკური კოლეჯის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული თბილისის სავაჭრო-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

რევაზ კრიჭინაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებული ოჯახს.

---

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის" პრეზიდიუმები და საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ამ აკადემიის აკადემიკოსის, ამ საზოგადოების პრეზიდიუმის წევრის, ამ უნივერსიტეტის პროფესორის

რევაზ კრიჭინაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს, ახლო ნათესავებსა და მეგობრებს.

---

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს ინსტიტუტის სწავლულ მდივანს დოცენტ ვახტანგ კეკუას დედის

ალექსანდრა (საშა) ჩაჩიბაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ბეგი თავართქილაძის ოჯახი სამძიმარს უცხადებს მძახლებს მანანა და გივი მაისურაძეებს შვილის

უჩას

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

---

მშობლები იური, სვეტა, დედმამიშვილები ქეთინო, ირაკლი, ბიძა აჩიკო, მამიდები ლეილა, ნათელა, სიძეები რევაზ ქორქია, ჰამლეტ საჩალელი, ბიცოლა ირმა გოგოლიძე, დისწული ანუკა, ბიძაშვილები ამირანი, ლუკა, მამიდაშვილები ეკა, მანუჩარი, ნათია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შოთა იურის ძე ქირია

პანაშვიდი 5, 6 X, 5 სთ. გამოსვენება 7 X, 3 სთ. რიონჰესის ქუჩა №1.

---

მალხაზ ბაძაღუა ოჯახით სამძიმარს უცხადებს იური ქირიას შვილის

შოთა ქირიას

გარდაცვალების გამო.

---

აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახ. ქუტაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ექიმი-ფსიქიატრი

ზურაბ ტყაბლაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო მწუხარებას გამოთქვამენ აფხაზეთში ცნობილი საზოგადო მოღვაწის, განათლების დამსახურებული მუშაკის, სახელმწიფო ჯილდოების მფლობელის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების დიდი ქომაგის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის I მოადგილის

ნოდარ ღარახველიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება 5 X, 3 სთ, თევდორე მღვდლის ქ. №48.

---

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.